კლიმატის ცვლილება
და დემოკრატიული საზოგადოება

კლაუს დიორე
იოჰანეს ვარვიკი
იანა ალიეტსი
ელკე ზეეფრიდი
ჯოზეფ სტიგლიცი
ჯეფრი საქსი
ჯოშ ბიურკი
უგურ აკინჩი

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი
კავკასიური სახლი
THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS
CAUCASIAN HOUSE

თბილისი
2022

UDC (უაკ) 551·583+321·7
კ-60

მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინიციატივის Climate Promise ფარგლებში, როგორც ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) მხარდაჭერის პროგრამის ნაწილი, NDC თანამშრომლობის ხელშეწყობით, გერმანიის, იაპონიის, ევროკავშირის, გაერთიანებული სამეფოს, შვედეთის, ესპანეთის, ბელგიის, ისლანდიის, იტალიის და პორტუგალიის მთავრობებისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ძირითადი დონორების გულუხვი დაფინანსებით.

გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს გაეროს (UN), მათ შორის გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), NDC პარტნიორობის და გერმანიის, იაპონიის, ევროკავშირის, გაერთიანებული სამეფოს, შვედეთის, ესპანეთის, ბელგიის, ისლანდიის, იტალიის და პორტუგალიის მთავრობებისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ძირითადი დონორების თვალსაზრისს.

პროექტის ხელმძღვანელი	ირაკლი ირემაძე
კრებულის შემდგენლები:	მიხეილ (დავით) ადეიშვილი, ლევან ლორთქიფანიძე
მთარგმნელები:	მიხეილ ბეროშვილი, მარიკა ტყეშელაშვილი, ნიკოლოზ ჭანტურია, ბიძინა ბუჩუკური, ლევან ლორთქიფანიძე
რედაქტორი	ლევან ლორთქიფანიძე
დამკაბადონებელი	ნიკოლოზ გელაშვილი

ISBN 978-9941-9832-0-7

სარჩევი

წინასიტყვაობა 4

კლიმატის ცვლილების განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ

კლიმატის კრიზისი ჩვენი მესამე მსოფლიო ომია, მას გაბედული პასუხი სჭირდება 7
ჩვენ ახლა ყველანი კლიმატის დევნილები ვართ 10

კლიმატის ცვლილება და ეკონომიკური გარდაქმნის ზოგიერთი ასპექტი

რა არის „ნეტ ზერო“? 14
ნახშირბადით ვაჭრობა: მოკლე შესავალი დამწყებთათვის 18
ყველა კლიმატზე საუბრობს / სოციალ-ეკოლოგიური ტრანსფორმაციის პერსპექტივები 25

კლიმატის ცვლილება და დემოკრატიული საზოგადოების გამოწვევები

„ეკოდიქტატურის“ გზაზე? — კლიმატის პროტესტი, როგორც დემოკრატიული გამოწვევა 35
კლიმატური სამართლიანობა და გენდერული სამართლიანობა 43
მდგრადობა და დემოკრატია 49

წინასიტყვაობა

ატმოსფეროში სათბური აირების კონცენტრაციის ზრდა ინდუსტრიალიზაციის ეპოქასთან შედარებით გლობალური ტემპერატურის თანდათანობით მომატებას იწვევს. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერები შიშობენ, რომ სათანადო ზომების არმიღების შემთხვევაში ტემპერატურა 3-6°C-ით გადააჭარბებს წინარე ინდუსტრიულ მაჩვენებელს. გლობალური დათბობა და კლიმატის ცვლილება აუცილებლად გახდება წყლისა და საკვების დეფიციტის წინაპირობა, მოიმატებს ბუნებრივი კატასტროფები, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ექსტრემალურ უამინდობებს გადავაწყდებით. საბოლოოდ კი დედამიწა ჩათრეული შეიძლება აღმოჩნდეს ომების, მასობრივი მიგრაციებისა და ეკონომიკური კრიზისების მორევში.

კლიმატის ცვლილების დაჩქარებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. სპეციალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას წიაღისეული საწვავის გამოყენებაზე ამახვილებენ. სათბობ-ენერგეტიკის, ტრანსპორტის, მრეწველობისა და მშენებლობის დარგებში ქვანახშირის, ნავთობისა და გაზის მასობრივი მოხმარება ატმოსფეროში სათბური აირების კონცენტრაციის ზრდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. გლობალური დათბობის პროცესში თავისი წვლილი შეაქვს ცხოველური წარმოშობის საკვების გადაჭარბებულ წარმოებას.

2015 წლის დეკემბერში, პარიზში გამართულ გაეროს კლიმატის კონფერენციაზე საერთაშორისო თანამეგობრობის წევრებმა ხელი მოაწერეს კლიმატის დაცვის ახალ ხელშეკრულებას. ხელშეკრულების ერთ-ერთი უმთავრეს მიზანს წარმოადგენს წინარე ინდუსტრიულ პერიოდთან შედარებით გლობალური ტემპერატურის ზრდის 2°C-მდე შეზღუდვა. მიზნის მისაღწევად მსოფლიოს გრანდიოზული ცვლილებების განხორციელება მოუწევს ცვლილებები საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროსა და რიგითი მოქალაქეების ცხოვრების წესს შეეხება.

პროცესთან დაკავშირებით კლიმატის ცვლილების მკვლევრებსა და დედამიწის დამცველ აქტივისტებს არაერთი შეკითხვა უჩნდებათ: რა მიმართულებით უნდა გარდაიქმნას გლობალური ეკონომიკა? საკმარისია თუ არა თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები წარმატებული ეკონომიკური გარდაქმნისთვის? შესაძლებელია თუ არა დემოკრატიული მმართველობის პირობებში კლიმატის შედეგიანი პოლიტიკის განხორციელება? როგორ უნდა გავაწონასწოროთ კლიმატის პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა გავლენები? როგორი უნდა იყოს განვითარებული ქვეყნების პასუხისმგებლობა კლიმატის კრიზისის შეჩერების საქმეში? რა ვალდებულებები უნდა აიღონ ღარიბმა სახელმწიფოებმა გლობალური დათბობის შესაჩერებლად?

იმედი გვაქვს, რომ „კავკასიური სახლის“ მწვანე პოლიტიკისა და მდგრადი განვითარების პროგრამის თანამშრომელთა მიერ შედგენილი თარგმანთა კრებულის – „კლიმატის ცვლილება და დემოკრატიული საზოგადოება“ – გამოცემა ჩვენს ქვეყანაში ხელს შეუწყობს ახალი საგნობრივი დისკუსიების წამოწყებას და დაგვეხმარება ჩამოთვლილ კითხვებზე დასაბუთებული პასუხების მოძებნაში. კლიმატის ცვლილება სახელმწიფო საზღვრებსა და ეკონომიკურ მაჩვენებლებს არ ცნობს, ის საფრთხეს უქმნის ჩვენს პლანეტაზე მდებარე ყველა ტერიტორიას, ყველა სივრცეს მისი განვითარების დონის მიუხედავად. ადრე თუ

გვიან ქართულ საზოგადოებასაც მოუწევს თავისი სამომავლო გეგმების განსაზღვრისას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფაქტორების გათვალისწინება. კლიმატის კრიზისის შედეგების სერიოზული გააზრების გარეშე შეიძლება სახელმწიფოს განვითარების ამბიციური პროექტები გვერდით დაგვრჩეს.

„კავკასიური სახლი“ საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი უძველესი გარემოსდაცვითი ორგანიზაციაა, რომელიც სათავეს 80-იანი წლების ბოლოს დაფუძნებული მწვანეთა მოძრაობიდან იღებს. ჩვენ მონაწილეობა გვაქვს მიღებული დამოუკიდებელ საქართველოში წარმოებულ ყველა მნიშვნელოვან გარემოსდაცვით ბრძოლასა თუ კამპანიაში. სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში ჩვენი თანამოქალაქეების ნაწილისათვის გარემოსდამცველთა სამოქალაქო აქტიურობა მხოლოდ ცალკეული სკვერებისა და ბაღების, თბილისის ცენტრალურ უბნებში მდებარე პარკების საზღვრების დაცვასთან ასოცირდება.

კრებულის გამოცემით ხაზი გვინდა გავუსვათ, რომ 21-ე საუკუნეში მხოლოდ მწვანე აქტივიზმი საკმარისი აღარ არის, სამყარო კლიმატის დაცვის გამოწვევის წინაშე დგას, რაც უფრო ფართო ხედვას, გლობალურ პრობლემებზე ფიქრსა და განსაკუთრებულ კომპეტენციას მოითხოვს.

გამოცემა „კლიმატის ცვლილება და დემოკრატიული საზოგადოება“ აზერბაიჯანულ ენაზეც ითარგმნა. ცხადია, აღნიშნული ნაბიჯი საქართველოს აზერბაიჯანულენოვან თემში კლიმატის ცვლილების შედეგების შესახებ ცოდნის გავრცელებას ემსახურება. თუმცა, ჩვენ სხვა მიზანიც გვამოძრავებს. გვსურს, რომ ნაციონალური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესი მხოლოდ ენის სწავლების, განათლების სისტემის ფუნქციონირებისა და დრომოჭმული ყოფითი ტრადიციების ტრანსფორმაციის ინიციატივებს არ ეფუძნებოდეს. ინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა შეიძლება საერთო სოციალურ-ეკონომიკურ და გარემოსდაცვით ღირებულებებზე შეთანხმებაც გახდეს. ვფიქრობთ, კლიმატის კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლას არა მხოლოდ ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების გაერთიანება, არამედ გლობალური მასშტაბის კავშირების წარმოქმნა შეუძლია.

რამდენიმე სიტყვას მოგახსენებთ კრებულის შინაარსის შესახებ.

პუბლიკაცია სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ თავში მსოფლიო რანგის მეცნიერთა შემაჯამებელი შეფასებები და მოწოდებებია თავმოყრილი. თარგმნილ ტექსტებში ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი – ჯოზეფ სტიგლიცი და გაეროს მდგარდი განვითარების ქსელის დირექტორი – ჯეფრი საქსი კლიმატის ცვლილების მნიშვნელობაზე მსჯელობენ, აქცენტს სვამენ გადაუდებელი მოქმედების აუცილებლობაზე და გლობალურ საზოგადოებას მოსალოდნელი შედეგების თაობაზე აფრთხილებენ.

მეორე ნაწილი ბრიტანელი, ამერიკელი და გერმანელი ეკონომისტებისა თუ სოციოლოგების დაკვირვებებს აერთიანებს. ავტორები თავიანთ ძალისხმევას კლიმატის კრიზისიდან გამოსავლის გზების ძიებაში ხარჯავენ. ყურადღებიანი მკითხველი ადვილად აღმოაჩენს სტრატეგიებს, რომელთაც სწავლულები კლიმატის ცვლილების გამანადგურებელი შედეგების დაძლევის მიმართულებით გვთავაზობენ.

მცირე მოცულობის კრებულის დასკვნითი ნაწილი განიხილავს თანამედროვე მსოფლიოში მოქმედ კლიმატის დაცვის მოძრაობებსა და მათ ძირითად პრობლემებს. აქვე ყურადღებაა გამახვილებული დემოკრატიული ინსტიტუტების შეზღუდულ შესაძლებლობებზე ეკონომიკის უსწრაფესი გარდაქმნის კუთხით, განხილულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქმედი ძალების მიმართება მდგრადი განვითარების საკითხის მიმართ.

მადლობა გვინდა გადავუხადოთ ეკონომიკის დოქტორს, ბ-ნ დავით (მიხეილ) ადეიშვილს კრებულის შედგენაში მონაწილეობისთვის. გვახარებს, რომ სტატიების თარგმნის პასუხისმგებლობა გამოცდილი სპეციალისტების გარდა ახალბედა სტუდენტებმაც გაიზიარეს. განსაკუთრებით ვაფასებთ მიხეილ ბეროშვილის, მარიკა ტყეშელაშვილის, ნიკოლოზ ჭანტურიასა და ბიძინა ბუჩუკურის მიერ გაწეულ შრომას გამოცემის მომზადების საქმეში. ვამაყობთ, რომ ათწლეულზე მეტია ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ შესანიშნავ ლიტერატორთან და მთარგმნელთან, ბ-ნ ოქტაი ქაზუმოვთან, რომლის ძალისხმევის გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა უაღრესად აქტუალური, თანამედროვე და ურთულესი შინაარსის ნაშრომების აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა.

კრებულის გამოცემა შესაძლებელი გახდა პროექტის „მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ინფორმირება კლიმატის ცვლილების შედეგების შესახებ“ ფარგლებში. ცხადია, განსაკუთრებული მადლიერება უნდა გამოვხატოთ პროექტის დამფინანსებლის, გაეროს განვითარების პროგრამის – UNDP-ის მიმართ.

დასასრულს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ პროექტის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა „კავკასიური სახლის“ აღმასრულებელი დირექტორის – ირაკლი ირემაძის ორგანიზაციული ლიდერობის გარეშე.

P.S. კრებულზე მუშაობის დროს ეგვიპტეში, შარმ ელ-შეიხში გაეროს კლიმატის კონფერენცია გაიმართა. მხარეთა 27-ე კონფერენციის მონაწილეებმა ისტორიული გადაწყვეტილებები მიიღეს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო ინიციატივა, მდიდარ და განვითარებად ქვეყნებს შორის პასუხისმგებლობების ხელახალ გადანაწილებას უკავშირდება. მხარეები ახალი ფონდის დაარსების თაობაზე შეთანხმდნენ. ფონდის მიზანი იქნება სამხრეთის მოწყვლადი ქვეყნების დახმარება კლიმატის ცვლილების შედეგების დაძლევისა და ბუნებრივი კატასტროფების დამანგრეველ შედეგებთან ბრძოლის საქმეში.

პატივისცემით,

ლევან ლორთქიფანიძე

„კავკასიური სახლის“ გამგეობის თავმჯდომარე

კლიმატის კრიზისი ჩვენი მესამე მსოფლიო ომია, მას გაბედული პასუხი სჭირდება

ჯოზეფ სტიგლიცი *– ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში (2001), კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის ახალი კეინზიანისტური სკოლის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი. მსოფლიო ბანკის ყოფილი მთავარი ეკონომისტი.*

„ახალი მწვანე კურსის“ (The Green New Deal) მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ კლიმატის კრიზისთან გამკლავება გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს. ამასთანავე, ხაზს უსვამენ იმ მასშტაბებსა და ზომებს, რაც კრიზისის წინააღმდეგ საბრძოლველადაა საჭირო. ისინი მართლები არიან. კრიზისის სასწრაფოდ გამკლავების მომხრეები იყენებენ ტერმინს „ახალი კურსი“, რათა გამოიწვიონ ისეთივე მძლავრი რეაგირება, როგორიც ფრანკლინ დელანო რუზველტსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ჰქონდათ დიდი დეპრესიის პასუხად. კიდევ ერთი, უკეთესი ანალოგია, რომლის გაცოცხლებასაც ისინი ესწრაფვიან გახლავთ საყოველთაო მობილიზაცია, რომელიც მეორე მსოფლიო ომში საბრძოლველად გამოაცხადა მთელმა ქვეყანამ.

კრიტიკულად განწყობილი ადამიანები სვამენ კითხვას: „გვაქვს კი ამგვარი შესაძლებლობები?“ და ჩივიან, რომ „ახალი მწვანე კურსის“ მომხრეებს პლანეტის გადასარჩენად ბრძოლა, რაზეც ყოველი გონიერი ადამიანი უნდა თანხმდებოდეს, ერევათ საზოგადოების წინააღმდეგობრივი დღის წესრიგის საფუძველზე გარდაქმნის საქმეში. კრიტიკოსების ორივე მოსაზრება მცდარია.

დიახ, ჩვენ გვაქვს ამის საშუალება, მართებული ფისკალური პოლიტიკისა და კოლექტიური ნების წყალობით. მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ უნდა გვქონდეს „ახალი მწვანე კურსის“ განხორციელების სურვილი, უნდა გვქონდეს გამოწვევასთან გამკლავების ნება. კლიმატის საგანგებო მდგომარეობა არის ჩვენი მესამე მსოფლიო ომი. ჩვენი ცხოვრება და ცივილიზაცია, როგორსაც ჩვენ ვიცნობთ, საფრთხეშია ისევე, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს ემუქრებოდა მას განადგურება.

როდესაც აშშ-ს თავს დაესხნენ მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, არავის უკითხავს: „გვაქვს კი შესაძლებლობა იმისა, რომ ვიბრძოლოთ ამ ომში?“ ეს ეგზისტენციალური საკითხი იყო. ჩვენ არ შეგვეძლო რომ არ გვებრძოლა. იგივე ითქმის კლიმატის კრიზისზე. ჩვენ უკვე გვიწევს თავად გამოვცადოთ საკითხის იგნორირების შედეგი. ბოლო წლებში ქვეყანამ მშპ-ის თითქმის 2% დაკარგა კლიმატთან დაკავშირებული კატასტროფების გამო (იგულისხმება წყალდიდობები, ქარიშხლები და ტყის ხანძრები). ამჟამად, კლიმატთან დაკავშირებული დაავადებების ხარჯები ჩვენი ჯანმრთელობისთვის ჯერ მხოლოდ დათვლის პროცესშია, მაგრამ ის ათეულობით მილიარდ დოლარს მიაღწევს; რომ აღარაფერი ვთქვათ, დაკარგული სიცოცხლეების გამოუანგარიშებელ რაოდენობაზე. ჩვენ ამა თუ იმ გზით, ნებისმიერ შემთხვევაში მოგვიწევს საფასურის გადახდა კლიმატის გაუარესებისთვის. შესაბამისად, სჯობს ახლავე გადავიხადოთ ემისიების შესამცირებლად, ვიდრე დაველოდოთ და მოგვიანებით ბევრად მეტი დავხარჯოთ არა მხოლოდ ამი-

ნდის გაუარესებისთვის, არამედ ზღვის დონის აწევის შედეგების დასაძლევად. ეს კლიშეა, მაგრამ ჭეშმარიტება: an ounce of prevention is worth a pound of cure (ამერიკის დამფუძნებელი მამის, ბენჯამის ფრანკლინის გამონათქვამის მიხედვით, პრევენცია სჯობს მკურნალობას, უკეთესია ხანძრის თავიდან ასაცილებლად ზომების მიღება, ვიდრე გაჩაღებულ ცეცხლთან ბრძოლა).

ომი კლიმატის საგანგებო მდგომარეობასთან, თუ ის სწორად წარიმართება, რეალურად კარგი იქნება ეკონომიკისთვის ისევე, როგორც მეორე მსოფლიო ომმა შექმნა საფუძველი ამერიკის ეკონომიკის ოქროს ეპოქისთვის, ისტორიაში ყველაზე სწრაფი ზრდის ტემპით საერთო კეთილდღეობის კვალდაკვალ. „ახალი მწვანე კურსი“ მოთხოვნის სტიმულირებას მოახდენს, რაც უზრუნველყოფს ყველა არსებული, ხელმისაწვდომი რესურსის გამოყენებას; და მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა სავარაუდოდ, ახალ ბუმს გამოიწვევს. ტრამპის ფოკუსირება წარსულის ინდუსტრიებზე, მაგალითად, ნახშირის მრეწველობაზე, ახშობს ბევრად უფრო გონივრულ ნაბიჯს ქარისა და მზის ენერგიის განვითარების მიმართულებით. განახლებადი ენერგიით გაცილებით მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება, ვიდრე ქვანახშირზე მომუშავე დარგებში დაიკარგება.

„ახალი მწვანე კურსისთვის“ ყველაზე დიდი გამოწვევა იქნება რესურსების დახარისხება, მოწესრიგება. უმუშევრობის დაბალი „ძირითადი“ მაჩვენებლის მიუხედავად, შეერთებულ შტატებს აქვს დიდი რაოდენობით გამოუყენებელი და არაეფექტურად გადანაწილებული რესურსები. შეერთებულ შტატებში დასაქმებულთა წილი სამუშაო ასაკის ადამიანთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით ჯერ კიდევ დაბალია; უფრო დაბალია, ვიდრე წარსულში იყო; დაბალია ბევრ სხვა ქვეყანასთან შედარებით; განსაკუთრებით დაბალია ქალებისა და უმცირესობებისთვის. კარგად შემუშავებული ოჯახური შვებულების მხარდაჭერის პოლიტიკით და შრომის ბაზარზე მეტი დროის მოქნილობით, ჩვენ შეგვიძლია შევმატოთ მეტი ქალი და 65 წელზე უფროსი ასაკის მოქალაქე არსებულ სამუშაო ძალას.

დისკრიმინაციის ხანგრძლივი მემკვიდრეობის გამო, ჩვენი დიდი ადამიანური რესურსი არ გამოიყენება ისე ეფექტურად, როგორც უნდა გამოიყენებოდეს. უკეთესი განათლებისა და ჯანდაცვის პოლიტიკის საშუალებით, ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიებში მეტი ინვესტიციების საფუძველზე, მიწოდების გონივრული პოლიტიკით, ეკონომიკის პროდუქტიულობა შეიძლება გაიზარდოს, რაც უზრუნველყოფს საჭირო რესურსების მობილიზებას კლიმატის გაუარესებასთან საბრძოლველად და მასთან ადაპტაციისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომისტების უმეტესობა თანხმდება, რომ მოკლევადიან პერსპექტივაშიც კი ჯერ კიდევ არის სივრცე გარკვეული ეკონომიკური ზრდისთვის (სივრცე დამატებითი შესაძლებლობების წარმოქმნისთვის, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება გამოყენებულ იქნას კლიმატის კრიზისთან საბრძოლველად), საკამათოდ რჩება ის საკითხი, თუ რამდენად შეიძლება გაიზარდოს გამომუშავება მოკლევადიანი ეკონომიკური ვარდნის გარეშე. თუმცა, აუცილებლად უნდა მოხდეს რესურსების გადანაწილება ამ ომში საბრძოლველად, ისევე როგორც მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას ქალების სამუშაო ძალაში ჩართვამ გააფართოვა პროდუქტიულობის შესაძლებლობები, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი.

ზოგიერთი ცვლილება ადვილი განსახორციელებელი იქნება, მაგალითად, წიაღისეული საწვავის სფეროში ათობით მილიარდი დოლარის სუბსიდირების აღმოფხვრა და რესურსების გადატანა დამაბინძურებელი ენერგიის წარმოებიდან სუფთა ენერგიის წარმოებაში.

ამასთანავე, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკას გაუმართლა: ჩვენ გვაქვს უხეიროდ მოწყობილი საგადასახადო სისტემა, რომელიც რეგრესულია და გააჩნია უამრავი ხვრელი. შესაბამისად, როდესაც ჩვენ გავზრდით ეკონომიკურ ეფექტურობას, ადვილი იქნება იმავდროულად მეტი ფულის მოზიდვა. დამაბინძურებელი მრეწველობის დაბეგვრა, იმის უზრუნველყოფა, რომ კაპიტალი გადაიხდის სულ მცირე ისეთივე მაღალ საგადასახადო განაკვეთს, როგორსაც ის, ვინც საარსებო წყაროსთვის მუშაობს, და საგადასახადო ხარვეზების აღმოფხვრა მთავრობას ტრილიონობით დოლარს მოუტანს მომდევნო 10 წლის განმავლობაში, ეს ფული კი შეიძლება დაიხარჯოს კლიმატის საგანგებო მდგომარეობასთან საბრძოლველად.

უფრო მეტიც, ეროვნული მწვანე ბანკის შექმნის შედეგად დაფინანსდება კერძო სექტორის ბრძოლა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ. გამოიყოფა ფინანსური სახსრები სახლების მფლობელთათვის, რომელთაც სურთ მაღალშემოსავლიანი ინვესტიციების განხორციელება იზოლაციასა და ენერგოეფექტიანობაში, რაც მათ საშუალებას მისცემს აწარმოონ საკუთარი ბრძოლა კლიმატის კრიზისთან. ან გაიცემა კრედიტები ბიზნესისთვის, რომელსაც სურს მწვანე ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად თავისი ქარხნებისა და ოფისების განახლება.

მეორე მსოფლიო ომის სამობილიზაციო ძალისხმევამ გარდაქმნა ჩვენი საზოგადოება. სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკიდან და უმეტესად სოფლის საზოგადოებიდან ჩვენ გადავედით სამრეწველო ეკონომიკასა და ძირითადად, ურბანულ საზოგადოებაზე. ქალთა დროებითმა გათავისუფლებამ და სამუშაო ძალაში ჩართვამ, რათა ქვეყანას შესძლებოდა დაეკმაყოფილებინა ომის საჭიროებები, გრძელვადიანი შედეგები მოიტანა. ამგვარი მასშტაბის გარდაქმნის მიღწევა „ახალი მწვანე კურსის“ მხარდამჭერთა ამბიციაა, რაც არარეალური ნამდვილად არ გახლავთ.

არანაირი მიზეზი არ არსებობს იმისთვის, რომ 21-ე საუკუნის ინოვაციური და მწვანე ეკონომიკა მიჰყვეს წიაღისეულ საწვავზე დაფუძნებულ, მე-20 საუკუნის სამრეწველო საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ მოდელებს, ისევე როგორც არ არსებობდა არანაირი მიზეზი იმისა, რომ სამრეწველო ეკონომიკა მიჰყოლოდა ადრეული საუკუნეების სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა სოციალურ და ეკონომიკურ მოდელებს.

წყარო: The climate crisis is our third world war. It needs a bold response
Joseph Stiglitz / The Guardian

თარგმნა ***ბიძინა ბუჩუკურმა***

ჩვენ ახლა ყველანი კლიმატის დევნილები ვართ

ჯეფრი საქსი *– კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, მდგრადი განვითარების ცენტრის დირექტორი, გაეროს მდგრადი განვითარების ქსელის პრეზიდენტი. გახლდათ გაეროს სამი ბოლოდროინდელი გენერალური მდივნის მრჩეველი.*

2 აგვისტო 2018 წელი

მიმდინარე ზაფხულის ხანძრები, გვალვები და რეკორდულად მაღალი ტემპერატურა გამოღვიძების ზარად უნდა იქცეს მთელი პლანეტისათვის. რაც უფრო დიდხანს გააგრძელებს შეზღუდული და უცოდინარი ელიტა ამერიკელებისა და დანარჩენი კაცობრიობისთვის პოლიტიკურ უდაბნოში უმიზნოდ ხეტიალის სასჯელად დაკისრებას, მით უფრო სავარაუდოა, რომ ჩვენ, ყველანი, უნაყოფო მიწაზე აღმოვჩნდებით.

ნიუ-იორკი – თანამედროვე ადამიანებმა, დაბადებულებმა კონკრეტულ კლიმატურ ეპოქაში, რომელსაც ჰოლოცენს[1] უწოდებენ, გადაკვეთეს საზღვარი და ახალ კლიმატურ ერაში, სხვა ეპოქაში – ანთროპოცენში[2] გადაინაცვლეს. ნაცვლად იმისა, რომ კაცობრიობას ამ ახალ და საშიშ უდაბნოში მოსე მიუძღოდეს წინ, მეცნიერების დამგმობ და მავნებლურ დაჯგუფებას – ბანდას – ცივილიზაცია უფრო დიდი საფრთხისკენ მიჰყავს. ახლა ჩვენ, ყველანი, კლიმატის მიერ დევნილები ვართ და ერთად უნდა დავსახოთ გზა უსაფრთხოებისკენ.

ჰოლოცენი იყო გეოლოგიური ხანა, რომელიც დაიწყო 10 000 წელზე მეტი ხნის წინ, იგი გამოირჩეოდა ხელსაყრელი კლიმატური პირობებით, როგორც ვიცით, ის ხელს უწყობდა ადამიანთა ცივილიზაციის განვითარებას. ანთროპოცენი არის ახალი გეოლოგიური ეპოქა ისეთი ბუნებრივი პირობებით, რომელიც კაცობრიობას აქამდე არასდროს გამოუცდია. ავისმომასწავებელია, რომ დედამიწის ტემპერატურა ახლა უფრო მაღალია, ვიდრე ჰოლოცენის დროს იყო. ტემპერატურის ზრდის მიზეზი ნახშირორჟანგია, რომელიც კაცობრიობამ გამოუშვა ატმოსფეროში ნახშირის, ნავთობისა და გაზის წვის შედეგად, მსოფლიოს ტყეებისა და მდელოების ფერმებად და საძოვრებად გადაქცევით.

ხალხი იტანჯება და იღუპება ახალ გარემოში. სამომავლოდ გაცილებით უარესი მოგველის. გასული წლის სექტემბერში პუერტო რიკოში ქარიშხალმა „მარიამ“ 4000-ზე მეტი სიცოცხლე შეიწირა. მაღალი ინტენსივობის ქარიშხლები სულ უფრო ხშირია, დიდი შტორმი იწვევს მეტ წყალდიდობას, ოკეანეების დათბობის, წყლებში გაზრდილი სითბოს გა-

[1] ჰოლოცენი – ინვარების შემდგომი ეპოქა (ბერძ. hólos – მთელი და kainós – ახალი) – დედამიწის თანამედროვე გეოლოგიური ანუ გამყინვარების შემდგომი ეპოქა, რომელიც გრძელდება უკანასკნელი 12 ათასი წელი თანადროულ დრომდე. მიეკუთვნება მეოთხეულ სისტემას. ჰოლოცენის დასაწყისი ემთხვევა უკანასკნელი კონტინენტური გამყინვარების დასასრულს ჩრდილოეთ ევროპაში. შეესაბამება საზღვარს პალეოლითსა და მეზოლითს შორის. ჰოლოცენის განმავლობაში ხმელეთმა და ზღვამ მიიღო თანამედროვე მოხაზულობა, ჩამოყალიბდა თანამედროვე გეოგრაფიული ზონები და მდინარეების ჭალიანი ტერასები და ტორფნარები. ჰოლოცენის თითქმის 2/3 მოდის ისტორიულ დროზე.

[2] ანთროპოცენი – არაფორმალური ტერმინი, რომლითაც აღნიშნავენ ახალ გეოლოგიურ ეპოქას. ამ ეპოქას გამოარჩევს ადამიანის განსაკუთრებული ზემოქმედება ეკოსისტემებსა და გეოლოგიურ პროცესებზე. ანთროპოცენი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია ადამიანის აქტივობის ზრდის საფუძველზე კლიმატის ცვლილების დაჩქარებისა.

დაცემის, თბილ ჰაერში მეტი ტენიანობისა და ზღვის დონის მატების მიზეზით. ადამიანის მიერ გამოწვეული კლიმატის ცვლილების გამო, პროცესი კიდევ უფრო ექსტრემალურ ხასიათს იძენს.

გასულ თვეში, ათენის გარეუბნებში 90-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა გვალვისა და მაღალი ტემპერატურის გამო გაჩენილი ტყის გამანადგურებელი ხანძრის შედეგად. ტყის უზარმაზარი ხანძრები ანალოგიურად მძვინვარებს სხვა ცხელ და ახლად გაუდაბნოებულ ადგილებში, მათ შორის კალიფორნიაში, შვედეთში, ბრიტანეთსა და ავსტრალიაში. გასულ წელს პორტუგალიაც გაჩანაგდა. 2018 წლის ზაფხულში მსოფლიოს არაერთ მხარეში ტემპერატურის მაჩვენებელმა რეკორდულად მაღალ ნიშნულს მიაღწია.

როგორი უგუნურება გახლდათ კაცობრიობის მხრიდან ჰოლოცენის საზღვრების გადალახვა და ყველა აშკარა გამაფრთხილებელი ნიშნის, საშინელებათა ფილმის გამოგონებული პერსონაჟის მსგავსად, არად ჩაგდება. 1972 წელს მსოფლიოს მთავრობები შეიკრიბნენ სტოკჰოლმში მზარდი გარემოსდაცვითი საფრთხეების გასამკლავებლად. კონფერენციის წინ, რომის კლუბმა გამოაქვეყნა პუბლიკაცია „ზრდის საზღვრები“, რომელმაც პირველად წარმოადგინა „მდგრადი“ ზრდის მიმართულების იდეა და ხაზი გაუსვა ეკოლოგიური ნორმების დარღვევისა და გარემოს შესაძლებლობების გადაჭარბების რისკებს. ოცი წლის შემდეგ გამაფრთხილებელი ნიშნები კიდევ უფრო მკვეთრად წარმოჩნდა რიო-დე-ჟანეიროში, სადაც გაეროს წევრმა ქვეყნებმა დედამიწის სამიტზე მოიყარეს თავი. სამიტის ამოცანა გახლდათ „მდგრადი განვითარების“ კონცეფციის აღიარება და სამი ძირითადი გარემოსდაცვითი ხელშეკრულების ხელმოწერა, რათა ხელი შეეწყოთ ადამიანის მიერ გამოწვეული გლობალური დათბობის შესაჩერებლად. ხელშეკრულებებში აქცენტი დასმული იყო ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვასა და მიწის დეგრადაციის, გაუდაბნოების შეჩერებაზე.

1992 წლის შემდეგ შეერთებულმა შტატებმა, მსოფლიოს ყველაზე ძლიერმა ქვეყანამ, დემონსტრაციულად უგულებელყო სამი ახალი ხელშეკრულება, რითაც სხვა ქვეყნებსაც მიანიშნა, რომ მათაც შეეძლოთ თავიანთი ძალისხმევის შერბილება. აშშ-ის სენატმა მოახერხა კლიმატისა და გაუდაბნოების ხელშეკრულებების რატიფიცირება, მაგრამ არაფერი გააკეთა მათი აღსრულებისთვის. ამასთანავე, ამერიკის საკანონმდებლო ორგანომ უარი თქვა ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის მიზნით შექმნილი ხელშეკრულების ამოქმედებაზე, რაც ნაწილობრივ განპირობებული გახლდათ დასავლეთის შტატებიდან არჩეულ რესპუბლიკელთა პოზიციით. მათი მტკიცებით, მიწათმფლობელებს თავიანთი კერძო საკუთრების ტერიტორიაზე აქვთ უფლება გააკეთონ ის, რაც მოესურვებათ, საერთაშორისო ჩარევის გარეშე.

სულ ახლახან, 2015 წლის სექტემბერში მსოფლიომ მიიღო მდგრადი განვითარების მიზნები, 2015 წლის დეკემბერში კი პარიზის კლიმატის შეთანხმებას მოეწერა ხელი. თუმცა, კიდევ ერთხელ, აშშ-ის მთავრობამ განგებ უგულებელყო მდგრადი განვითარების მიზნები და G20-ის ქვეყნებს შორის უკანასკნელი ადგილი დაიკავა მიზნების აღსრულების მიმართულებით გაწეული ძალისხმევის თვალსაზრისით. ამასთანავე, პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა თავისი განზრახვის შესახებ. მას სურს, რომ ამერიკას პარიზის კლიმატის შეთანხმება უმოკლეს დროში, შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის გასვლის შემდეგ დაატოვებინოს.

წინ უარესი გველის. CO_2-ის ადამიანის მიერ გამოწვეულ მატებას ჯერ არ მიუღწევია

სრული დათბობის ეფექტისთვის, რადგან ოკეანის ტემპერატურაზე მისი ზემოქმედება გვიან აისახება. უახლოეს ათწლეულებში, ატმოსფეროში ამჟამინდელი CO_2 კონცენტრაციიდან გამომდინარე მოსალოდნელია დათბობა დაახლოებით 0,5 გრადუსით. დათბობა გაცილებით მაღალ ნიშნულს მიაღწევს, თუ CO_2-ის კონცენტრაცია განაგრძობს ზრდას ბიზნესის მიერ წიაღისეული საწვავის ჩვეულებისამებრ გამოყენების საფუძველზე. პარიზის შეთანხმების მიზნის პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით დათბობის ორ გრადუსამდე შეზღუდვის მისაღწევად, მსოფლიომ დაახლოებით 2050 წლისთვის ქვანახშირიდან, ნავთობისა და გაზიდან აუცილებლად უნდა გადაინაცვლოს განახლებად ენერგიაზე, ხოლო ტყეების გაჩეხის ნაცვლად ხელი უნდა მიჰყოს ტყეების გაშენებასა და დეგრადირებული მიწების აღდგენას.

რატომ მიექანება კაცობრიობა სულელურად წინ, გარდაუვალი ტრაგედიისკენ?

მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჩვენი პოლიტიკური ინსტიტუტები და გიგანტური კორპორაციები განზრახ უგულებელყოფენ მზარდ საფრთხეებს, დანაკლისსა და ზარალს. დღეს პოლიტიკა დაკავშირებულია ძალაუფლების მოპოვებასა და შენარჩუნებასთან, თანამდებობრივი სარგებლის მიღებასა და არა პრობლემების გადაჭრასთან, თუნდაც საქმე სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს, გარემოსდაცვით პრობლემებს ეხებოდეს. მსხვილი კომპანიის მართვა მხოლოდ აქციონერთა შემოსავლების, აქციების ღირებულების მაქსიმალურ ზრდას ემსახურება და არა სიმართლის თქმას ან პლანეტისთვის უზარმაზარი ზიანის თავიდან აცილებას. მოგების მაძიებელი ინვესტორები ფლობენ ძირითად მედია საშუალებებს, ან მინიმუმ გავლენას ახდენენ მათზე სარეკლამო შესყიდვების საშუალებით. ამგვარად, პატარა, მაგრამ ძლევამოსილი ჯგუფი ინარჩუნებს წიაღისეულ საწვავზე დაფუძნებულ ენერგეტიკულ სისტემას, რომელიც საფრთხეს უქმნის კაცობრიობას აწმყოსა და მომავალში.

ტრამპი არის უკანასკნელი სასარგებლო სულელი, რომელიც ასრულებს დამბინძურებელთა ბრძანებებს. ამგვარ გადაწყვეტილებებს ზურგს უმაგრებენ კონგრესის წევრი რესპუბლიკელები, რომლებიც თავიანთი საარჩევნო კამპანიების დაფინანსებას Koch Industries მსგავსი გარემოსდაცვითი დამნაშავეების ხარჯზე ახერხებენ. ტრამპმა გაავსო აშშ-ის მთავრობა ინდუსტრიის ლობისტებით, რომლებიც სისტემატურად აუქმებენ ყველა გარემოსდაცვით რეგულაციას, რომელთანაც ხელი მიუწვდებათ. სულ ახლახან, ტრამპმა გარემოს დაცვის სააგენტოს ერთ-ერთი პროგრამის ხელმძღვანელად წარადგინა მეგადამბინძურებლის, Dow Chemical-ის, ყოფილი იურისტი. დაუჯერებელი და წარმოუდგენელია!

ჩვენ გვჭირდება ახალი ტიპის პოლიტიკა, რომელიც დაიწყება მკაფიო გლობალური მიზნით. ეს მიზანი უნდა იყოს პლანეტაზე მცხოვრებ ხალხთა გარემოსდაცვითი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც შესაძლებელია პარიზის კლიმატის შეთანხმების შესრულებით, ბიომრავალფეროვნების დაცვითა და ჰაერის დაბინძურების შემცირებით. ბიომრავალფეროვნების შემცირება, ჰაერის დაბინძურება, გლობალური დათბობა ყოველწლიურად მილიონობით ადამიანს კლავს.

ახალი პოლიტიკა მოუსმენს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ექსპერტებს და არა პი-

რადი მოგებით დაინტერესებულ ბიზნესლიდერებსა და ნარცის პოლიტიკოსებს. კლიმატოლოგები საშუალებას გვაძლევენ გავზომოთ მზარდი საფრთხეები. ინჟინრები გვამცნობენ, თუ როგორ უნდა მოხდეს 2050 წლისთვის სწრაფი გადასვლა ნულოვანი ნახშირბადის ენერგეტიკაზე. ეკოლოგები და აგრონომები გვიჩვენებენ, თუ როგორ უნდა მოვიყვანოთ მეტი და უკეთესი მოსავალი ნაკლებ მიწაზე და ამავდროულად დავასრულოთ ტყეების გაჩეხა, დავიწყოთ წარსულში დეგრადირებული მიწების აღდგენა.

ასეთი პოლიტიკა შესაძლებელია. მეტიც, საზოგადოებას ის სწყურია. მაგალითად, ამერიკელი ხალხის დიდ უმრავლესობას სურს გლობალურ დათბობასთან ბრძოლა, პარიზის კლიმატის შეთანხმებაში დარჩენა და განახლებადი ენერგიის დანერგვა. მიუხედავად ამისა, რაც უფრო დიდხანს გააგრძელებს შეზღუდული და უცოდინარი ელიტა ამერიკელებისა და დანარჩენი კაცობრიობისთვის პოლიტიკურ უდაბნოში უმიზნოდ ხეტიალის სასჯელად დაკისრებას, მით უფრო სავარაუდოა, რომ ჩვენ, ყველანი, უნაყოფო მიწაზე აღმოვჩნდებით.

წყარო:

https://www.project-syndicate.org/commentary/climate-change-disaster-in-the-making-by-jeffrey-d-sachs-2018-08

თარგმნა ***ბიძინა ბუჩუკურმა***

რა არის „ნეტ ზერო“?

ჯომ ბიურკი *– გრენთჰემის კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაცვის კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი.*

30 აპრილი 2019

მიმდინარე კვირის ხუთშაბათს, გაერთიანებული სამეფოს მრჩეველთა საბჭო კლიმატის ცვლილების დარგში ადგილობრივ მთავრობას რეკომენდაციის სახით წარუდგენს ნულოვანი ბადის, ანუ პროექტ „ნეტ ზეროს“ საბოლოო მიზნებს. სტატიაში განვიხილავთ, თუ რას გულისხმობს „ნეტ ზეროს“ სტრატეგია და რა მთავარი გამოწვევები არსებობს მორალური თუ ტექნოლოგიური პერსპექტივიდან მის მისაღწევად, გაერთიანებულ სამეფოსა და მთელ მსოფლიოში.

მეცნიერები მრავალი წელია ამტკიცებენ, რომ ადამიანთა საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნახშირორჟანგის (CO_2) შეუსაბამოდ დიდი რაოდენობა დიდწილად განსაზღვრავს გლობალურ დათბობას, რაც ნიშნავს, რომ კატასტროფული კლიმატური ცვლილებების თავიდან ასაცილებლად საჭიროა CO_2 ემისიების დაყვანა ნულოვან ნიშნულამდე. სწორედ მეცნიერულმა კვლევებმა და დასკვნებმა უბიძგეს მსოფლიოს მთავრობებს პარიზის 2015 წლის შეთანხმებით აეღოთ პასუხისმგებლობა, დაეცვათ ბალანსი ემისიებსა და სათბური გაზების ატმოსფეროდან გაქრობას შორის.

„ნეტ ზერო“ გულისხმობს კლიმატის ცვლილების პრევენციულ სტრატეგიას, რომლის მიზანიცაა მიაღწიოს ბალანსს, წარმოებულ ემისიებსა და ატმოსფეროდან ამოღებულ ემისიებს შორის. შედარებისთვის შეგვიძლია განვიხილოთ წყლის გამდინარე ავზისა და მოშვებული ონკანის მაგალითი. ამ მიდგომის მთავარი პრინციპია წონასწორობის იმგვარად დაცვა, რომ ავზში წყალი არ დაგროვდეს. მაშასადამე, ერთი მხრივ, შესაძლებელია ონკანიდან წყლის ჭავლის შემცირება (ემისიების), მეორე მხრივ, გვაქვს შესაძლებლობა ავზიდან ზუსტად იმავე რაოდენობით წყლის გადინებას შევუწყოთ ხელი (ატმოსფეროდან ემისიების ამოღება, რაც მოიცავს ემისიების დაკონსერვებას ნახშირბადის ბუნებრივ ავზებში).

კლიმატის ცვლილების პრევენციის სხვა სტრატეგიებთან შედარებით[1], პროექტი „ნეტ ზერო“ გაცილებით უფრო რეალისტურია, რადგან ის დასაშვებად მიიჩნევს გადამუშავების შედეგად გამოყოფილი ემისიების გარკვეულ რაოდენობას. სტრატეგიის შემქმნელები ითვალისწინებენ მოცემულობას, რომ წარმოების კონკრეტულ სექტორებს ადვილად ვერ მივუდგებით. მაგალითისთვის, ემისიების შემცირება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ავიაცია და გადამამუშავებელი მრეწველობა, საკმაოდ დიდ დანახარჯებს მოითხოვს, ან უბრალოდ შეუძლებელია ტექნოლოგიური და ლოჯისტიკური პერსპექტივიდან.

ნეტ ზეროს“ სცენარის მიხედვით ამ სექტორებიდან წარმოებული ემისიები დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მათი ატმოსფეროდან ამოღება ბუნებრივი ან ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით – *მთლიანი უარყოფითი ემისია*.

[1] *Gross zero target* – ატმოსფეროდან ემისიების ამოღებისა და მისი წარმომქმნელი საშუალებების სრულად გაუქმების სტრატეგია.

აღნიშნული სცენარი შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა საშუალებებით, ბუნებრივი ან ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით. თავდაპირველად, ბუნებრივი საშუალებები შესაძლოა გულისხმობდეს უფრო მეტი ხეების დარგვას, რათა ფოტოსინთეზის პროცესისას ნახშირორჟანგის შთანთქმა მოხდეს. ახალი ტყეების გაშენება ან არსებული ტყეების აღდგენა სცენარის ხელშემწყობ ფაქტორებად შეგვიძლია განვიხილოთ.

ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ყველაზე ფართოდ გამოყენებადი მეთოდი „ნახშირბადის ხელში ჩაგდება და მისი დაკონსერვებაა“ (CCS). ეს საშუალება გულისხმობს ნახშირორჟანგის იქამდე შეკავებას, სანამ ის ატმოსფეროში გავრცელდება, ბუნებრივი წიაღისეულის წვის შედეგად გამოყოფილი სათბური გაზებისგან ნახშირბადის გამოყოფით, გამოცალკევებით. ნახშირორჟანგის შეკავების შემდეგ ხდება მისი შეკუმშვა თხევად მდგომარეობაში და ტრანსპორტირება, რათა მისი მიწისქვეშ დაკონსერვება მოხდეს, როგორც წესი, ერთი კილომეტრის სიღრმეზე, დაცარიელებულ ნავთობისა და გაზის რეზერვუარებში. აღნიშნულ ტექნოლოგიას შეუძლია ბუნებრივი წიაღისეულის წვის, ინდუსტრიული პროცესებისა და ელექტროენერგიის გენერაციის შედეგად გამოყოფილი CO_2-ის 90%-მდე დაკონსერვება.

ზემოთ ჩამოთვლილი მიდგმოების კომბინაციას, ბიოენერგიის გამოყენებასა და ნახშირბადის დაკონსერვებას გულისხმობს ე.წ „BECCS“ პროექტიც, რომელიც მეტწილად კონცენტრირდება სხვადასხვა მცენარეებისა და ხეების გაზრდაზე, მოსავლის აღებასა და მათ გამოყენებაზე ენერგიის წარმოებისათვის, ხოლო შემდეგ ითვალისწინებს ნახშირბადის დაკონსერვებასა და შენახვას მიწისქვეშა რეზერვუარებში.

გარდა ამისა, არსებობს პირდაპირი „ჰაეროვანი მოპოვების მეთოდიც“ (DAC – Direct Air Capture), რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს ნახშირორჟანგის განცალკევება ჰაერიდან, ხოლო შემდეგ მისი გარდაქმნა ჟანგბადის მოლეკულებად. ეს მეთოდი მრავალი ათწლეულია გამოიყენება დახურულ სივრცეებში, სადაც ჟანგბადი არ არის ხელმისაწვდომი, მაგალითად, წყალქვეშა ნავებსა და კოსმოსურ ხომალდებში. ასეთ გარემოში CO_2-ის განცალკევება ჰაერიდან აუცილებელია იქამდე, სანამ მისი კონცენტრაცია ჰაერში გაიზრდება და ადამიანებისთვის სუნთქვა გართულდება. თუმცა, ამ მეთოდთან დაკავშირებით მრავალი კითხვა არსებობს, რომელიც საეჭვოს ხდის მის ეკონომიკურ სარგებლიანობას. ეს გზა არ არის მარტივი გამოსავალი კომპლექსური პრობლემის მოსაგვარებლად. ის ფაქტიც, რომ ემისიების გარკვეული ნაწილი კვლავ იარსებებს ატმოსფეროში, ბადებს სერიოზულ ეჭვებს „ნეტ ზერო“ სტრატეგიის რეალურობაზე.

რა მასშტაბისაა ნარჩენი ემისიები?

კლიმატის ცვლილებების კომისიის უკანასკნელი ანგარიშის მიხედვით, იმ შემთხვევაშიც კი თუ დღეს არსებული ბუნებრივი და ტექნოლოგიური საშუალებების მაქსიმალურად გამოყენება მოხდება ენერგიის, ტრანსპორტის, გათბობის, ინდუსტრიისა და სასოფლო-სამეურნეო სექტორებში ნახშირორჟანგის შესაკავებლად, დაახლოებით 130 მილიონი ტონა ნახშირორჟანგი ან მისი ეკვივალენტი ($MtCO_2e$) მაინც დარჩება ატმოსფეროში, ხოლო ამ ნარჩენის ამოღებას მთლიანი უარყოფითი ემისიების ტექნოლოგიებით დაახლოებით ერთი წელი დასჭირდება.

აღნიშნული 130 მილიონი ტონა ნარჩენიდან 24% მოდის ინდუსტრიულ წარმოე-

ბაზე, ავიაციაზე 31%, ხოლო სათბურ გაზებზე (ძირითადად, სოფლის მეურნეობიდან), დაახლოებით 36%.

ემისიების ეს რაოდენობა უნდა შემცირდეს იმ ზღვრამდე, რომელიც შესაძლებელია დაბალანსდეს უარყოფითი ემისიების სტრატეგიის გამოყენებით.

რა რაოდენობით უნდა მოხდეს ნარჩენი ემისიების შემცირება გაერთიანებულ სამეფოში?

კიდევ ერთი სტრატეგია, რომელიც შესაძლოა სახელმწიფოებმა გამოიყენონ, არის სხვა ქვეყნებისავის თანხის გადახდა მათ მიერ გამოყოფილი ემისიების დასაბალანსებლად. ამ მიდგომას იყენებენ განსაკუთრებით ისეთ სახელმწიფოებში, სადაც ემისიების შეკავება რთულად განსახორციელებელი პროცესია. სხვა ქვეყნის დაფინანსებით, რომელიც იყენებს უარყოფითი ემისიების ტექნოლოგიასა და ბუნებრივ საშუალებებს, ბალანსირდება შენი ქვეყნის მიერ წარმოებული ემისიები, შესაბამისად გლობალური პერსპექტივიდან „ნეტ ზერო“ სტრატეგია ნარჩუნდება (ინდუსტრიულ და არაინდუსტრიულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობით).

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ეს იდეა მომხიბვლელად ჟღერს, ენერგოტრანზიციის კომისიის თავმჯდომარემ ის მწვავედ გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ გაერთიანებული სამეფოს „ნეტ ზეროს“ მიზნები უნდა გაიზომოს მხოლოდ და მხოლოდ გაერთიანებული სამეფოს საზღვრებს შიგნით, რადგან თუ მსოფლიოს ყველა ქვეყანა ამავე სტრატეგიას მიმართავს, მაშინ „ნეტ ზერო“ თავის მიზნებს ვერასდროს განახორციელებს. მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა კოსტა-რიკაა, რომლის მთავრობის წევრებმაც ღიად განაცხადეს, რომ ისინი სხვა ქვეყანას საკუთარი ემისიების დაბალანსებას არ მოსთხოვენ.

გაერთიანებული სამეფო, ისტორიულად მაღალი ემისიების მწარმოებელი ქვეყანა იყო და ასეთადვე რჩება, შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს მორალური პასუხისმგებლობა, შეამციროს ნახშირორჟანგის გამოყოფა იმ ნიშნულამდე, რომელიც ფიზიკურადაა შესაძლებელი. მორალური არგუმენტის მიღმა არის რაციონალური მიზეზიც, რომლის მიხედვითაც ის ქვეყნები, რომლებიც ყველაზე მეტად მოიხმარენ ბუნებრივ წიაღისეულებს, ვალდებულნი არიან ყველაზე მეტად შეუწყონ ხელი კლიმატის ცვლილებების პრევენციული სტრატეგიების დანერგვასაც, რადგან ემისიების დიდი წილი სწორედ მათზე მოდის.

პარიზის 2015 წლის შეთანხმებაც აღნიშნავს, რომ მდიდარმა სახელმწიფოებმა უფრო სწრაფად უნდა მოახდინონ მათი ეკონომიკების დეკარბონიზაცია, ვიდრე განვითარებადი ეკონომიკების მქონე სახელმწიფოებმა.

როგორია „ნეტ ზეროს“ სტრატეგიის ვადები?

კლიმატის ცვლილების კომიტეტის საბოლოო საფეხური „ნეტ ზეროს“ სტრატეგიის ვადების დადგენაა. სულ განიხილება ოთხი ვარიანტი: 2025, 2045, 2050 წლები ან ნებისმიერი წელი ამ უკანასკნელის შემდგომ.

ჩამოთვლილი ვარიანტებიდან ყველაზე მეტად ამბიციური 2025 წლის ნიშნულია, რო-

მელსაც „გადაშენების წინააღმდეგ აჯანყებულთა მოძრაობა“[2] მოითხოვს. მან კლიმატის ცვლილებებისა და გარემოს დაცვით საკითხებში მრავალი გადაუდებელი საკითხი წამოწია წინ და მთავრობის ყურადღებაც მიიქცია, თუმცა 2025 წელი კვლავ არარეალისტურ თარიღად მიიჩნევა. ზოგიერთი ტექნოლოგია „ნეტ ზეროს“ მიზნების მისაღწევად ჯერ არც არსებობს, ხოლო ის ტექნოლოგიები, რომელთა კონცეფციებიც შემუშავებულია ასე სწრაფად ვერ დაინერგება. ამავდროულად ტყეების განაშენიანებასა და აღდგენას ათწლეულები სჭირდება. სირთულეები ეკონომიკური პერსპექტივიდანაც იკვეთება, ასეთ მოკლე პერიოდში მსგავსი ტექნოლოგიების გამოცდასა და გავრცელებას დიდი ფინანსური კაპიტალი სჭირდება, რაც დაბალშემოსავლიანი სახელმწიფოებისთვის ურთულესი დაბრკოლებაა. აქედან გამომდინარე, ალბათობა იმისა, რომ 2025 წელი „ნეტ ზეროს“ სტრატეგიისთვის ათვლის წერტილი იქნება საკმაოდ დაბალია.

2045 წლის ნიშნულს რეალისტურად მიიჩნევენ შვედეთისა და ნორვეგიის სახელმწიფოები, რომელნიც „ნეტ ზეროს“ მიზნების მკაცრად შესრულებასა და ამ კუთხით საერთაშორისო არენაზე ლიდერობას აპირებენ. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ დიდი ბრიტანეთის როლი, როგორც ლიდერი სახელმწიფოსი კლიმატის ცვლილებების დიპლომატიის დარგში, აუცილებლად დაკნინდება. საჭიროა იმის გაანალიზებაც, რომ დიდი ბრიტანეთი ახლოსაც არაა დაამტკიცოს მისი მე-4 ან მე-5 ნახშირბადის ბიუჯეტი[3], შესაბამისად ვადების დაჩქარება მიზნების სწრაფად შესასრულებლად საეჭვოა.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, 2050 წელი ბრიტანეთისთვის გლობალურადაც ყველაზე რეალისტურ თარიღად მიიჩნევა, როგორც ამაზე გაზეთმა *„Financial Times“*-მა მიანიშნა. ამავდროულად, ეს ათვლის წერტილი არ მოითხოვს *2008 წლის კლიმატის ცვლილებების აქტის* რევიზიას, თუმცა 2050 წლის ნიშნულიდან ნებისმიერი გადახრის შემთხვევაში საჭირო იქნება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ახალი კანონპროექტის შემუშავება.

წყარო:
https://www.lse.ac.uk/GranthamInstitute/news/what-is-net-zero/

თარგმნა ***ნიკოლოზ ჭანტურიამ***

[2] დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული გლობალური გარემოსდაცვითი სოციალური მოძრაობა. იყენებს ბრძოლის არაძალადობრივ მეთოდებს. 2018 წელს პროტესტის ნიშნად დაბლოკეს მდინარე ტემზის ხუთი ხიდი. 2019 წლის აპრილში გადაკეტეს ლონდონის ხუთი ცენტრალური მოედანი თუ გზაჯვარედინი.

[3] 2008 წელს მიღებული „კლიმატის ცვლილების აქტის“ საფუძველზე, გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ვალდებულია შეადგინოს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის დაფინანსების 5-5-წლიანი გეგმები.

ნახშირბადით ვაჭრობა: მოკლე შესავალი დამწყებთათვის

უგურ აკინჩი *– ტექნიკური კომუნიკაციების დოქტორი, Society for Technical Communication Washington D.C. & Baltimore Chapter (STC WDCB) – ის უფროსი მკვლევარი*

ნახშირბადით ვაჭრობას შეუძლია გლობალური დათბობის დამარცხება და პლანეტის გადარჩენა

კლიმატის ცვლილების აჩქარებული ტემპის პარალელურად აუცილებელია ვიპოვოთ ამ პრობლემის გადაჭრის საშუალებები.

კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგოდ ერთ-ერთი გამოსავალია ქვეყნებს შორის ნახშირბადით ვაჭრობა, რომელიც 1990-იანი წლებიდან წარმატებით გამოიყენება ჯამური ემისიების შესამცირებლად. ამ სტატიაში ვისაუბრებთ, თუ როგორ მუშაობს ნახშირბადით ვაჭრობა და რატომ არის გლობალური დათბობის შეჩერება მნიშვნელოვანი.

ემისიების შესამცირებლად, ქვეყნები მრავალი წელია იყენებენ ნახშირბადით ვაჭრობის მეთოდს (Carbon Trading), რომლის მიხედვითაც ისინი ერთგვარ კრედიტებს იღებენ საკუთარი ემისიების შემცირებით ან ყიდულობენ კრედიტებს იმ ქვეყნებისგან, რომლებმაც შეამცირეს ემისიების რაოდენობა მათსავე ტერიტორიებზე. ამ სცენარის მიხედვით ორივე მხარე მოგებული რჩება, რადგან ორივეს შეუძლია ემისიების შემცირება ისე, რომ მათ ეკონომიკურ ზრდასა და სამუშაო ადგილებს საფრთხე არ შეექმნას. აუცილებელია, რაც შეიძლება მეტ ადამიანში ამაღლდეს ცნობიერება კლიმატის ცვლილების საკითხთან დაკავშირებით, რადგან ამ შემთხვევაში მისი შეჩერების შანსები იზრდება.

რა არის ნახშირბადით ვაჭრობა?

ნახშირბადით ვაჭრობა, როგორც ტერმინი საკუთარ თავში მოიცავს ნებისმიერ აქტივობას, რომელიც ზღუდავს და ლიმიტს უწესებს CO_2-ის ემისიას ატმოსფეროში. ძირითადად ეს აქტივობებია: ნახშირბადის დაბეგვრა, ნახშირბადის ფასის დადგენა და მისი კომპენსირება.

ნახშირორჟანგი არის სათბური გაზი. ის შთანთქავს იმ სითბოს, რომელსაც ადამიანები გამოვიმუშავებთ სხვადასხვა აქტივობების შედეგად და ხელს უშლის ჩვენი პლანეტის გაგრილებას, რადგან არ აძლევს გამომუშავებულ სითბოს კოსმოსში გაფანტვის საშუალებას, შესაბამისად შეგვიძლია CO_2 განვიხილოთ, როგორც ერთგვარი სითბური ხაფანგი. სწორედ ნახშირორჟანგის ჭარბი რაოდენობაა გლობალური დათბობის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი.

ნაშირბადით ვაჭრობა ლიმიტს უწესებს ნახშირორჟანგის ემისიებს, რადგან ის საშუა-

ლებას აძლევს ქვეყნებს, რომელთაც შედარებით მცირედი ემისიების მაჩვენებლები (არა-ინდუსტრიული ან მცირე ინდუსტრიის მქონე ქვეყნები) აქვთ, მიჰყიდონ მათი ნახშირბადის კრედიტები იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც ემისიების მაღალი მაჩვენებლები აქვთ (ინდუსტრიული და მოსახლეობის დიდი რაოდენობის მქონე ქვეყნები), რაც საერთო ჯამში გლობალური პერსპექტივიდან დადებითად აისახება კლიმატის ცვლილების პრევენციაზე.

როგორ მუშაობს ნახშირბადით ვაჭრობა?

ნახშირბადით ვაჭრობა მუშაობს ემისიის ლიმიტების დადგენითა და შესაბამისი ნებართვების გაცემით ინდუსტრიულ ობიექტებსა და მსგავსი სახის ბიზნესებზე. თუ კონკრეტული კომპანია უფრო ნაკლებ ნახშირბადს გამოყოფს, ვიდრე ნებართვაში მითითებული ლიმიტია, ეს კომპანია იღებს ნახშირბადის კრედიტების სიჭარბეს.

სწორედ ეს სიჭარბე შეუძლია შემდეგ ბაზარზე მიჰყიდოს სხვა კომპანიას, რომელმაც ნებართვაში მითითებულ ემისიების ლიმიტს გადააჭარბა საკუთარი სამრეწველო საქმიანობის შედეგად, რაც საერთო ჯამში აბალანსებს გადაცდომებს.

ნახშირბადით ვაჭრობის სისტემა უზრუნველყოფს არა მხოლოდ ემისიების ლიმიტირებას, არამედ მათ რეგულირებასაც. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნახშირბადით ვაჭრობა მისი ერთგვარი დაბეგვრის მეთოდიცაა.

ემისიების ლიმიტზე გადაჭარბებისათვის დაწესებული ჯარიმაც და ნახშირბადის კრედიტებით ვაჭრობაც წამახალისებელი მექანიზმებია ყველა ინდუსტრიული ობიექტისთვის, რათა შედარებით ნაკლები ნახშირორჟანგის ემისია მოხდეს.

რას ნიშნავს კარბონ-ნეიტრალური კომპანია?

კარბონ-ნეიტრალური კომპანია გულისხმობს ისეთ ორგანიზაციას, რომელიც მის მიერ წარმოებული სათბური გაზების ემისიას აბალანსებს ატმოსფეროდან იმავე რაოდენობის ემისიების ამოღებით, შთანთქმით. კონკრეტულ კომპანიას კარბონ-ნეიტრალურობის სერთიფიკატი მიენიჭება, მხოლოდ მას შემდეგ, თუ ის დააკმაყოფილებს ხუთმუხლიან სპეციალურად შექმნილ პროტოკოლს. [1]

რა არის ნახშირბადის კრედიტები?

ნახშირბადის კრედიტები გაიცემა ნახშირბადით მოვაჭრე სუბიექტებისთვის ან მწარმოებლებისთვის, რომლებმაც შეამცირეს ნახშირბადის ემისიები ან გააუმჯობესეს მისი შთანთქმის მექანიზმები.

ერთი ნახშირბადის კრედიტი წარმოადგენს ერთ ტონა ნახშირორჟანგს, რომელიც შემცირდა, აღმოიფხვრა ან ჩამოშორდა კონკრეტულ პროექტს.

სწორედ კრედიტების ამ სისტემას იყენებს პარიზის 2015 წლის კლიმატის შეთანხმება, რომელიც ავალდებულებს კომპანიებს წარადგინონ მათი ემისიების მაჩვენებლები[2].

[1] https://carbonneutral.com/how
[2] https://carbonfund.org/verified-emission-reductions/

რას ნიშნავს ნახშირბადის კომპენსირება?

ნახშირბადის კომპენსირება გულისხმობს ნახშირბადის კრედიტების ისეთ გამოყენებას, როდესაც კომპანიებს საშუალება ეძლევათ ემისიების შემცირებას მიაღწიონ არა პირდაპირ მათი საქმიანობიდან გამომდინარე, არამედ ინვესტირებით ე.წ „Carbon Sink“ პროექტებში[3] (ძირითად შემთხვევაში, ტყეების გაშენება და მათი აღდგენა).

კომპენსაციის ეფექტურობის დადგენა ხდება შემცირებული ნახშირორჟანგის ემისიების გაზომვით ან ატმოსფეროდან მოცილებული ემისიების რაოდენობით. კომპენსირების სტრატეგიის იმპლემენტაციით კომპანიები ასევე იღებენ კრედიტებს, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეუძლიათ სხვა კომპანიებს მიჰყიდონ, რომელთაც სჭირდებათ მათი ნახშირბადის ლიმიტის დაცვა.

კომპენსაციის სტრატეგიის განხორციელება ნებისმიერ ქვეყანაშია შესაძლებელი, იმ შემთხვევაში თუ „Clean Development Mechanism“-ის აღმასრულებელი საბჭო შესაბამის ნებართვას გასცემს.

ნებართვის მოპოვების შემდეგ აღმასრულებელი საბჭო გასცემს კრედიტებს, რაც უტოლდება ერთ ტონა ნახშირორჟანგს. აღნიშნულ კრედიტებს კომპანიები ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „სერტიფიცირებულ ემისიათა შემცირებას“ (CER). კომპანიებს შეუძლიათ CER-ის შესყიდვა სხვა კომპანიებისგან იმ შემთხვევაში, თუ ისინი პარიზის 2015 წლის მიერ დადგენილ ემისიების ლიმიტებს გადააჭარბებენ.

რა არის ნახშირბადის მშთანთქმელი?

ნახშირბადის მშთანთქმელი (Carbon Sink) გულისხმობს ბუნებრივ ან ადამიანის მიერ მართულ ტერიტორიებს, რომლებიც ატმოსფეროდან ნახშირორჟანგის შთანთქმას უწყობენ ხელს.

საპირისპიროდ, ნახშირბადის წყაროდ (Carbon source) მოიხსენიებენ ყველა იმ საშუალებას, რომელიც უფრო მეტ ნახშირბადს გამოყოფს, ვიდრე შთანთქავს. მაგალითად, ბუნებრივი წიაღისეულების წვა და ვულკანების ამოფრქვევა ნახშირბადის წყაროებია.

ნახშირბადის მშთანთქმელი ჰაერს აცილებს ნახშირორჟანგს და მას ინახავს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. უმეტესწილად ეს ხდება ხეების, ნიადაგის, ბიომასისა და სხვა ნახშირბადის შემცველ მასალებში.

მეცნიერების გამოთვლებით ნახშირბადის ნიჟარების აქტივობათა მხოლოდ 20% მიმდინარეობს ხმელეთზე, ხოლო მისი უდიდესი ნაწილი, 80% ოკეანეებში.

ადამიანთა ქმედებებს უარყოფითი გავლენა აქვს ნახშირბადის ნიჟარებზე. ტყეთა განადგურებისა და ჭაობების დაშრობის შედეგად დიდი რაოდენობით შენახული ნახშირბადი გამოიყოფა ატმოსფეროში.

მსგავსი დანაკარგების კომპენსირებისთვის ნახშირბადის კრედიტებით მოვაჭრე კომპანიები ვალდებულებას იღებენ განაშენიანონ ახალი ტყეები ან ხელი შეუწყონ არსებული ტყეების გადარჩენა-განვითარებას. ამით ისინი იღებენ უფლებას, გადააჭარბონ სათბური გაზების ემისიის ლიმიტს და ამგვარად შეასრულონ კომპენსაციის ვალდებულება.

[3] Carbon Sink Projects – მოიცავს ყველა საშუალებას, რომელიც ხელს უწყობს ატმოსფეროდან უფრო მეტი ნახშირბადის შთანთქმას, ვიდრე გამოყოფას.

ვინ არიან ნახშირბადის ბაზრის მოთამაშეები?

ნახშირბადის ბაზრის მონაწილეები არიან:

- კერძო კომპანიები (ნახშირბადის მწარმოებლები ან ნახშირბადის ნიჟარის შემქმნელები);
- მთავრობები (ეროვნული მთავრობის ორგანოები – გარემოს დაცვის დეპარტამენტები, ეროვნული განვითარების ბანკები);
- არასამთავრობო ორგანიზაციები (არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ნახშირბადით ვაჭრობაზე, ემისიებსა და ნახშირბადის ნიჟარების შექმნაზე);
- ბროკერები (კომპანიები, რომლებიც ემსახურებიან ემისიის მწარმოებლებსა და ნახშირბადის ნიჟარების შემქმნელებს).

რა ღირებულებისაა ატმოსფეროში არსებული CO_2?

დღეს, გლობალურად ნახშირბადის საშუალო ფასი ერთ ტონა ნახშირორჟანგზე სამი აშშ დოლარია. ფასი საგრძნობლად დაეცა დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის დროს და ერთ აშშ დოლარს გაუთანაბრდა.

2021 წელს ჯო ბაიდენის ადმინისტრაციამ ერთი ტონა ნახშირბადის ფასი 51 დოლარამდე გაზარდა, რამაც თავის მხრივ საგრძნობლად გაზარდა ნახშირორჟანგის ემისიის ტვირთი ბიზნესებისა და სამრეწველო წარმოებებისთვის.

Ecosystem Marketplace-ის ანგარიშის მიხედვით, ნახშირბადის ბაზრის წლიურმა ღირებულებამ ერთ მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, ხოლო მისი ყველა დროის რეკორდული მაჩვენებელი 6.7 მილიარდი აშშ დოლარია. ჯერ კიდევ 2016 წელს, 412 მილიონი ტონა ნახშირორჟანგის ვაჭრობა განხორციელდა 18 ოფიციალური სავაჭრო შეთანხმების შედეგად.

რა არის ემისიის კრედიტი?

იმისა გასაგებად თუ როგორ ფუნქციონირებს ნახშირბადით ვაჭრობა, თავდაპირველად აუცილებელია ვიცოდეთ თუ რა არის ემისიის კრედიტი და რა კავშირშია ის გლობალურ დათბობასა და კლიმატის ცვლილებასთან.

ემისიის კრედიტი არის ნებართვა ან სერთიფიკატი, რომელიც საშუალებას იძლევა დადგენილი რაოდენობის სათბური გაზები გამოყოფილ იქნეს გარემოში.

ნახშირბადის ემისიების ნებართვებზე ლიმიტების არსებობა, საშუალებას აძლევს ქვეყნებს, რომელთაც შედარებით დაბალი ემისიების რაოდენობა აქვთ, მიჰყიდონ თავიანთი კრედიტები ისეთ სახელმწიფოებს, რომელნიც ემისიების ლიმიტებს აჭარბებენ.

ნახშირბადის ემისიები არის ყოველდღიური ცხოვრების შედეგი დედამიწის ნებისმიერ ადგილას, არ აქვს მნიშვნელობა იქნება ეს ინდუსტრიული სივრცე თუ არაინდუსტრიული.

ნახშირბადის ემისიები ყველა ჩვენგანზე უარყოფითად მოქმედებს, რადგან ხელს უწყობს გლობალურ დათბობასა და კლიმატის ცვლილებას.

სარგებელი გარემოსთვის

რა სარგებელი მოაქვს ნახშირბადით ვაჭრობას გარემოსთვის?

ნახშირბადით ვაჭრობა ეხმარება იმ ბიზნესებსა და ინდივიდუალურ მეწარმეებს (ან მათ, ვისაც არასდროს უვაჭრიათ ნახშირბადით), რომლებმაც გადააჭარბეს ემისიების ლიმიტს – შეძლონ საერთო ემისიების კომპენსირება იმ კომპანიებთან ურთიერთობით, რომელთაც ზღვრულ ემისიებზე ნაკლები რაოდენობა აქვთ გამომუშავებული.

შესაბამისად, ეს სისტემა ახალისებს ნახშირბადის ინტენსიურ მწარმოებლებს, ჩაერთონ მისი კომპენსირების პროექტებში და იქ განახორციელონ ინვესტირება, ივაჭრონ ნახშირბადის კრედიტებითა და გახდნენ ნახშირბად-ნეიტრალურები.

შესაბამისად, ნახშირბადით ვაჭრობა მიჩნეულია გლობალური დათბობის შემაკავებელ ერთ-ერთ მთავარ საშუალებად. ამ სისტემას აქვს უნარი, შეამციროს ნახშირბადის ემისია ინდუსტრიული წყაროებიდან და წაახალისოს განახლებადი ენერგიის ინიციატივები.

კალიფორნიის შტატის კანონმდებლობა

კალიფორნიის შტატი ლიდერია ნახშირბადის ემისიებზე ლიმიტების დაწესებით, რასაც ის პროგრესული გადასახადების მეშვეობით ახორციელებს.

2018 წლის 10 სექტემბერს, კალიფორნიის გუბერნატორმა ჯერი ბრაუნმა ხელი მოაწერა სენატის კანონპროექტს (SB 100), რომელიც მიზნად ისახავს შტატის კარბონ-ნეიტრალურობას 2045 წლისთვის.

ბრაუნის ოფისის განცხადებით, აღნიშნული კანონპროექტი საკმაო მნიშვნელობისაა, რადგან ის გათვლილია გრძელვადიან მიზანზე, რაც გულისხმობს ბუნებრივ წიაღისეულებზე დამოკიდებულების გაქრობას. ამავდროულად, კანონპროექტი ხელს შეუწყობს ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებასა და სუფთა ენერგიის ინოვაციების დანერგვას.

ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ იმოქმედებს აღნიშნული გადაწყვეტილება პრაქტიკაში, ელექტროსადგურებზე დაწესებული ვალდებულებაა, რომლის მიხედვითაც შტატის ტერიტორიაზე აშენებული ნებისმიერი ახალაშენებული სადგური დაეფუძნება ენერგიის განახლებადი წყაროების, მზის ან ქარის ენერგიების გამოყენებას.

კალიფორნიის დღევანდელი კანონმდებლობა, ავალდებულებს დიდ ინდუსტრიულ დაწესებულებებს, შეიძინონ ნახშირბადის ემისიების ნებართვები, რომლის ფასიც, საჰაერო რესურსების ბორდის (Air Resources Board) დაანგარიშებით, ერთ ტონაზე 15 აშშ დოლარია.

ნახშირბადის კრედიტების შეძენით კალიფორნიის შტატს შეუძლია დააკომპენსიროს ნახშირორჟანგის ემისიები სხვა შტატებშიც.

არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელთაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ნახშირბადის ნებართვების ფასებზე რეგიონალურ, ეროვნულ ან გლობალურ დონეზე.

ემისიით ვაჭრობის სისტემები (ETS)

რამდენიმე საერთაშორისო და ეროვნულმა ორგანომ ჩამოაყალიბა ნახშირბადის კრედიტებით ვაჭრობის სისტემები. მაგალითისათვის, ევროკავშირმა დააფუძნა ემისიით ვაჭრობის სისტემა (Emission Trading System). ეს უკანასკნელი, მნიშვნელოვანია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, რათა შეამცირონ სათბური გაზების ემისია და მოახდინონ კლიმატის ცვლილების პრევენცია ხარჯთ-ეფექტური საშუალებით. ევროკავშირის მიერ შექმნილი ეს სისტემა მსოფლიოს პირველი მსხვილი ემისიებით ვაჭრობის ბაზარი იყო და იგი დღესაც ყველაზე ფართო ბაზრად ითვლება ამ დარგში.

ევროკავშირის მიერ გამოცემული დირექტივის მიხედვით, კომპანიები ვალდებულნი არიან მონიტორინგი გაუწიონ საკუთარი საქმიანობიდან წარმოებული ნახშირბადის მოცულობას და ეს ინფორმაცია ყოველწლიურ ანგარიშში ასახონ. ამ კანონთან შესაბამისობა კომპანიებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ ევროკავშირის ემისიებით ვაჭრობის სისტემაში და შეიძინონ ან გაყიდონ ნახშირბადის კრედიტები.

ემისიებით ვაჭრობის მსგავსი სისტემები ასევე დანერგილია ჩინეთში, იაპონიასა და სამხრეთ კორეაში. ჩამოთვლილი ქვეყნები სამომავლოდ აპირებენ ერთიანი, აზია-წყნარი ოკეანის ნახშირბადით ვაჭრობის სისტემის დაფუძნებასაც.

ჩინეთი, მსოფლიოს ნომერ პირველი სათბური გაზების მწარმოებელი ქვეყანა, აპირებს CO_2 ემისიების ნულამდე დაყვანას 2060 წლისთვის. ამავდროულად, ჩინეთის მთავრობამ სულ ცოტა ხნის წინ შექმნა საკუთარი ნახშირბადით ვაჭრობის სისტემაც (Shanghai Environment and Energy Exchange) და აპირებს მსგავსი პროექტების დანერგვას პეკინში, ტიანძინში, ჩონძინში, გუანდონში, ჰუპეისა და შენჭენში.

ჩინეთში ნახშირბადით ვაჭრობის სისტემის პირველი ფაზა დაფარავს 2225 ელექტროსადგურს, რომელნიც ჯამურად პასუხისმგებელნი არიან ერთი წლის მანძილზე 4 მილიარდი ტონა ნახშირორჟანგის ატმოსფეროში გავრცელებაზე, რაც თავის მხრივ, ჩინეთის ეროვნული ემისიის დაახლოებით 40%-ს შეადგენს.

სხვა ინიციატივები

ნახშირბადის შემცირების ყველა ინიციატივაზე უფრო მნიშვნელოვანი პარიზის 2015 წლის შეთანხმებაა, რომელსაც ამერიკის შეერთბული შტატები დონალდ ტრამპის ადმინსტრაციის დროს გამოეყო, თუმცა ჯო ბაიდენის გაპრეზიდენტებისთანავე დაუბრუნდა.

პარიზის შეთანხმება სავალდებულო ხასიათის საერთაშორისო შეთანხმებაა, რომელსაც ხელს 196 სახელმწიფო აწერს. მისი მიზანია გლობალური დათბობის შეზღუდვა ორ გრადუსამდე ტემპერატურაზე. უმჯობესია 1.5 გრადუსამდეც მოხდეს მაჩვენებლის შემცირება, რათა დედამიწა პრეინდუსტრიული პერიოდის საშუალო ნიშნულს დაუბრუნდეს.

გაერთიანებული ერების კლიმატის ცვლილების ინიციატივის ანგარიშში ნახსენებია, რომ 40 ეროვნული და 25 ქვეეროვნული იურისდიქცია მსოფლიო ეკონომიკის 1/4-ია, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ნახშირბადის შეფასების ინიციატივებში.

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ICAO) განაცხადა, რომ ნახშირბადით ვაჭრობა გამოყენებულ იქნება იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებიც საერთაშორისო ფრენების შედეგად, ლიმიტზე მეტ ემისიას გამოყოფენ გარემოში.

აღნიშნული მოვლენებისთვის თვალის სადევნებლად, კარგი საშუალებაა Carbon Trade Watch – პლატფორმა[4].

დასკვნა

გლობალური დათბობის შესაჩერებლად მსოფლიომ მკვეთრი ნაბიჯები უნდა გადადგას.

„მსოფლიოს რესურსების ინსტიტუტის“ მიხედვით, ნახშირბადით ვაჭრობა სწორედ ასეთი ნაბიჯია, ის მომგებიანი სამოქმედო გზაა, როგორც საჯარო ასევე კერძო სექტორისთვის, თუმცა სტრატეგია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქონიებს პოზიტიურ გავლენას თუ მასში მონაწილეობას მიიღებს, რაც შეიძლება მეტი სახელმწიფო.

მსოფლიოში არსებულ ემისიათა ნახევარზე მეტი განვითარებადი ეკონომიკების მქონე ქვეყნებიდან იწარმოება, რომელთა მოსახლეობებიც არაპროპორციულად დიდ ზიანს იღებენ კლიმატის ცვლილების შედეგად.

სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი რაც შეიძლება ბევრი სახელმწიფოს ჩართვა ნახშირბადით ვაჭრობის სტრატეგიებში, რათა ეროვნულ ან რეგიონალურ დონეზე მოხდეს ერთობლივი კანონმდებლობის შექმნა და უფრო მეტი კომპანია გახდეს ნახშირბადით ვაჭრობის ბაზრის მონაწილე, რაც ერთი მხრივ, გამოიწვევს სათბური გაზების ემისიების შემცირებას ატმოსფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, არ შეაფერხებს ეკონომიკურ განვითარებას.

წყარო:

https://medium.com/illumination-curated/carbon-trading-a-quick-introduction-for-beginners-21ba28650ca2

თარგმნა ***ნიკოლოზ ჭანტურიამ***

[4] http://www.carbontradewatch.org/

ყველა კლიმატზე საუბრობს / სოციალ-ეკოლოგიური ტრანსფორმაციის პერსპექტივები

კლაუს დიორე *– შრომის, მრეწველობისა და ეკონომიკის სოციოლოგი, იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი.*

CO_2-ის ემისიები არათანაბრად არის განაწილებული ინდუსტრიულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით უთანასწორობას ვაწყდებით „პირველი სამყაროს“ ქვეყნებს შორისაც. ამასთანავე, ტრანსფორმაციამ აუცილებლად უნდა გადაჭრას საზოგადოების შიგნით არსებული უთანასწორობის პრობლემაც, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დამარცხდება.

„სამყარო ზღვარზე დგას“ – გლაზგოს 2021 წლის კლიმატის კონფერენციის წინა ღამით ამ ამაღელვებელი სიტყვებით მიმართა გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტიერეშმა ღონისძიების მონაწილეებს. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ აუცილებელია კლიმატის დიპლომატია მოქმედებების ეტაპზე გადავიდეს. როდესაც კორონა-პანდემიის გამო სამყარო დროებით გაჩერდა, ნახშირბადის ემისია დაახლოებით 5%-ით შემცირდა. თუმცა, ემისიების რაოდენობა 2021 წელს კვლავ მიუახლოვდა 2019 წლით დაფიქსირებულ რეკორდულ მაჩვენებელს. მიზანი, რომლის მიხედვითაც გლობალური ტემპერატურის ზრდა ინდუსტრიალიზაციის ეპოქის დაწყებიდან დღემდე 1,5-გრადუსიან ნიშნულს არ უნდა გადაცდეს, საფრთხეშია. შეიძლება ტემპერატურის ზრდის ორგრადუსიანი მაჩვენებლით შეზღუდვაც კი ვერ მოხერხდეს. გლაზგომ სიტუაციის გამოსასწორებლად ბევრი ვერაფერი გააკეთა. კლიმატის ცვლილების შესაჩერებლად დღეს არსებული ყველა შეთანხმებული ზომა რომ ამოქმედდეს, საუკუნის ბოლოს გლობალური დათბობა მაინც ორ გრადუსზე მეტი იქნება. ადამიანის მიერ გამოწვეული კლიმატის ცვლილების შედეგები უკვე დიდი ხანია ყველასთვის შესამჩნევია. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამინდთან და კლიმატთან დაკავშირებული კატასტროფების რაოდენობა გახუთმაგებულია.

ჩვენ თვალწინ მიმდინარე პროცესების, განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, ჩნდება კითხვა სოციალურ-ეკოლოგიური გარდაქმნის პერსპექტივების შესახებ. ამასთანავე, საჭიროა იმ საზოგადოებრივ წინაპირობებზე, მოცემულობებზე ფიქრი, რომლებიც საუკეთესოდ პასუხობენ კლიმატის ცვლილების მთავრობათშორისი პანელის მოთხოვნას – მდგრადი განვითარების, მდგრადობის გლობალური რევოლუციის დაწყების თაობაზე.

ჩვენ უკვე ხელიდან გავუშვით შესაძლებლობა, თუ კვლავ არსებობს წარმატებული ტრანსფორმაციის დასაბუთებული პერსპექტივა? თქვენ წინაშე წარმოდგენილი პასუხის მცდელობა ეფუძნება თეზისს, რომ ეკოლოგიური და სოციალური მდგრადობა ურთიერთდამოკიდებული მოცემულობებია. ერთი მეორის გარეშე ვერ იარსებებს. სოციალური აქტორები ტრანსფორმაციის საქმეში წარმატებულნი იქნებიან, თუ სოციალური და ეკოლოგიური მდგრადობის მიზანთა შორის არსებულ წინააღმდეგობას გადალახავენ, შედეგიანად გაუმკლავდებიან.

გარკვეულწილად, თანამედროვე საზოგადოებები კრიზისულ მოდუსში, კრიზისულ რეჟიმში ფუნქციონირებენ. საზოგადოების გარკვეული ნაწილი, საზოგადოებრივი საქმიანობის გარკვეული სფერო ან მექანიზმი ყოველთვის კრიზისისკენ არის მიდრეკილი, ანუ დროებით მოშლილია. აწმყოში კრიზისების რაოდენობა იმატებს. შესაბამისად, აზრს მოკლებული არ არის, თუ „მომავლის შეუცნობლობა, განცდილი და გადალახული იქნება, როგორც კრიზისი“. სამომავლო კრიზისების განცდა და გადალახვა შემდგომი საფეხურის საზოგადოების ინტეგრაციის ფორმადაც შეგვიძლია განვიხილოთ. როგორც ჩანს, კაპიტალისტური საზოგადოების ექსპანსიურმა დინამიკამ უკვე მიაღწია იმ წერტილს, როდესაც გლობალური ექსპანსიის ტენდენცია დამანგრეველი ძალების წინააღმდეგობას აწყდება. განსაკუთრებით ძველი კაპიტალისტური ცენტრები, ასევე დიდი, განვითარების გზაზე შემდგარი ქვეყნები განიცდიან ისტორიული თვალსაზრისით სრულიად ახალი ხარისხის კრიზისს, რომელსაც მე ეკონომიკურ-ეკოლოგიურ „მარწუხების კრიზისს“ ვუწოდებ.

ეს ნიშნავს, რომ კაპიტალიზმის პირობებში ეკონომიკური სტაგნაციის დაძლევისა და საზოგადოებრივი კონფლიქტების დამშვიდების ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება – ეკონომიკური ზრდის გამომუშავება დღევანდელ პირობებში ეკოლოგიური თვალსაზრისით სრულიად გამანადგურებელ, დესტრუქციულ როლს ასრულებს და შესაბამისად, საზოგადოების ერთიანობასაც ძირს უთხრის. ეკონომიკური ზრდის დესტრუქციულ ეფექტს განაპირობებს ის, რომ იგი ეფუძნება დიდი რაოდენობით ემისიებსა და რესურსების ინტენსიურ ათვისებას. ეკონომიკისა და ეკოლოგიის „მარწუხების ერთმანეთთან დაახლოება“ გამოიხატება საზოგადოებასა და ბუნებას შორის ურთიერთობების დარღვევაში, რაც ჩვეულებრივ კრიზისს არ წარმოადგენს. ამგვარი კრიზისი მოიცავს ყველა სოციალურ ველსა და საზოგადოებრივ ქვესისტემას. აქედან გამომდინარე, მე მხარს ვუჭერ კრიზისის ახალ განსაზღვრებას, რომელიც მისი გამომწვევი მიზეზების მკაცრ იერარქიას გვთავაზობს. ეს კრიზისი ისტორიულად უნიკალურია, რადგან დიდი ალბათობით ის ახალ გეოლოგიურ ეპოქაზე – ანთროპოცენზე გადასვლას მოასწავებს.

ცნება „ანტროპოცენი“ მიანიშნებს, რომ ახალ გეოქრონოლოგიურ ეპოქაში კაცობრიობას ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს დედამიწაზე მიმდინარე ბიოლოგიურ, გეოლოგიურ და ატმოსფერულ პროცესებზე. განსაზღვრება ორმაგ გზავნილს მოიაზრებს. ადამიანთა მოდგმას შეუძლია თავისი სასიცოცხლო პირობების, სიცოცხლის საფუძვლების განადგურება – ეს ცუდი ამბავია. კარგი სიახლე კი ის არის, რომ ჩვენ, ადამიანებს შეგვიძლია მდგრადი ურთიერთობები ჩამოვაყალიბოთ ბუნებასთან და დავძლიოთ ჩვენი ინსტრუმენტალური დამოკიდებულება ბუნებრივი რესურსებისა და დედამიწაზე მცხოვრები არსებების მიმართ. შევძლებთ თუ არა სახეობათა მრავალფეროვნების გადარჩენას, მოვახერხებთ თუ არა პლანეტის გადახურების შეჩერებას, ეს ყველაფერი პირველ რიგში დამოკიდებულია გლობალურ საზოგადოებათა პრაქტიკულ მოქმედებებზე.

ცხადია, რომ ბუნებასა და საზოგადოებას შორის არსებული ურთიერთობების რღვევა, უპირველეს ყოვლისა, კაპიტალისტურ ეკონომიკებს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, სოციოლოგთა ნაწილი, მაგალითად, ჯეისონ მური მიიჩნევს, რომ თანამედროვე ვითარების აღსაწერად უფრო შესაფერისი ტერმინი „კაპიტალოცენი“ გახლავთ. თავად კაპიტალი-

ზმიც უნდა გავიგოთ, როგორც ეკოსისტემა. შრომის სოციალიზაციის მაღალი დონის გამო კაპიტალის დაგროვების ბუნებრივი წინაღობები ხელახლა და უფრო ძლიერად წარმოჩნდნენ. მიუხედავად ამისა, სისტემამ კაპიტალის დაგროვება მაინც განაგრძო. კაპიტალის დაგროვების, აკუმულაციის კრიზისი ყველაზე „დიდი კრიზისია“ მეცხრამეტე საუკუნის ეკონომიკურ სირთულეებთან, მეოცე საუკუნის ეკონომიკურ დეპრესიებთან (1928-32, 1973-74) შედარებით. აკუმულაციის, დაგროვების „დიდი კრიზისები“ იწვევენ კაპიტალისტური საზოგადოების ყველა შემადგენელი ქვესისტემის „გატყავებას“. ისინი თავდაყირა აყენებენ სოციალური ურთიერთდამოკიდებულებების მთელ ანსამბლს მხოლოდ იმიტომ, რომ კაპიტალიზმის ძირითადი სტრუქტურა შეინარჩუნონ, გადაარჩინონ, მისი სიცოცხლისუნარიანობა სამუდამოდ უზრუნველყონ, ხელი შეუწყონ ბაზრების იძულებით გაფართოებას, კაპიტალიზმისგან თავისუფალი ახალი სივრცეების დაპყრობას.

მოძრაობის, განვითარების ამგვარი ფორმა სასრული რესურსების მქონე პლანეტაზე გადაულახავ საზღვრებს აღწევს. თანდათანობითი პროცესები, როგორიც არის გლობალური დათბობა და რესურსებისა თუ ენერგიის მზარდი მოხმარება, დედამიწას დრამატული ცვლილებებისკენ მიაქანებენ. ასეთი პროცესების წყალობით პლანეტა, სულ მცირე ნაწილობრივ მაინც, საცხოვრებლად უვარგისი შეიძლება გახდეს. ზღვის დონის მატება თავდაპირველად საფრთხეს შეუქმნის პატარა კუნძულებსა და სანაპირო რეგიონებს და არა მთელ მსოფლიოს. ის თანდათან იკრებს ძალას და ნელ-ნელა ავლენს თავის ხასიათს. პირველ ეტაპზე კლიმატის ცვლილება უხილავად და სოციო-გეოგრაფიული თვალსაზრისით დიფერენცირებულად მოქმედებს.

ადამიანის მიერ გამოწვეული კლიმატის ცვლილების მთავარი წინაპირობაა ნახშირბადზე დაფუძნებული წარმოება და ცხოვრების წესი ადრეულ ინდუსტრიულ ქვეყნებში. ამგვარი ეკონომიკური სისტემის გლობალური მასშტაბით გავრცელება კი მხოლოდ ეკოლოგიური კატასტროფის ფასად არის შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, მსოფლიოს მთავრობები ამა თუ იმ ფორმით „ახალი მწვანე კურსის“ განხორციელებას ესწრაფვიან. 2050 წლისთვის ყველა მთავარი ინდუსტრიული სახელმწიფოს ეკონომიკის სრული დეკარბონიზაცია უნდა მოხდეს. ევროკავშირის ქვეყნებში უკვე არსებობს სავალდებულო მიზნები, რომლებიც ქვანახშირის საშუალებით ელექტრო ენერგიის გამომუშავებისა და წიაღისეულ საწვავზე დაფუძნებული მობილობის დასრულებას მოიაზრებენ. ეს ცვლილება თავისი მნიშვნელობით შეგვიძლია მხოლოდ პირველ ინდუსტრიულ რევოლუციას შევადაროთ. ის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგსა და სექტორს მოიცავს.

შეჯამებისთვის, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის მიერ გამოწვეული კლიმატის ცვლილების შეზღუდვისა და დაგროვილი ეკოლოგიური საფრთხეების კონტროლის ორი გზა არსებობს – ან ეკონომიკური ზრდა უნდა გამოცალკევდეს თავისი დამანგრეველი ეკოლოგიური შედეგებისგან, ან საზოგადოების იმგვარი ტრანსფორმაცია უნდა მოხდეს, რომ სოციუმი ეკონომიკური ზრდის გარდაუვალი საჭიროებისგან გათავისუფლდეს.

კლიმატის სამართლიანობა, როგორც სახელმწიფოთაშორისი პრობლემა

ამჟამად, კლიმატის ცვლილების მიმართულებით ის მცდელობები დომინირებს, რომელთა მიზანია ეკონომიკურ ზრდას ეკოლოგიური კატასტროფების გარეშე მივაღწიოთ.

რომელი მცდელობითაც არ უნდა გადავწყვიტოთ პრობლემის მოგვარება, მაინც წავაწყდებით დაძაბულობას სოციალურ და ეკოლოგიურ მიზნებს შორის. თვალსაჩინოა, რომ სათბური გაზების ემისიები დამოკიდებულია ქვეყნის განლაგებაზე სოციალური გეოგრაფიის თვალსაზრისით, ასევე ეროვნულ საზოგადოებაში არსებულ კლასობრივ პოზიციებზე. მიუხედავად ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი მნიშვნელოვანი მონაცემი – 2015 წელს ზრდასრული მოსახლეობის უმდიდრესმა მეათედმა გამოიწვია კლიმატისათვის საზიანო ემისიების 49%, მაშინ, როდესაც ზრდასრული მოსახლეობის ნახევარზე, უღარიბეს ნაწილზე ემისიების მხოლოდ 10% მოდის.

ამ ასიმეტრიის მიღმა ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სირთულე იმალება, რომელიც სამართლიანობის საკითხს მიემართება. პირველი მათგანი ფესვგადგმულია სხვადასხვა ქვეყნების მიერ გამოფრქვეულ ემისიებს შორის უთანაბრობის პრობლემაში. 2015 წლის მონაცემებით, დედამიწაზე ოდესმე გამოფრქვეული ემისიების საერთო რაოდენობის 26.3% აშშ-ზე, 23.4% კი ევროპაზე მოდის. მათ გაცილებით ჩამორჩებიან ჩინეთი (11.8%) და რუსეთი (7.4%). თუმცა, თუ დავაკვირდებით ამჟამინდელ ყოველწლიურ მონაცემებს სურათი რადიკალურად განსხვავებულია. ჩინეთი ყოველწლიურად 14 მილიარდ ტონა სათბურ გაზს გამოჰყოფს ატმოსფეროში და კლიმატზე ზემოქმედების თვალსაზრისით პირველ ადგილზეა, ინდოეთი კი აშშ-ის შემდეგ მესამე ადგილს იკავებს. სულ სხვა მონაცემებს მივიღებთ, თუ ემისიებს ერთ სულ მოსახლეზე დავითვლით. ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, აშშ-ის მოქალაქე ჩინეთის მოქალაქეზე ორჯერ მეტი სათბური აირის გამოფრქვევაში მონაწილეობს. იმავე კრიტერიუმის მიხედვით, ინდოეთის მაჩვენებელი ექვსჯერ აღემატება გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მაჩვენებელს. მნიშვნელოვნად განსხვავებულია ემისიის აბსოლუტური დატვირთვის მიხედვით გამოანგარიშებული მონაცემები, აქამდე ჩვენ მიერ მიმოხილული რიცხვებისგან. მაგალითად, ადამიანები, რომლებიც აშშ-ში, ლუქსემბურგში, ყატარსა და საუდის არაბეთში მცხოვრებთა უმდიდრეს ერთ პროცენტს მიეკუთვნებიან, რუანდის, ჰონდურასისა და ტაჯიკეთის ღარიბ მცხოვრებლებზე 2000-ჯერ მეტ ემისიას გამოიმუშავებენ.

ამგვარი უთანასწორო ურთიერთობები წარმოშობს სამართლიანობის პრობლემას, რომელიც გლობალურ დონეზე განიხილება სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. ერთი მხრივ, კლიმატისთვის საზიანო ემისიების სწრაფი შემცირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამხრეთის დიდი ქვეყნები – უმთავრესად ჩინეთი და ინდოეთი – უმოკლეს ვადებში რადიკალურად შეცვლიან თავიანთი ეკონომიკის მუშაობის წესს. მეორე მხრივ, განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ სამართლიანად და დაჟინებით მოითხოვონ ის, რომ ადრეულ ეტაპზე ინდუსტრიალიზებულმა სახელმწიფოებმა თავიანთ თავზე აიღონ კლიმატის ცვლილების დაძლევისთვის აუცილებელი ხარჯები. ასეთი ურთიერთდამოკიდებულება ამძიმებს გლობალური ეკონომიკის დეკარბონიზაციის ნაწილობრივ დაგეგმილ მცდელობას. ემისიები იმპერიული მეტოქეობისა და სახელმწიფოთაშორისი დავების საგნად იქცა. ევროკავშირს სურს, რომ მისი ეკონომიკა არაუგვიანეს 2050 წლისა ემისიებისგან თავისუფალი გახდეს. ჩინეთი იმავე მიზანს 2060 წლისთვის ისახავს. ევროკავშირის პერსპექტივიდან საქმე გვაქვს მიუღებელ კონკურენტულ უპირატესობასთან ჩინეთის სასარგებლოდ, ჩინეთისთვის კი ამგვარი სხვაობა იმპერიული წარსულის სამართლიან კომპენსაციასთან ასოცირდება. საკუთრივ ევროკავში-

რის წევრ ქვეყნებს შორისაც ემისიების ლიმიტები არათანაბრად არის გადანაწილებული. გერმანიის, იტალიის, საფრანგეთისა და ესპანეთის ყველაზე მაღალშემოსავლიანი საოჯახო მეურნეობების 10% გამოაფრქვევს უფრო მეტ სათბურ გაზს, ვიდრე ევროკავშირის შედარებით ღარიბი 16 წევრი სახელმწიფო ერთად აღებული.

აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ საერთაშორისო ასპარეზზე კლიმატის დაცვის საკითხის გადაწყვეტის გზაზე პროგრესი ნაკლებად შეიმჩნევა. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადრეული ინდუსტრიული რეგიონების ქვეყნებმა მოწინავე როლი შეასრულონ მდგრადობის, მდგრადი განვითარების რევოლუციაში, რომელიც გადაუდებლად აუცილებელია დედამიწისათვის. სამართლიანი მინიშნება იმის თაობაზე, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა კლიმატისათვის საზიანო ემისიების მხოლოდ ორ პროცენტს გამოიმუშავებს, არ გვათავისუფლებს სწრაფი ტრანსფორმაციის მოთხოვნებისაგან. პირიქით, სწორედ ინდუსტრიულმა ქვეყნებმა უნდა შექმნან იმის პრეცენდენტი, თუ როგორ არის შესაძლებელი ეკონომიკისა და საზოგადოების სწრაფი და მდგრადი გარდაქმნის მიღწევა.

კლიმატის ცვლილება, როგორც შიდასაზოგადოებრივი საკითხი

კლიმატის ცვლილების მიმართულებით მუშაობის ყველა მცდელობა აწყდება ცალკეულ საზოგადოებებში კლასობრივი უთანასწორობის ზრდის ტენდენციას. შიდასაზოგადოებრივი უთანასწორობები კლიმატის დაცვისთვის ქვეყნებს შორის არსებულ უთანასწორობასთან შედარებით უფრო აქტუალური ხდება. თუ აღნიშნული პრობლემა არ აღმოიფხვრება, ის შეიძლება ძლიერ დაბრკოლებად იქცეს მდგრადობის მიზნების მიღწევის საქმეში.

ეკონომიკური ზრდის მიმართ კრიტიკულად განწყობილ ლიტერატურაში ხშირად მიანიშნებენ მდიდარი ქვეყნების მიერ ემისიების გამოფრქვევაში შეტანილ წვლილზე. ფატალური შეცდომა იქნებოდა, თუ ამგვარი მტკიცების პარალელურად, თვალთახედვის არედან გავაქრობდით მდიდარი ქვეყნების საზოგადოებათა შიგნით არსებულ უთანასწორობებს. შემოსავლების თვალსაზრისით უმდიდრესი ევროპული შინამეურნეობების 10% პასუხისმგებელია ევროკავშირის ემისიების 27%-ზე. მაშინ, როდესაც შინამეურნეობების უღარიბესი 50% კლიმატისთვის საზიანო აირების 26%-ის გამომუშავებას უწყობს ხელს. ევროპელთა უმდიდრეს ერთ პროცენტზე მოდის per capita 55 ტონა CO_2-ის გამოფრქვევა, რაც 7-ჯერ აღემატება საშუალო მაჩვენებელს. ამგვარი განსხვავების მთავარი საფუძველი ფრენები გახლავთ. ერთი მაღალშემოსავლიანი მოქალაქე სამგზავრო ფრენებით 40%-ით ზრდის თავისი ემისიების რაოდენობას, 21%-იანი ზრდა კი პირადი ავტომობილით ინტენსიურ სარგებლობაზე მოდის. კლიმატის მიზნების მისაღწევად აუცილებელია, რომ ერთ სულ მოსახლეზე გამოფრქვეული სათბური აირების რაოდენობა საშუალოდ წელიწადში 2,5 ტონამდე უნდა შემცირდეს. უმდიდრეს ერთ პროცენტს მიკუთვნებული შინამეუნეობები აღნიშნულ მაჩვენებელს 22-ჯერ და მეტჯერ აჭარბებენ. ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ ყველამ უნდა შეიცვალოს თავისი ცხოვრების სტილი, ცხადია, განსაკუთრებულად დიდი წნეხის ქვეშ მდიდარი ოჯახები მოექცევიან.

ევროკავშირის მასშტაბით 1990 წლიდან ემისიების რაოდენობა 25%-ით შემცირდა, რაც

ცხადყოფს, რომ ეკონომიკური ზრდა და ემისიები შეიძლება ერთმანეთისგან განცალკევდეს. თუმცა, გლობალური პერსპექტივით ემისიები ძალიან ნელა მცირდება. ემისიების შემცირება კი მეტწილად დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებისა და შინამეურნეობების დამსახურებაა. დანაზოგი ძირითადად საშუალო და დაბალ ფენაზე მოდის.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაღალი კლასისთვის განკუთვნილი ძვირადღირებული პროდუქციის წარმოება, მაღალი კლასის მოხმარება იქცა კლიმატის ცვლილების მთავარ მამოძრავებელ ძალად. ამგვარი წარმოებისა და მოხმარების შედეგები კი, როგორც ეროვნულ, ასევე გლობალურ დონეზე უპირატესად გავლენას ახდენს ღარიბ, სოციალურად დაუცველ ფენებზე. ღარიბები მდიდართა ფუფუნების გამო დაჩქარებული კლიმატის ცვლილებითა და მისი შედეგებით იტანჯებიან. დაბალი კლასები ხშირად იძულებულნი არიან თავი შეიკავონ მოხმარებისგან, რაც კლიმატზე ზემოქმედების საშუალო მაჩვენებლებში მაღალი შემოსავლის მქონე მეათედის მზარდ წილს აწონასწორებს. მაღალი ფენების მდიდრული ცხოვრების წესი შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ დაბალი ფენების წარმომადგენლებს შემოსავლების შემცირებისა და ფასების ზრდის გამო ქამრების შემოჭერა უწევთ.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კლიმატის ცვლილებისა და ეკოლოგიური განადგურების წინააღმდეგ ბრძოლა ამავდროულად არის მოქმედება ღარიბთა და დაუცველთა სასარგებლოდ. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სოციალური სამართლიანობა დამანგრეველი ეკოლოგიური ძალების ზემოქმედების გათვალისწინების გარეშე მდგრადობის წინაპირობად შეიძლება მოგვევლინოს. კლიმატის ცვლილება და რესურსების ფლანგვა შეიძლება შეჩერდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელს შევუწყობთ გადანაწილების ეგალიტარული პირობების შექმნას, რაც წაახალისებს ეკოლოგიურ გარდაქმნას სოციალური მდგრადობის გზით.

„მარწუხების კრიზისიდან“ გამოსავლის გზები

პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს კლიმატის დაცვას, შეიძლება შეფასდეს იმ პასუხებით, რომელიც მას ორ მარტივ შეკითხვაზე აქვს მზად.

მცირდება თუ არა სათბური გაზების ემისია და რესურსებისა თუ ენერგიის გლობალური მოხმარება ისე, რომ შემცირებას ეკოლოგიური მდგრადობისკენ მიმართული ცვლილებებისკენ მივყავართ? და იქნება თუ არა გამომუშავებული საზოგადოებრივი სიმდიდრე ისე გადანაწილებული, რომ სიკეთით რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა, თითქმის ყველამ და მომავალმა თაობებმა ისარგებლონ?

ამგვარი მასშტაბის ცვილებების მიღწევის მცდელობისას შეიძლება ოთხ სტრატეგიულ მიდგომაზე გავამახვილოთ ყურადღება. მე მათ ვუწოდებ საბაზრო, ტექნოლოგიურ, სახელმწიფო და დემოკრატიზაციის სტრატეგიულ მიმართულებებს, ვარიენტებს, გნებავთ, ოფციებს.

პრობლემის გადაწყვეტის **საბაზრო ვარიანტი** ფსონს დებს ემისიების ხელოვნურად ამოწურვასა და შეზღუდვაზე. მიზანი მიიღწევა CO_2-ისათვის ეკვივალენტური ფასის მინიჭებით. ემისიებით ვაჭრობა, ემისიების გადასახადი წარმოგვიდგება ადამიანის მიერ გამოწვე-

ული კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის უმთავრეს ინსტრუმენტად. პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ აღნიშნული ინსტრუმენტის ეფექტიანობა სათუოა. თუ CO_2-ის ფასი დაბალია, მაშინ ინსტრუმენტის საშუალებით კლიმატის ცვლილებაზე ზემოქმედების ფუნქცია ვერ სრულდება; თუ ფასი მაღალია, მაშინ სოციალური სამართლიანობის პრობლემას ვაწყდებით. ნახშირბადით ვაჭრობის რთულად კონტროლირებადი პროცესი ხელს უწყობს ბაზრის მოთამაშეთა შორის კომპრომისულ გარიგებებს, რაც სინამდვილეში ვერ ამცირებს ნახშირბადის ემისიებს. უარყოფითი ემისიები (იმაზე ნაკლები ნახშირბადის წვა, ვიდრე ბუნება შთანთქავს) ამგვარი ინსტრუმენტებით, ფაქტობრივად, მიუღწეველია.

ბაზართან თავსებადი ინსტრუმენტების უმთავრესი პრობლემა გახლავთ მათი შედეგების სოციალური სიბრმავე და გულგრილობა. სხვადასხვა ზომების მიღების მიუხედავად, პროპორციულად ყველაზე დიდი ტვირთი შეიძლება კვლავ დაბალშემოსავლიან მოსახლეობას დააწვეს. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გერმანიის მოსახლეობის ხელფასზე დამოკიდებული ნაწილის უღარიბესი ნახევარი ეროვნული შემოსავლის ზრდის მიუხედავად, მაინც წაგებულ მდგომარეობაში რჩება. გათბობის, ელექტროენერგიის, ქირის, კვების ფასების ზრდის შემთხვევაში, მოქალაქისთვის შემოსავლის თავისუფლად ხელმისაწვდომი ნაწილი უფრო და უფრო მცირდება. საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანებისთვისაც კი, რომელთა რეალური ყოველთვიური ხელფასი 1578 ევროა, ნახშირბადის ემისიის გადასახადები მნიშვნელოვანი ტვირთი ხდება, თუნდაც ის ისეთ ოჯახს მიეკუთვნებოდეს, სადაც მეორე შემოსავლიანი პირიც ცხოვრობს. შესაბამისად, ამგვარი პოლიტიკის მიმართ მოსალოდნელია დაბალი სოციალური მიმღებლობა და სოციალური პროტესტიც კი. „ყვითელჟილეტებიანთა“ გამოსვლები საფრანგეთში და კლიმატის ცვლილების პრობლემის უარმყოფელი ულტრამემარჯვენეების ელექტორალური წარმატება სწორედ განვითარების ამგვარ შესაძლებლობაზე მიანიშნებენ. მხოლოდ საბაზრო მექანიზმების გამოყენება არ არის საკმარისი კლიმატის სამართლიანობის გამოწვევის დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტისათვის.

ტექნოლოგიური მიდგომა საბაზრო მექანიზმებს აერთიანებს დაჩქარებული ტექნოლოგიური ცვლილებების, განვითარების მოთხოვნასთან. ორივე მექანიზმი მხარს უჭერს Solutionism-ს ანუ იდეოლოგიას, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი გლობალური პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია სამეწარმეო შემოქმედებითობის, ტექნიკური ინოვაციებისა და მოთხოვნა-მიწოდების კანონების საფუძველზე. სახელმწიფო მოიაზრება, როგორც ტექნოლოგიური გარდაქმნების მხარდამჭერი მთავარი ძალა, პროტაგონისტი. მან ხელი უნდა შეუწყოს კვლევებსა და განვითარებას, რათა მოხერხდეს კლიმატისათვის ხელსაყრელი ინოვაციების სტიმულირება და შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვა. თუმცა, ტექნოლოგიურ მიდგომასაც აქვს თავისი სტრუქტურული ნაკლოვანებები. თუ ტექნოლოგიების საფუძველზე კლიმატის ცვლილების გადაწყვეტის გზა წარმატებული იქნება, მომავალში ჩვენ ელექტრომობილებით ვიმგზავრებთ, მივირთმევთ მცენარეებისგან დამზადებულ ხორცს, სახლებს ემისიების არმქონე ცემენტისგან ავაშენებთ, გადავამუშავებთ კლიმატნეიტრალურ ცემენტს, მაგრამ საზოგადოებრივ ურთიერთობებში მეტწილად ყველაფერს ისე დავტოვებთ, როგორც დღეს გვაქვს. ტექნოლოგიური განვითარება არასდროს იქნება საკმარისი იმგვარი სისტემის გასაწონასწორებლად, რომელიც „ყოველთვის მეტს ესწრაფვის და

არასდროს ყოფნის არსებული რესურსები“, რომელიც ბაზრების გაფართოების, დაუსრულებელი ზრდისა და კერძო მოგების საყრდენებზე დგას.

სახელმწიფოზე ორიენტირებული მიდგომა ტოვებს სივრცეს საბაზრო მექანიზმებისათვის, ამასთანავე, იმედს ამყარებს ტექნოლოგიურ ცვლილებებზე. აღნიშნული მიდგომის მთავარი დამატებითი ნიშანი გახლავთ ის, რომ იგი არღვევს წარმოდგენას სახელმწიფოს, როგორც ცუდი მწარმოებლის, შესახებ. რაზე არის დამოკიდებული კაპიტალიზმის ძლიერება? ინოვაციების უნარზე, რომელსაც თავისი ინტერვენციებით და რესურსებით მაკონტროლებელი სახელმწოფო უქმნის საფუძველს. სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე წარსულში ვერც ერთი უმნიშვნელოვანესი ინოვაცია და მისთვის აუცილებელი კვლევები ვერ განხორციელდებოდა. ეკონომისტი მარიანა მაცუკატო ამტკიცებს, რომ სახელმწიფომ „ეკონომიკური განვითარების კონიუნქტურული ციკლის ნებისმიერ ეტაპზე უნდა შეასრულოს ვეფხვის როლი“, კერძო კომპანიები კი მხოლოდ „შინაური კატების“ ფუნქციას დასჯერდებიან. მიუხედავად ინოვაციურ პროცესებში სახელმწიფოს მონაწილეობის რეალისტური შეფასებისა, აღნიშნულ მიდგომასაც აქვს თავისი ნაკლოვანებები. ბიზნესისთვის ხელსაყრელ სახელმწიფო ინტერვენციებს არ შესწევთ ძალა წინააღმდეგობა გაუწიონ სტრატეგიებს, რომელთა საშუალებითაც ბაზრის მსხვილი მოთამაშეები საკუთარ შემოსავალს სუსტი კომერციული აქტორების ხარჯზე ზრდიან. ამას ემატება სახელმწიფო აპარატისა და ბიუროკრატიის ქმედებები, რომლებიც მიჩვეულნი არიან თავშეკავებას, პოლიტიკური კონიუნქტურის მორჩილებას, განიცდიან ფანტაზიის ნაკლებობას ინდუსტრიული და სტრუქტურული ხედვების შემუშავების დროს. სახელმწიფოს მიერ წარმართული ეკონომიკური განახლება, რომელიც დეკარბონიზაციის მიზნებისკენაა მიმართული, ძნელად მიღწევადია რუტინის პირობებში მომუშავე სახელმწიფო უწყებების საშუალებით.

საერთო ჯამში, ყველა დასახელებული მიდგომის მიზანია ეკონომიკური ზრდის დამანგრეველი ეკოლოგიური შედეგებისგან განცალკევება, რაც თავისებურ წინააღმდეგობას წარმოქმნის. ერთი მხრივ, ყველაფერი სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს. უცვლელი რჩება მხოლოდ კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის საფუძველმდებარე წესი, რომლის მიხედვითაც გადაულახავ აუცილებლობად რჩება დაუსრულებელი დაგროვება და უწყვეტი სწრაფი ეკონომიკური ზრდა. ამგვარად, ფინანსური კაპიტალიზმი იქცევა „ბუნებრივ კაპიტალიზმად“, რომლის დაძლევაში წვლილი უნდა შეიტანოს იმავე სისტემურმა მექანიზმებმა, რამაც გამოიწვია „მარწუხების კრიზისი“.

ის ფაქტი, რომ „კაპიტალისტური რეალიზმი“ არარეალისტურ სახეს იღებს, კრიტიკას იმსახურებს სხვადასხვა პოლიტიკური ხედვების პერსპექტივიდან. ამ პოლიტიკურ ხედვათა მიზანია საზოგადოების გათავისუფლება მუდმივი დაგროვებისა და ეკონომიკური ზრდის ზეწოლისგან. მე ამ ხშირად არამკაფიოდ განსაზღვრულ მექანიზმებს **დემოკრატიზაციის მიდგომის** ცნებით მოვიხსენიებ. ამ ხედვებს საერთო აქვთ ის, რომ ისინი აერთიანებენ კლიმატის დაცვასა და ეკოლოგიურ მდგრადობას სხვა, საბოლოოდ პოსტკაპიტალისტური ტიპის საზოგადოებაზე გადასვლასთან. დემოკრატიზაციის მიდგომა საკმაოდ თავისებური გზით თავის თავში მოიაზრებს სოციალურ მდგრადობასთან დაკავშირებული პრობლემების ღერძსაც. კაპიტალიზმს მხოლოდ მისი კრიზისისადმი მიდრეკილების გამო არ აკრიტიკებენ. მისი მნიშვნელოვანი უარყოფითი მახასიათებელი WalMart-პრინციპით ფუნქციონირებაა. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს იმას, რომ ენერგოეფექტიანობის უზრუნველყო-

ფის შედეგად დაზოგილი რესურსები კვლავ ბიზნესის გაფართოებაში უნდა დაბანდდეს. შესაბამისი ბიზნეს პრაქტიკა წარმოშობს აღდგენის ეფექტს, რადგან მოსალოდნელი მზარდი მოხმარება ადრე თუ გვიან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ეფექტურობაზე დაფუძნებული სტრატეგიების ეკოლოგიურ წარმატებებს. შესაბამისად, სავარაუდო „მწვანე ზრდა“ საბოლოოდ ისეთივე არამდგრადი აღმოჩნდება, როგორც ადრე გახლდათ.

ამგვარი მიდგომის საწინააღმდეგოდ, დემოკრატიზაციის სტრატეგია მიზნად ისახავს ეკონომიკის დაქვემდებარებას სამოქალაქო საზოგადოების დაგეგმვისა და კონტროლისადმი. უპირატესობა ენიჭება კოლექტიური საკუთრების ახალ ფორმებსა (ამხანაგობები, თანამშრომელთა საზოგადოებები) და საერთო საკუთრების გაძლიერებას. ამასთანავე, უპირატესობა ენიჭება დემოკრატიული ჩარჩო დაგეგმარებისა და პოლიტიკური ინოვაციების წამხალისებელ მიდგომებს, იქმნება ტრანსფორმაციისა და მდგრადობის საბჭოები, რათა საზოგადოებას მდგრადი განვითარების შესახებ მყარი ცოდნის ჩამოყალიბებაში და გადაწყვეტილებების მიმღებ პირებზე მუდმივი წნეხის განხორციელებაში შეუწყონ ხელი.

დეტალების მიხედვით რაც არ უნდა განსხვავებული იყოს დემოკრატიზაციის მიდგომები, ყველა მათგანი იზიარებს წინაპირობას, რომ მდგრადობისკენ შემობრუნება შეუძლებელია წარმოებისა და ცხოვრების დამკვიდრებული გზების ფუნდამენტური ცვლილების გარეშე. ეკოლოგიურად სუფთა წარმოების რეალიზების შემთხვევაში შედარებით ნაკლები მასალების გამოყენება დაგვჭირდებოდა, მაგრამ აუცილებელი იქნებოდა უფრო მაღალი ხარისხის მიღწევა. ამგვარი ამოცანის გადაწყვეტას შევძლებდით იმ შემთხვევაში, თუ მდგრადობის მიზნები ინტეგრირებული იქნებოდა არა მხოლოდ ფასების წარმოქმნის, არამედ დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სისტემებში. თანამშრომლობა, თანასწორობა და ეკოლოგიური ტვირთის თავიდან აცილება წახალისებული იქნება დახურული ეკონომიკური ციკლებისა და მდგრადი მობილობის სისტემების განვითარების მსგავსად. ამგვარი ტენდენცია შესაძლებელს გახდიდა სამუშაო პროცესების ტექნიკურ რეორგანიზაციას. შეიძლება თომას მორის მიერ აღწერილი კუნძულის – უტოპიის სტანდარტიც განხორციელებულიყო: მოკლე სრულგანაკვეთიანი სამუშაო დღე ყველასთვის, რაც უამრავ თავისუფალ დროს აძლევს ადამიანს სხვა საქმიანობისთვის.

შემაჯამებელი შენიშვნა

დემოკრატიზაციის ყველა სტრატეგიას ახასიათებს ის, რაც აკლია „კაპიტალისტურ რეალიზმს“: გამბედაობა და სიმამაცე ერთი შეხედვით შეუცვლელი სისტემის საზღვრებს მიღმა ჭვრეტისა და მომავლისადმი უტოპიური ოპტიმიზმითა და პოზიტიური ხედვებით აღბეჭდილი დამოკიდებულება. თუმცა, დემოკრატიზაციის სტრატეგიები აწყდება სტრუქტურულ წინააღმდეგობებსაც, რადგან ისინი ამა თუ იმ ფორმით ითხოვენ გაბატონებული ძალაუფლებრივი ურთიერთობების რადიკალურ ცვლილებას, დაძლევას.

მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ არც ერთი ჩემ მიერ ჩამოთვლილი მიდგომა დამოუკიდებლად ვერ მოახერხებს გზის გაკვლევას მდგრადი საზოგადოებისკენ. მნიშვნელოვანია მიდგომათა იმგვარი კომბინაცია, რომელიც ტრანსფორმაციულ პოლიტიკას ზურგს გაუმაგრებს. ბუნდოვანი მომავლის პირობებში უმნიშვნელოვანესია სხვადასხვა სტრატეგიების

გამოცდის მიზნით ექსპერიმენტების ხელშეწყობა. ჟურნალისტმა ნაომი კლაინმა ერთად მოუყარა თავი რადიკალური რეალპოლიტიკის პრინციპებს. ერთი მხრივ, მას არ ეპარება ეჭვი, რომ „კაპიტალიზმა და არაადამიანურმა ბუნებამ, ხელიდან გამოგვტაცა კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის ისტორიული შესაძლებლობა“. მეორე მხრივ, ის თავს არიდებს აბსტრაქტულ დებატებს სისტემისადმი თავსებადი მდგრადობის შეუთავსებლობის თაობაზე. რადიკალური პრაგმატიზმის სულისკვეთებით, კლაინი მოგვიწოდებს კაპიტალიზმისა და მისი ელიტების მორიგი გამოცდისკენ, რაც გულისხმობს სწორედ იმის შემოწმებას, თუ რა დგას „ახალი მწვანე კურსის“ პოლიტიკური შემოთავაზებების მიღმა.

საბოლოოდ, არა ბაზრები, არამედ მდგრადი სოლიდარობა და თანამშრომლობა იქნება ახლი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა. რაც უფრო სწრაფად გავრცელდება ამგვარი შეხედულება, მით მეტია შანსი იმისა, რომ მომავალი საზოგადოება უკეთესი იყოს.

წყარო: Green New Deals / Aus Politik und Zeitgeschichte 3-4/2021

თარგმნა ***ლევან ლორთქიფანიძემ***

„ეკოდიქტატურის“ გზაზე? – კლიმატის პროტესტი, როგორც დემოკრატიული გამოწვევა

იოჰანეს ვარვიკი *– საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპული პოლიტიკის პროფესორი, მარტინ ლუთერის სახელობის ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტი.*

კლიმატის მოძრაობის მხარდამჭერთა სივრცეში ცხადად უნდა წარმოჩენილიყო, რომ ძალადობა არ არის პოლიტიკური დებატების ლეგიტიმური საშუალება. უკომპრომისო კლიმატის პოლიტიკის ავტორიტარული განხორციელება სავარაუდოდ, შედეგს ვერ მოიტანს, მაგრამ საზოგადოებას კი ნამდვილად გახლეჩს.

გლობალური ეკოსისტემის მდგრადობა და, კერძოდ, ადამიანის მოღვაწეობით გამოწვეული კლიმატის ტექნოგენური ცვლილება, უდავოდ თანამედროვეობის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა გახდა. სხვა მნიშვნელოვანი თემების აქტუალობა და ეკონომიკური მდგომარეობა გამოწვეული Covid 19-ის პანდემიით 2020 წლის დასაწყისიდან, ან ომი უკრაინაში 2022 წლის გაზაფხულიდან, ამ თვალსაზრისით არაფერს ცვლის ფუნდამენტურად. კლიმატის ცვლილების სხვადასხვა მოდელი სულ რამდენიმე წელს გვიტოვებს საიმისოდ, რომ რაიმე მოვიმოქმედოთ მოსალოდნელი კატასტროფის წინააღმდეგ, რაც შესაბამისი მკვეთრი ზომების მიღებას მოითხოვს: „რადიკალური ცვლილებები, რომლებიც ახლა გვჭირდება, შეიძლება დაჩქარებული ტემპით განხორციელდეს“.[1] ამ კონტექსტში, ბოლო წლებში დისკურსი მართებულად შეიცვალა კონცეპტუალურად: ტერმინი „კლიმატის ცვლილება“ აღარ არის აქტუალური, შესაბამისად უფრო მისაღები გახდა ცნება „კლიმატის კრიზისი“; ახლა ბევრი საუბრობს „კლიმატის საგანგებო მდგომარეობაზე“ ან „კლიმატურ კატასტროფაზე“. მეცნიერთა უმრავლესობა სიტუაციას დრამატულად აფასებს, ამიტომაც გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტიერეშმა 2021 წელს ასეთი გაფრთხილება გაავრცელა – „ჩვენ საკუთარ საფლავს ვითხრით“.[2]

ეს არის დისკურსიული სტრატეგია, რომელშიც „უკვე ფატალიზმისა და მორჩილების რამდენიმე შერეული ელემენტის“ კვალი იძებნება.[3] თუმცა ერთი რამ შეიძლება გარკვევით ითქვას: „ექსტერნალიზებული საზოგადოების[4] აჩრდილები“, რაზედაც სოციოლოგი სტეფან ლესენიჩი წერდა, ვეღარ იქნება იგნორირებული – მათზე რეაგირება შეიძლება თავდაცვითი რეფლექსებითა და რეალური ვითარების უარყოფით ან შეგვიძლია რეაქცია „მივმართოთ რადიკალური ცვლილებებისკენ“.[5]

წითელ-მწვანე-ყვითელმა[6] ფედერალურმა მთავრობამ, რომელიც 2021 წლის ბოლოს

[1] Volker Quaschning, Klimapolitik als Überlebensfrage, in: Politikum 2/2020, S. 38–45, hier S. 39.

[2] Presseerklärung des UN-Generalsekretärs, 1.11.2021, Externer Link http://www.un.org/press/en/2021/sgsm20997.doc.htm.

[3] Hans-Jürgen Bieling/Helene Eggersdorfer, Fridays for Future. Eine soziale Bewegung als Auftakt einer neuen politischen Konjunktur?, in: Politikum 2/2022, S. 14–19, hier S. 15.

[4] ექსტერნალიზებული საზოგადოება სოციოლოგ ლესენიჩის მიხედვით ნიშნავს იმგვარ სოციუმს, რომელიც თავისი ეკონომიკის ნეგატიურ ეფექტებს ღარიბ ქვეყნებსა და მომავალ თაობებზე ამისამართებენ.

[5] Stephan Lessenich, Neben uns die Sintflut. Die Externalisierungsgesellschaft und ihr Preis, Berlin 2016, S. 196.

[6] შუქნიშნის კოალიცია – სამთავრობო კოალიცია, რომელიც აერთიანებს სოციალ-დემოკრატებს (პარტიული სიმბოლიკის ფერი – წითელი), მწვანეთა პარტიასა და თავისუფალ დემოკრატებს (მათი დროშა ყვითელია).

მოვიდა ხელისუფლებაში, ამ შემთხვევაში ახალი კურსი უნდა შეიმუშავოს. მაგალითად, Bündnis 90/Die Grünen-ის საარჩევნო პროგრამაში ნათქვამი იყო: „თუ ჩვენ ამ ათწლეულის დასაწყისში თანამიმდევრულად ვიმოქმედებთ და გავაკეთებთ განაცხადს სოციალურ-ეკოლოგიური ტრანსფორმაციის თაობაზე, შევძლებთ თავიდან ავიცილოთ კლიმატური კატასტროფა და ჩვენი წვლილი შევიტანოთ კლიმატისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაში“.[7] მწვანეთა კანცლერობის კანდიდატმა ანალენა ბერბოკმა საარჩევნო კამპანიის დროს განაცხადა, რომ მხოლოდ მომავალ მთავრობას შეუძლია „ჯერ კიდევ აქტიური გავლენა მოახდინოს კლიმატის კრიზისზე“.[8] თუმცა, მიუხედავად ამგვარი განცხადებებისა, მთავრობა, რომლის საგარეო საქმეთა მინისტრიც ახლა ბერბოკია, ვერ ახერხებს შეუდგეს „მსოფლიოს გადარჩენას“ ისეთი რადიკალური მოქმედებებით, როგორსაც ზოგიერთები იმედოვნებდნენ.

ამრიგად, მაშინაც კი, როცა არ არსებობს ემპირიული მტკიცებულება იმისა, რომ ამ მხრივ არადემოკრატიული მმართველობის სისტემები უფრო წარმატებულია, ჩნდება ფუნდამენტური კითხვა: აქვთ თუ არა ლიბერალურ დემოკრატიებს პოლიტიკური საშუალებები და ინსტრუმენტები, რათა სწრაფად და ეფექტიანად მოახდინონ რეაგირება ისეთ გამოწვევაზე, როგორიცაა კლიმატის ცვლილება? თუ კლიმატის ცვლილებების შედეგები დემოკრატიისთვის მეტისმეტად ძნელი დასაძლევი შეიძლება აღმოჩნდეს? და თუ ეს ასეა: არის თუ არა სხვა პოლიტიკურ პრიორიტეტებზე უარის თქმა და ინტერესთა დემოკრატიული დაბალანსება ერთადერთი სიცოცხლისუნარიანი გზა დედამიწის, როგორც კაცობრიობის ჰაბიტატის გადასარჩენად? ანუ ერთგვარ „ეკოდიქტატურის“ გზაზე ვართ შემდგარნი?

„მსოფლიოს გადარჩენის იდეის ისტორია“ რეალპოლიტიკის წინააღმდეგ

იმათ, ვისაც 1970-იან წლებში პანიკური შიში ჰქონდა ბირთვული ომის საფრთხის ან 1980-იან წლებში ტყის მასივების გაქრობის შიში დაეუფლა, შეიძლება ეს გრძნობა ნაცნობი აღმოჩნდეს. ვინც დარწმუნებულია, რომ მომავალში ეს კატასტროფა აუცილებლად დადგება, მას საბოლოოდ სასოწარკვეთილება იპყრობს ან არადა, რადიკალიზაციის მხარეს იხრება და აქედან უკვე შორს აღარ არის „ეკოდიქტატურის“ დამყარებამდე. ტერმინი – „ეკოდიქტატურა“, რა თქმა უნდა, საკამათოა და არ არის ერთგვაროვნად განსაზღვრული, რაც კიდევ უფრო უარესია. ახლა ბევრი მას განიხილავს, როგორც ბრძოლას ეკოლოგიურად ორიენტირებული პოლიტიკის გასაქილიკებლად. ჩვეულებრივი გაგებით, ეს ნიშნავს მმართველობის ფორმას, რომელსაც სურს კლიმატის დაცვის სასარგებლოდ აღიარებული ზომები ცხოვრების ყველა სფეროში სახელმწიფო კანონებითა და აკრძალვებით განახორციელოს, რაც პირადი თავისუფლების შეზღუდვის წინაპირობად შეიძლება მოგვევლინოს.[9] თუმცა, ამ სტატიაში „ეკოდიქტატურა“ ისეა გაგებული, როგორც ზომები, რომლებიც, ერთი მხრივ, ბევრად სცილდება პარტიული დავების სფეროს და მეორეც – გარკვეულ გარემოებებში აღნიშნული ზომები შესაძლებელია ავტორიტარული, რადიკალური ან თუნდაც, ძალადობრივი საშუალებებით აღსრულდეს.

[7] Bündnis 90/Die Grünen, Bundestagswahlprogramm 2021, S. 12, Externer Link https://cms.gruene.de/uploads/documents/Wahlprogramm-DIE-GRUENEN-Bundestagswahl-2021_barrierefrei.pdf.

[8] Statement im Fernsehtriell von ARD und ZDF, 12.9.2021, Externer Link http://www.daserste.de/information/nachrichten-wetter/ard-sondersendung/videos/das-triell-dreikampf-ums-kanzleramt-video-104.html.

[9] Vgl. Michael Kopatz, Ökoroutine: Damit wir tun, was wir für richtig halten, München 2018.

მაშინაც კი, თუ ჩვენ ძალიან შორს ვართ სისტემის ამგვარი ცვლილებისგან: კლიმატის პოლიტიკის თემის ირგვლივ, როგორც „Zeit“-ის ჟურნალისტი თომას შმიდტი შენიშნავს, პოლიტიკურ ასპარეზზე, შესაძლებელია, გარკვეული ლოგიკა შემუშავდეს, რაც უნდა გულისხმობდეს „სწრაფვას აბსოლუტისკენ, კვაზირელიგიურობისკენ“. ამ კონფიგურაციიდან გამომდინარე, პროცედურები უნდა ამაღლდეს „პარტიული დავა-კამათის, ადმინისტრაციული დრტვინვის, ხმის მიცემის ილუზიებისა და დაპირისპირების გამაღიზიანებელი სულისკვეთებაზე ზემოთ, თუ ისინი გრძელვადიან პერსპექტივაში კლიმატის დაცვის პოლიტიკის გამართლებასა და გაძლიერებას აპირებენ“.

თუმცა, აუცილებელია იცოდეთ, რომ პოლიტიკამ შეიძლება არ გაამართლოს ეს მოლოდინები იმის გამო, რომ ვინც საუბრობს «მსოფლიოს გადარჩენის ნარატივით», არ შეუძლია «იაქტიუროს და იმოღვაწეოს სხვა პოლიტიკურ ველზე».[10] ეს ნამდვილად არის პოლიტიკური წესრიგის დილემა, „რომელიც, როგორც ჩანს, ვერ გადაიჭრება შიშისა და განადგურების განზომილებაში, რომელიც რეალურია და მისი უაყოფით ის მხოლოდ იზრდება იმ ძალით, რა ძალითაც მისი უარყოფა ხდება“.[11]

16 წლის გრეტა ტუნბერგმა, რომელიც მაშინ ორგანიზაცია „პარასკევი მომავლისათვის“ გამორჩეული ფიგურა გახლდათ, ასევე ეს ნარატივი შემოიტანა თავის სიტყვაში, რომლითაც მან გაეროს გენერალურ ასამბლეას 2019 წლის შემოდგომაზე მიმართა. დაუოკებელი ბრაზის გარდა, მის სიტყვებში ასევე გამოთქმული იყო შიშიც მომავლის წინაშე, რომელიც მასზე გაცილებით მეტად იმოქმედებდა, ვიდრე ყველა იქ შეკრებილ ქალსა და მამაკაცზე 193 ქვეყნიდან, რომლებიც მას უსმენდნენ: „თქვენ თქვენი ცარიელი სიტყვებით ჩემი ოცნებები და ბავშვობა მომპარეთ. (...) იშლება მთელი ეკოსისტემები. ჩვენ დავდექით მასობრივი გადაშენების წინაშე, თქვენ კი მხოლოდ ფულსა და მარადიული ეკონომიკური ზრდის შესახებ გვიყვებით ზღაპრებს. როგორ ბედავთ!“[12]

მისი შეძახილი „როგორ ბედავთ!“ იყო სრულიად ახალი ფრაზა ჯერ კიდევ ახალბედა 21-ე საუკუნის ლექსიკონისთვის, ფრაზა, რომელსაც შეეძლო სამყაროს დამხობა, თუ სამყარო ამისთვის მზად იქნებოდა“.[13]

არა მხოლოდ ახალგაზრდები, არამედ ბევრი ხანდაზმული ადამიანი კლიმატის ცვლილებას უზარმაზარ საფრთხედ მიიჩნევს. მათ საკმარისი საფუძველი აქვთ ამ საშიშროების შესახებ ხმამაღლა და გარკვევით ისაუბრონ. სწორედ ამ აქტივისტებისა და დემონსტრანტების დამსახურებაა, რომ ამ საკითხმა ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მაგრამ როგორ რეაგირებენ პოლიტიკოსები და საზოგადოება, ყოველ შემთხვევაში, ზოგადად? კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სანახევროდ მომზადებული პაქტით, სულ უფრო და უფრო გახშირებული საჰაერო მოგზაურობებით, ცხოვრების წესის არცთუ ისე მკვეთრი ცვლილებებით და ამგვარად, უარყოფითი ეკოლოგიური შედეგების არცთუ მასიური შემცირებით, მათი გაუმჯობესების ნაკლები გარანტიებითა და მითითებებით იმაზე, რისი გადაწყვეტა არის პოლიტიკურად შესაძლებელი. მოკლედ – ისევ და ისევ რეალპოლიტიკაზე გვიწევს საუბარი.

როდესაც ეკონომიკის მინისტრს მწვანეებიდან, რობერტ ჰაბეკს 2022 წლის მარტში რუსეთის უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ, ჰკითხეს, გახდა თუ არა უსაფრთხოება უფრო მნიშ-

[10] Thomas E. Schmidt, Die Fallen grüner Politik, in: Die Zeit, 22.8.2019, S. 34.

[11] Georg Diez, Angst und Endlichkeit, 28.9.2019, Externer Link https://taz.de/!5627066.

[12] Greta Thunberg, Rede vor der UN-Generalversammlung, 23.9.2019, Externer Link https://soundcloud.com/unradio/clip-climate-activist-greta-thunbergs-remarks-at-the-climate-action-summit-at-un-hq-in-ny (eig. Übersetzung).

[13] Diez (Anm. 9).

ვნელოვანი, ვიდრე კლიმატის დაცვა და ქვანახშირზე მომუშავე ქარხნებმა შესაძლოა თუ არა გააგრძელონ მუშაობა, მან განაცხადა: „ვეჭვობ, რომ ეს ასეა“.[14]

რა საფუძველს გვაძლევს ეს პოლიტიკური დებატებისთვის? არის თუ არა საჭირო პოლიტიკური დისკურსის რადიკალიზაცია, რათა კლიმატის დაცვა უფრო პრიორიტეტულად ვაქციოთ? და სად შეიძლება მოხდეს ეს? მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება ვიღაცისთვის შორსმიმავალ პერსპექტივად და პროვოკაციულად გამოიყურებოდეს, ამაში გარკვეული სიცხადე შეიძლება 1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში სტუდენტური მოძრაობის ნაწილთა რადიკალიზაციის შედარებითმა ანალიზმა შეიძლება შემოიტანოს.[15]

რადიკალიზაცია, როგორც თავდაცვა

რა თქმა უნდა, მოძრაობა „პარასკევი მომავლისთვის“, გრეტა თუნბერგისა და „წითელი არმიის ფრაქციის“ (RAF)[16] და მისი პროპაგანდისტის – ულრიკე მაინჰოფის შეხედულებები ფუნდამენტურად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ორივე მოძრაობისა და მათი პროპაგანდისტი ლიდერების ერთ ტაფაში მოქცევამ შეიძლება გამოიწვიოს გაუგებრობები, რომლებიც აუცილებლად თავიდან უნდა იქნას აცილებული. მაშასადამე, შედარებითი განხილვა მხოლოდ არგუმენტის გამკაცრებას ემსახურება, მასში სიცხადის შესატანად. თუმცა, რაც ამ ორ ქალბატონს აერთიანებს, არის რადიკალიზმი და ბრაზი, მათი ქცევები პანიკის დათესვასთან და ამრიგად, მთელი პოლიტიკური კლასის კუთხეში დაყენებასთან დაკავშირებით. მაგრამ მაინც ვინ დაადანაშაულებს ამაში გრეტა ტუნბერგს და მის თაობას, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ცხოვრების წესსა და გლობალური ეკოსისტემის სამომავლო სიცოცხლისუნარიანობას შორის კავშირს?

ულრიკე მაინჰოფის ტრაგედია იყო არა მხოლოდ ის, რომ პატივცემულმა ჟურნალისტმა და ჰამბურგის საზოგადოების წევრმა ძალადობა აირჩია პოლიტიკური დებატების საშუალებად და ტერორისტული ჯგუფის „RAF“-ის[17] წამყვანი ფიგურა გახდა. ტრაგედია, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობდა იმაში, რომ მან სრულიად არასწორად შეაფასა ქვეყანა, რომელშიც ის ცხოვრობდა. მათთვის და სხვებისთვისაც ფედერაციული რესპუბლიკა 1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში ფაშიზმში დაბრუნების ზღვარზე იდგა. ოსვენციმი იყო არა მხოლოდ მშობლების თაობის მორალური გაკოტრება, არამედ საკუთარი თაობის უპირობო ვალდებულება, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს და ამისათვის ყველა საჭირო საშუალება იქნას გამოყენებული. ამ თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯები, ახალი, უფრო ძლიერი საკანონმდებლო ბაზის შექმნა საკმარისი არ იყო, ხოლო „შტურმერიდან“ „ბილდზე“[18] გადასვლა მხოლოდ გარდამავალი ეტაპი შეიძლებოდა ყოფილიყო. ყველას, ვისაც სჯერა, რომ ახალი ფაშიზმი გარდაუვალია, თავისუფალია არჩევანში

[14] “Es geht darum, sich nicht mehr so eng an Russland zu binden”, Robert Habeck im Gespräch mit Tobias Armbrüster, 2.3.2022, Externer Link http://www.deutschlandfunk.de/robert-habeck-bundeswirtschaftsminister-gruene-besuch-usa-100.html.

[15] Die folgenden Ausführungen beruhen auf Gedanken, die ich in knapperer Form bereits an anderer Stelle veröffentlicht habe. Siehe Johannes Varwick, Radikale Realpolitik, in: Frankfurter Allgemeine Zeitung, 11.12.2021, S. 13.

[16] მემარცხენე რადიკალი ახალგაზრდების მიერ 1970-იანი წლების გერმანიაში ჩამოყალიბებული ტერორისტული ორგანიზაცია.

[17] Vgl. Stefan Aust, Der Baader-Meinhof-Komplex, München 2020.

[18] „შტურმერი“ – ნაცისტების ანტისემიტური ყოველკვირეული გაზეთი. „ბილდი“ – გერმანული ტაბლოიდური გამოცემა, რომელიც მტრულად იყო განწყობილი ანტიკაპიტალისტური წრეებისადმი.

გამოიყენოს ნებისმიერი საშუალება, მათ შორის ძალადობაც. რა თქმა უნდა, ეს სოციალური ანალიზი არ იყო სწორი და ბევრმა, მათ შორის მემარცხენე ინტელექტუალებმა – დაწყებული ჰაინრიხ ბიოლიდან პოლიტოლოგ ვოლფგანგ აბენდროთამდე და ფილოსოფოს იურგენ ჰაბერმასამდე, გაიგეს და გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება. მაგრამ RAF-ის ჩაკეტილი მსოფლმხედველობით, მათი ძალადობა იყო პრევენციული აუცილებლობით ნაკარნახევი უარესის თავიდან ასაცილებლად. ეს გახლდათ ტრაგიკული შეცდომა, რომელმაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

მოდით ახლა ეს ყველაფერი განვიხილოთ დღევანდელი თაობის მეამბოხეებთან მიმართებაში.. როდესაც პოლიტოლოგი და აქტივისტი ტაძიო მიულერი „შპიგელთან“ ინტერვიუში განმარტავს, რომ საზოგადოება ძალადობისა და დივერსიის საფრთხის წინაშე დგას და, თუ მშვიდობიან პროტესტს შედეგი არ მოჰყვება, მაშინ საყოველთაო განგაშის ზარები ჩამოირეკება. მისი თავდაპირველი აზრი სრულიად გასაგებია, როცა ის ამბობს, რომ დემოკრატიის უკვე ჩამოყალიბებული მექანიზმები აღარ მუშაობს: „საპროტესტო მოძრაობები ყურადღებას ამახვილებენ მოცემულ თემაზე და ერთგვარ სახანძრო სიგნალიზაციას რთავენ, რომელიც შეცვლის საზოგადოებრივ აზრს და შემდეგ უკვე პოლიტიკოსებმა უნდა იმოქმედონ. მაგრამ ისინი არ მოქმედებენ. მექანიზმი გატეხილია“. ამიტომ ლეგიტიმური ხდება რაღაცების დამტვრევა – გაზზე მომუშავე ელექტროსადგურების საბოტაჟი ან მანქანების განადგურება. ამგვარი ქმედება ახლა თავდაცვის საშუალებად მიიჩნევა. ამ მოძრაობების უმეტესობა შეშინდება და დამშვიდდება, მათი მცირე ნაწილი იატაკქვეშეთში გადავა. ყველა, ვინც დღეს ეწინააღმდეგება კლიმატის დაცვას, ქმნის „მწვანე RAF“-ს ან ხელს უწყობს კლიმატის პარტიზანების მომრავლებას, „საბოტაჟი მომავლისთვის“[19] გაძლიერებას.[20]

ამ კონტექსტში ასევე ღირს ყურადღება მივაქციოთ ახალგაზრდა აქტივისტებს, რომლებმაც 2022 წლის გაზაფხულზე გერმანიის მრავალ ქალაქში „ბოლო თაობის აჯანყების“ სახელით დაიწყეს საპროტესტო მოძრაობა კლიმატის რადიკალური დაცვის მიზნით და და შეეცადნენ შიმშილობით, ბლოკადებით, დივერსიული მოქმედებებითა და ულტიმატუმებით დასახული მიზნისთვის მიეღწიათ.[21] მშვიდობიანი მოქმდებებიდან გადასვლა ძალადობისკენ მოწოდებებზე, როგორიცაა ქვანახშირზე მომუშავე ელექტროსადგურების პიკეტირება, საკმაოდ ამდორებს ქმედებებს. ამ ჯგუფის ტონი «საკმაოდ განსხვავდება მოძრაობისგან „პარასკევი მომავლისათვის“ – წერს „Frankfurter Allgemeine Sonntagszeitung”-ის პოლიტიკური რედაქტორი იუხტუს ბენდერი და მოჰყავს ციტატები ულტიმატუმიდან, რომელიც მოძრაობის წევრებმა კანცლერ ოლაფ შოლცს 2022 წლის დასაწყისში წაუყენეს: თუ ის კომენტარს არ გააკეთებს იმაზე, თუ როგორ აპირებს შეასრულოს მოთხოვნები კლიმატის მეტად დასაცავად, „ჩვენ ვალდებული ვიქნებით სამოქალაქო წინააღმდეგობის მეშვეობით ვიბრძოლოთ ადამიანების გადასარჩენად. ამ შემთხვევაში, ჩვენ ჩამოვშლით დაუცველ ინფრასტრუქტურას, როგორიცაა პორტები და აეროპორტები, როგორც გამოხატულება ჩვენი დროის მიწაწყრილი ცხოვრების ყოველდღიურობისა და „დაპაუზებისა“ ამ ქვეყანაში“[22].

ეს განსხვავებული ტონი ასევე ცხადი გახდა მაშინაც, როდესაც „უკანასკნელი თაობის“

[19] რადიკალური გარემოსდაცვითი და მწვანე მოძრაობა.

[20] “Wer Klimaschutz verhindert, schafft die grüne RAF”, Interview von Jonas Schaible mit Tadzio Müller, 21.11.2021, Externer Link http://www.spiegel.de/a-5e42de95-eaf2-4bc1-ab23-45dfb0d2db89.

[21] Vgl. Carla Reveland, Radikal und umstritten, 22.2.2022, Externer Link http://www.tagesschau.de/inland/gesellschaft/radikale-klimaproteste-101.html; Joana Nietfeld, Die Endzeitstimmen, in: Der Tagesspiegel, 8.2.2022, S. 3.

[22] Justus Bender, Je mehr Angst, umso besser, in: Frankfurter Allgemeine Sonntagszeitung, 19.2.2022, S. 5.

ორი აქტივისტი 2021 წლის ნოემბერში საჯარო დებატებისთვის შოლცს შეხვდა. ამას წინ უძღოდა 27-დღიანი შიმშილობა, რომელიც მათ 2021 წლის ფედერალური არჩევნების წინა დღეს დაასრულეს, ვინაიდან ეს შოლცთან შეხვედრის წინაპირობა იყო. ისინი, რომლებიც არ იღებენ რადიკალურ ზომებს კლიმატის დასაცავად, თანამონაწილეები არიან მილიონობით თუ არა, მილიარდობით ადამიანის შიმშილით სიკვდილისა. შოლცი ცდილობდა ყურადღება მიეპყრო იმაზე, თუ რისი განხორციელება მიაჩნდა შესაძლებლად და ეცადა შემოეტანა თავისი იდეები კლიმატურად ნეიტრალურ ინდუსტრიასა და საზოგადოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მაგრამ აქტივისტებს ამის გაგონებაც არ სურდათ.[23]

ტაძიო მიულერი განმარტავს, რომ რადიკალურ ჯგუფებს არ აინტერესებთ საზოგადოების გული მოიგება და მომხრეების შემომატება: „მხოლოდ ის, რომ საზოგადოება კლიმატის აქტივიზმს დადებითად აფასებს, საქმეს ვერ შველის“. ამავდროულად, პოლიტოლოგი საკმაოდ უხეშად გამოხატავს თავის შეხედულებებს რადიკალიზაციის შესახებ: „მთავრობა ამტკიცებს არაეფექტიან პაკეტს კლიმატის შესახებ მაშინ, როდესაც მილიონები ქუჩაში საპროტესტოდ არიან გამოსულნი. ამით მართლაც რომ შუა თითი გვიჩვენეს. თუ საზოგადოება ასე გააგრძელებს, ის აირჩევს საომარ მდგომარეობას და არა იმათ, ვინც შემდეგ აინთება ომის ჟინით“.[24] თუმცა, ამ პროტესტის მკვლევრები, მათ შორის დიტერ რუხტი, სამართლიანად აღნიშნავს, რომ ტრადიციულ სამოქალაქო დაუმორჩილებლობას არანაირი კავშირი არ აქვს მშვიდობიან, მით უმეტეს არამშვიდობიან დივერსიასთან. ავტორიტარულ და ტოტალიტარულ სისტემებში, შესაძლოა, საბოტაჟი იყოს აუცილებელი და ლეგიტიმური. მაგრამ ვინც არბილებს ამ ზღვარს დემოკრატიულ სისტემებში, არასწორი გზით მიდის და ვერანაირად შეძლებს მოსახლეობის ძლიერი, ორგანიზებული უმცირესობის გულის მოგებას“.[25]

„უკანასკნელი თაობის“ განცხადებები შეიძლება შემაშფოთებელი იყოს თავისი რადიკალური ხასიათით, მაგრამ მათი ძირითადი ანალიზი საკმაოდ თანმიმდევრულია და აქ შესაძლებელია კიდევ ერთხელ გაივლოს პარალელი 60-70-იან წლებში რადიკალურ ჯგუფებთან. თუ ჩემსა და მთელ ჩემ თაობას, მთელი კაცობრიობის გადარჩენას, ბოლოს და ბოლოს, მწვავე საფრთხე ემუქრება, მაშინ მე მაქვს მორალური უფლება, რეალურად გავაკეთო ყველაფერი ამის თავიდან ასაცილებლად, ე.ი. წინააღმდეგობა გავუწიო საფრთხეს“ და, როდესაც წინააღმდეგობაზე ვსაუბრობთ, რამდენად შორს ვართ მისწრაფებისგან „ეკოდიქტატურისკენ“?

გამოსავალი და ჩიხები

აუცილებელია ვიფიქროთ, შეგვიძლია თუ არა დემოკრატიული გზებით დავაღწიოთ თავი ამ დილემას. მართლაც, ამ ცენტრალური, ადამიანური ამოცანის შეუსრულებლობამ შეიძლება ადვილად მიგვიყვანოს ავტორიტარიზმამდე. როგორ რეაგირებს პოლიტიკური სისტემა და საზოგადოება კლიმატის ცვლილებაზე, განსაზღვრავს, იმუშავებს თუ არა დემოკრატია, როგორც მოდელი კატასტროფის პირობებში. მაგრამ სხვა რაღა გზა რჩება, გარდა ბრძოლისა უმრავლესობისთვის დემოკრატიულ დისკურსში?

დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა მტკიცედ უნდა რეაგირებდეს ნებისმიერ სპეკულა-

[23] Eine Aufzeichnung des Gesprächs vom 12.11.2021 findet sich unter Externer Link https://youtu.be/q0KpnFzFQgc.
[24] Interview mit Müller (Anm. 15).
[25] Dieter Rucht, Gewalt schadet dem Klima, 28.9.2021, Externer Link https://taz.de/!5803158.

ციაზე რეალური „ეკოდიქტატურის“ წინააღმდეგ. კლიმატის მოძრაობის კეთილისმყოფელმა გარემომ უნდა აჩვენოს ადრეულ ეტაპზე ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ამას აკეთებდა RAF-ის პირველი თაობის მემარცხენე-ლიბერალური გარემო, რომ ძალადობა არ არის პოლიტიკური დებატების ლეგიტიმური საშუალება. იმის გამო, რომ უკომპრომისო კლიმატის პოლიტიკის ავტორიტარული განხორციელება, რომ აღარაფერი ვთქვათ შესაბამისი დიქტატურის დამყარებაზე, დაანგრევდა ჩვენს საზოგადოებას, ერთმანეთის წინააღმდეგ წააქეზებდა თაობებს და უამრავ უდანაშაულო მსხვერპლს გამოიწვევდა. ასევე უმნიშვნელო იქნება იმის შანსი, რომ ეს კლიმატის პოლიტიკაში აუცილებელ უკუსვლას არ გამოიწვევს.

ამჟამინდელი რადიკალიზაციის ტენდენციებზე პასუხი გახლავთ მტკიცე რეალპოლიტიკა. პოტსდამის კლიმატზე ზემოქმედების კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, ოტმარ ედენჰოფერი, ასევე საუბრობს ამის შესახებ და ამბობს, რომ ის დემოკრატიული სტანდარტების შენარჩუნების მომხრეა: „კლიმატის გადარჩენას ჩვენ მხოლოდ ეკოდიქტატურის გარეშე შევძლებთ, რადგან დიქტატურებს ნამდვილად არ შეუძლიათ რაიმე ასწავლონ, მაგრამ სწავლა და ინოვაციები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ჩვენს ცხოვრებაში პოსტინდუსტრიალურ საზოგადოაბაზე გადასასვლელად, დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა პრობლემების გადაჭრის საუკეთესო ინსტიტუტებია. აქ ცდისა და შეცდომის პრინციპი მოქმედებს. ყველას გათვალისწინებაა საჭირო. ვერც ერთი დიქტატორი ამას ვერ გააკეთებს“.[26]

ამავდროულად, შეცდომა იქნება იმის მტკიცება, რომ გერმანიის პოლიტიკური სისტემა ვერ უპასუხებს ამ გამოწვევებს, თუმცა, პრობლემები აშკარაა.

2021 წლის მარტში ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2019 წლის დეკემბრის კლიმატის დაცვის აქტის დებულებები კლიმატის დაცვის ეროვნული მიზნების შესახებ შეუთავსებელი იყო ძირითად კანონთან იმდენად, რამდენადაც არ იყო საკმარისად გამართული დებულებები 2031 წლიდან სათბური გაზის გამონაბოლქვის შესამცირებლად. ეს არღვევს მომავალი თაობის ფუნდამენტურ უფლებებს.[27] შავ-წითელმა[28] ფედერალურმა მთავრობამ მიიღო ეს გადაწყვეტილება და ევროკავშირის დონეზე კლიმატის მიზნების ერთდროული გამკაცრება „მწვანე კურსის“ საფუძველზე აღიქვა, როგორც 2021 წლის ფედერალური არჩევნების წინ კლიმატის დაცვის კანონის გადახედვის შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, წასასვლელად გამზადებულ ფედერალურ მთავრობას აღარ სურდა ან არ შეეძლო ამ პრობლემების გადსაჭრელად საჭირო ინსტრუმენტების შესახებ დისკუსიის გამართვა. თუმცა, გაურკვეველია, შესაძლებელია თუ არა ამ მიზნების მიღწევა ახალი „შუქნიშნის“ ფედერალური მთავრობის მიერ განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებებით.

ასევე გაურკვეველია, მიიღებს თუ არა საზოგადოება მკვეთრ ზომებს საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში და მოუწევს თუ არა განმეორებითი ცვლილებების განხორციელება დემოკრატიულ პროცესში ერთი თუ მეორე მიმართულებით. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება, რომ სოციალურმა აქტორებმა ხელი შეუწყონ აზრთა ისეთ კლიმატის შექმნას, რომელშიც ასევე დაფიქსირებული იქნება მხარდაჭერა მკვეთრი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. დემოკრატიულ პოლიტიკას გამოცდები ჯერ კიდევ ჩასაბარებელი აქვს.

[26] Klimaforscher Edenhofer: Wir können nur ohne Ökodiktatur das Klima retten, in: Neue Osnabrücker Zeitung, 29.5.2021, Externer Link http://www.presseportal.de/pm/58964/4927348.

[27] Das Gericht prägte dabei den Begriff der “intertemporalen Freiheitssicherung”. Vgl. Bundesverfassungsgericht, Leitsätze zum Beschluss des Ersten Senats vom 24.3.2021, Externer Link http://www.bverfg.de/e/rs20210324_1bvr265618.html.

[28] ქრისტიან-დემოკრატებისა და სოციალ-დემოკრატების კოალიციის სიმბოლური სახელწოდება.

როგორც ჩანს, დიდი ალბათობით, ურთულესი დილემების გადაჭრა ჯერ კიდევ წინ არის: რეალპოლიტიკას უყვარს კამათიდან თავის დაძვრენა აფორიზმით: „პოლიტიკა შესაძლებელის ხელოვნებაა“. მაგრამ თუ მეცნიერული ანალიზი სწორია და რამდენიმე წელიწადში აპოკალიფსი შეუქცევადი გახდება, მაშინ ის, რაც შესაძლებელია, უბრალოდ, საკმარისი აღარ არის. ამიტომ გვჭირდება შეუძლებლის გაკეთება – სისტემის რადიკალური ცვლილება. თუ დემოკრატიულმა პოლიტიკამ ვერ შეძლო ამის გაკეთება, მაშინ ამ გზებს სხვები გაივლიან და „ეკოდიქტატურისკენ“ მიმავალი გზაც დაისახება. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი იქნება ძალადობის უსიტყვო მიღება ან, სულ მცირე, გონებრივი შემწყნარებლობა, როგორც პროტესტის კეთილგანწყობილი და, შესაბამისად, ლეგიტიმური ფორმა, შესაძლოა, როგორც აუცილებელი იმპულსი ქცევის რეალური ცვლილებებისთვის. ეს იქნება გაკოტრების გამოცხადება საზოგადოებისთვის.

ამ დრამატული სიტუაციის გათვალისწინებით, რომელიც ახალგზარდების რადიკალურმა მოქმედებებმა განაპირობეს, ხანდაზმული ადამიანების ვალდებულებაა, ფუნდამენტურად განსხვავებული რეაგირება შეძლონ კლიმატის ცვლილებაზე.

წარმატებისკენ მიმავალი სხვა გზა არ არსებობს, გარდა კლიმატის კრიზისთან მშვიდობიანი საშუალებებით ბრძოლისა და თამაშის დემოკრატიული წესების გათვალისწინებისა, მაგრამ უნდა ვიმოქმედოთ მტკიცედ.[29]

გერმანიის პოლიტიკური განათლების ფედერალური ცენტრის ჟურნალი
„Ökologie und Demokratie / Aus Politik und Zeitgeschichte 21-22/2022

თარგმნა ***მიხო ბეროშვილმა***

[29] Vgl. Wolfgang Merkel, Das Klima und die Demokratie. Von großen Sprüngen und kleinen Schritten, in: Frank-Walter Steinmeier (Hrsg.), Zur Zukunft der Demokratie, München 2022, S. 349–359.

კლიმატური სამართლიანობა
და გენდერული სამართლიანობა

იანა ალიეტსი *– გერმანელი პოლიტოლოგი, „გერმანიის გარემოსა და ბუნების დაცვის გაერთიანების“ აქტივისტი. მუშაობდა გერმანიის ბუნდესტაგის ტრანსპორტის კომიტეტში, ლუქსემბურგის ფონდის ბრიუსელის განყოფილებაში.*

კლიმატური სამართლიანობისათვის ბრძოლა უნდა
იყოს ფემინისტური, ანტირასისტული და ანტიკაპიტალისტური

რას ნიშნავს ფემინისტური პერსპექტივა?

ფემინიზმი შედგება მსოფლიოს გარშემო არსებულ პოლიტიკურ ძალთა, იდეოლოგიათა და სოციალურ მოძრაობათა ფართო სპექტრისაგან, რომელთაც საერთო მიზანი ამოძრავებთ – განსაზღვრონ, დაადგინონ და მოიპოვონ სქესებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და პიროვნული თანასწორობა. ამავდროულად, ფემინისტური მოძრაობები იბრძვიან გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ, იმ როლებისა და სურათ-ხატების დეკონსტრუირებისათვის, კაცისა და ქალის ბიოლოგიურ სქესებს რომ მიეწერება და ქალებს ნაკლებ ძალაუფლებას, კაცებს კი მეტ პრივილეგიასა და შესაძლებლობას აძლევს. მოკლედ, ფემინისტური პერსპექტივა ცდილობს დაადგინოს, გაანალიზოს, გააკრიტიკოს და შეცვალოს სქესსა და გენდერზე დაფუძნებული ძალაუფლებრივი ურთიერთობები.

დღეს ფემინისტური მოძრაობები თავიანთი დღის წესრიგში მოიცავს ფართო ინტერსექციულ პერსპექტივას, ითვალისწინებს რასობრივ, კლასობრივ, ასაკობრივ, ეიბლისტურ[1] და სხვა სახის დისკრიმინაციებს. ამით ფემინისტური სოციალური ანალიზი უფრო ნაყოფიერი ხდება და სხვა საზოგადოებრივ მოძრაობებთან სულ უფრო მჭიდრო კავშირს ამყარებს. ფემინისტური პერსპექტივებისათვის განსაკუთრებით გახსნილი იყო და არის ეკოლოგიური მოძრაობები, რითიც მდიდრდება კაპიტალისტურ სამყაროში კლიმატის კრიზისისა და ეკოლოგიური განადგურების წინააღმდეგ ბრძოლა.

რა სახის პარალელები არსებობს ქალებისა და ბუნების ექსპლუატაციას შორის?

ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ ფემინისტური და ეკოლოგისტური ბრძოლები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდება, რომ აბორტის უფლებისათვის და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას არაფერი აქვს საერთო ეკოლოგიურ განადგურებასთან, პლანე-

[1] ეიბლიზმი (ინგლ. ableism სიტყვიდან „able“ – უნარის მქონე) – ეწოდება ისეთ პრაქტიკას, რომელიც შეზღუდული უნარების მქონე ადამიანების დისკრედიტაციასა და მარგინალიზაციას ახალისებს. ეიბლიზმი ეფუძნება წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა ფიზიკური და ფსიქიკური უნარები წარმოადგენს „ნორმას“ და მათ, ვინც ამ ნორმას არ ერგება, არასრულფასოვნად, ნაკლულად მიიჩნევს.

ტის გადახურებასა და წიაღისეული საწვავის წვასთან. ეკოფემინისტური თეორიისა და ფემინისტური პოლიტიკური ეკონომიის მკვლევრების თანახმად კი, ეს პროცესები ერთი მედლის ორი მხარეა. ქალებისა და ბუნებრივი გარემოს ჩაგვრის, განადგურებისა და ექსპლუატაციის მრავალგვარი ფორმების გაგებისკენ გზა გადის ნეოლიბერალური და კაპიტალისტური ეკონომიკის ანალიზზე.

ნეოლიბერალური კაპიტალისტური მწარმოებლობა ორ მთავარ ასპექტს ეფუძნება: პირველი – იმ დაშვებას, რომ დაუსრულებელი ეკონომიკური ზრდა აუცილებელი და შესაძლებელია, და მეორე – უფასო ან/და იაფ სამუშაო ძალის მოთხოვნილებას. თავისი არსით ფემინისტური და ეკოლოგიური მოძრაობები ამ ორი კონცეპტის წინააღმდეგ იბრძვის, რადგან არც ბუნებრივი რესურსებია ამოუწურავი საზღვრების მქონე პლანეტაზე და არც ის კვლავწარმოებითი შრომა, რომელსაც, ძირითადად, ქალები აუნაზღაურებლად ასრულებენ.

ამრიგად, გარემოს განადგურებასა და ქალთა ექსპლუატაციას შორის არსებული კავშირის გასაგებად უნდა ვნახოთ, თუ როგორ ხმარდება ისინი ჩვენს ეკონომიკურ სისტემაში წარმოებას, როგორც ამოუწურავი და უფასო რესურსები, როგორ ხდება მათი ექსპლუატაცია და, როგორ ედება ისინი საფუძვლად კაპიტალისტურ წარმოებასა და განადგურებას. ერთი მხრივ, პატრიარქატი ითავსებს ქალთა გამუდმებული ექსპლუატაციის იდეოლოგიური საყრდენის როლს, მეორე მხრივ კი, ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციას ამართლებს წარმოებისა და მოხმარების მზარდი მაჩვენებლებითა და ანთროპოცენტრული მსოფლმხედველობით. ორივე მათგანს კი, შესაძლებელს ხდის და განამტკიცებს კაპიტალისტური სისტემის იდეოლოგია, რომელიც მუდმივ მოგებას ესწრაფვის.

რას ნიშნავს კლიმატური კრიზისის შესახებ ფემინისტური პერსპექტივა?

ამ კითხვაზე პირველი და, ცოტა არ იყოს, პოლემიკური პასუხი შემდეგნაირი იქნებოდა: კლიმატის კრიზისი კაცებმა გამოიწვიეს. პლანეტის გადახურება და ეკოლოგიური დესტრუქცია არა მხოლოდ ზრდის, მოგებისა და რესურსების მიმართ კაპიტალისტური სწრაფვის, არამედ აგრეთვე მამაკაცების მიერ მართული ეკონომიკების შედეგია. ეკონომიკაში ძირითადად სწორედ კაცები იკავებენ მაღალ პოზიციებს. მაგალითად, წიაღისეული საწვავის იმ უდიდეს კომპანიებს, რომლებსაც ყველაზე დიდი წვლილი შეაქვთ სათბური გაზების გამოყოფაში, 100%-ით კაცები მართავენ.

იგივე ითქმის პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესზეც: კაცები ამ შემთხვევაშიც გადაწყვეტილების მიმღებთა უმრავლესობას შეადგენენ, ხოლო ქალები, ქვეყნების უმრავლესობაში საარჩევნო უფლების მიღებიდან 100 წლის შემდეგაც კი, ისევ მეტად მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი ძალაუფლებრივ პოზიციებზე. ეს ვითარება თვალსაჩინოა არა მხოლოდ ერი-სახელმწიფოების ფარგლებში, არამედ ისეთ საერთაშორისო მოლაპარაკებებში მონაწილე დელეგაციებშიც, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ[2] და პარტიების კონფერენცია[3]. ასე რომ,

[2] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ – საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის მიზანია ატმოსფეროში სათბური აირების კონცენტრაციის ზრდისა და ამით გამოწვეული გლობალური დათბობის შეჩერება. კონვენციას ხელი მოეწერა 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში, გაეროს კონფერენციაზე „გარემო და განვითარება“.

[3] პარტიების კონფერენცია (Conference of the parties, COP) – ყოველწლიური კონფერენცია, რომელიც ტარდება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს კონვენციის ფარგლებში 1995 წლიდან.

ქალებისთვის ნაკლებადაა ხელმისაწვდომი კლიმატთან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესები, შესაბამისად, გაუთვალისწინებელი რჩება მათი პერსპექტივა კლიმატის პოლიტიკაში. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ქალები კაპიტალისტურ და პატრიარქალურ სისტემებში თავისთავად უკეთესი ადამიანები არიან. ჩვენ არ ვიცით, როგორი იქნებოდა ჩვენი ეკონომიკა, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში ქალები უფრო ფართოდ რომ იყვნენ წარმოდგენილნი. მაგრამ პრიორიტეტები და ზიანის შემცირების სტრატეგიები, შესაძლოა, სხვაგვარი ყოფილიყო.

ეს ვითარება ეთანხმება გენდერით განპირობებულ ქცევით მოდელებს, როცა საქმე ეხება ეკოლოგიის გამანადგურებელ ქცევას. გერმანიაში, შვედეთში, ნორვეგიასა და საბერძნეთში ენერგიის გამოყენების შედარებითი კვლევის[4] ავტორმა შენიშნა, რომ კაცები ქალებთან შედარებით გაცილებით მეტ ენერგიას მოიხმარენ. ეს, ცხადია, აიხსნება ქალების ხელთ არსებული ეკონომიკური შესაძლებლობების ნაკლებობით და ამავდროულად, კლასობრივ საკითხსაც წარმოადგენს. მაგრამ ამის მიზეზი ნაწილობრივ ისიცაა, რომ მთელი მსოფლიოს გარშემო ქალებს უფრო მეტად აღელვებთ გარემოსდაცვითი პრობლემები, რის შედეგადაც ყოველდღიურად ისეთ პროდუქტებს ირჩევენ, ისეთი ცხოვრების წესს მიმართავენ, რომლებიც გარემოს დაცვის პრინციპებს ეთანხმება. ვიმეორებთ, ეს არ ნიშნავს, რომ ქალის გაიდეალებას მივმართოთ და ვთქვათ, რომ ქალი ბუნებით უფრო მეტადაა მიდრეკილი გარემოზე ზრუნვისადმი. მაგრამ შეიძლება საინტერესო იყოს იმის დანახვაც, თუ რამდენად განსხვავებულია ქალების აღზრდის მეთოდი, რაც მათ ბუნებისა და გარემოს მიმართ მგრძნობელობას უფრო მეტად უვითარებს.

თუმცა კლიმატის კრიზისსა და ქალთა ჩაგვრას შორის ყველაზე მნიშვნელოვანი კავშირი გლობალური დათბობის შედეგებში მდგომარეობს. კლიმატის კრიზისის კატასტროფული შედეგები მრავალგვარია: ზღვის დონის, გვალვებისა და წყალდიდობების, ბუნებრივი კატასტროფების მატება, წყლის დეფიციტი და მრავალი სახეობის გადაშენება. იფიქრებთ, ეს მოვლენები ყველასთვის თანაბრად კატასტროფულიაო. მაგრამ უკვე ვიცით, რომ ასე არაა. კლიმატის კრიზისისაგან ყველაზე მეტად ყველაზე დაუცველნი და დაჩაგრულნი ზარალდებიან: ზღვის დონე თანაბრად აიწევს ბანგლადეშში, ნიდერლანდებსა და დანიაში, მაგრამ თუ ნიდერლანდებსა და დანიას აქვს ფინანსური და პოლიტიკური სტაბილურობა კაშხლებისა და ალტერნატიული საცხოვრებლების ასაშენებლად, ბანგლადეშში ხალხი უბრალოდ ჩაიძირება ისე, რომ ბევრი არც იზრუნებს მათზე. ეს რეალობა დგას ჩვენ წინაშე ამ იერარქიულ და უსამართლო გლობალურ სამყაროში.

იგივე ითქმის გენდერის სოციალური კატეგორიების შესახებაც. კლიმატის ცვლილების პერიოდში ქალებს 14-ჯერ უფრო მეტად ემუქრებათ სიკვდილი და მართლაც, დღეს კლიმატის მიზეზით ლტოლვილთა 80 % ქალებია. გარდა ამისა, და შესაძლოა ეს ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს, ქალები მცირე ფერმერთა უმრავლესობას შეადგენენ მთელ მსოფლიოში და ამრიგად, ეკონომიკურად უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი ნაყოფიერ მიწებზე ხშირად სწორედ იმ რეგიონებში, სადაც ხალხს ზოგადად უფრო ნაკლები შესაძლებლობა აქვს გარემოს განადგურებით გამოწვეულ ცვლილებებთან ადაპტაციისათვის. მიწის დამუშავება მომავალ კლიმატურ ქაოსში სულ უფრო და უფრო ნაკლებად სანდო გახდება, რაც ამ ქალებს საზოგადოების კიდისაკენ მიერეკება. კლიმატური ცვლილება ქალებს, რომლებსაც

[4] Comparing energy use by gender, age and income in some European countries, Riitta Räty and Annika Carlsson-Kamyama, Stockholm, 2009.

ნაკლები ძალაუფლება, უფლება და ფული აქვთ, განსაკუთრებით გლობალურ სამხრეთში, ფრონტის წინა ხაზზე აყენებს.

არსებობს კიდევ ერთი კავშირი სექსისტურ დისკრიმინაციასა და ბუნების ექსპლუატაციას შორის: ორივე შემთხვევაში გარდაუვალი და მუდმივი საფრთხე ემუქრება ჩვენს სხეულს, ჩვენ, როგორც ჯანმრთელ და ღირსების მქონე ადამიანებს. ფემინისტური მოძრაობები დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, თუ რამდენად საშიშია პატრიარქალური და სექსისტური ქცევა არამამაკაცთა სხეულებისათვის. ქალები დღემდე ვერ მოძრაობენ ისე თავისუფლად და უსაფრთხოდ, როგორც მამაკაცები. კლიმატის კრიზისის შედეგები, რაც არ უნდა აბსტრაქტული გვეჩვენებოდეს ახლა, ჩვენს სხეულს, ჩვენს სიცოცხლეს შეუქმნის საფრთხეს. ამიტომ დროა, მაგალითი ავიღოთ ფემინისტური მოძრაობებისაგან და კლიმატის კრიზისისგან გამოწვეული პრობლემები პირად პრობლემად განვიხილოთ: ეს არ ხდება სხვაგან და არ მოხდება სხვა დროს – კლიმატის კრიზისი დგას აქ და ახლა – და ხდება ჩვენს თავს. უნდა დავივიწყოთ მასთან ტექნიკური, რაციონალური და ინტელექტუალური მიდგომა – ის ფიზიკური და ხელშესახები მოვლენაა, აქ და ახლა გვემუქრება.

მოკლედ, კლიმატის კრიზისი თავისთავად ეკოლოგიური პრობლემა კი არა, კაცობრიობის წინაშე მდგარი უდიდესი საზოგადოებრივი საკითხია, რომელიც კლასობრივ, რასობრივ და გენდერულ უთანასწორობას აძლიერებს.

პრობლემის გადაჭრის მცდარი გზები: ახალი მწვანე კურსი და ულტრამემარჯვენე ნაციონალისტი ეკოლოგისტები

არსებობს პრობლემის გადაჭრის ისეთი გზები, რომლებიც თავგზას აგვიბნევს და გამანადგურებელ შედეგებს მოგვიტანს, თუ გავითვალისწინებთ, რომ კლიმატის კრიზისი თავისი არსით საზოგადოებრივი კრიზისია და თუ მივუსადაგებთ მას გლობალური დათბობის მიზეზებსა და შედეგებზე ფემინისტურ პერსპექტივებს.

უპირველესად, ფართომასშტაბიანი დებატი მიმდინარეობს „ეკონომიკის გამწვანების“ თაობაზე, რომელიც აქცენტს სვამს მასობრივ მწვანე ინვესტიციაზე იმ მიზნით, რომ შეამციროს ნახშირბადის კვალი ჩვენს ეკონომიკასა და საზოგადოებაზე. წიაღისეული საწვავი უნდა ჩაანაცვლოს განახლებადმა ენერგიამ, ინდუსტრიებმა უნდა გაამწვანონ წარმოების ჯაჭვები და ხალხმა თავისი ქცევა გარემოსდაცვით პრინციპებს უნდა მიუსადაგოს. „მწვანე კაპიტალიზმი“ იმასაც გვპირდება, რომ გაზრდის ეკონომიკებს ახალი ინვესტიციებითა და დასაქმების შესაძლებლობებით. იგი დიდ ყურადღებას უთმობს გარემოს განადგურებას, თუმცა უგულებელყოფს საზოგადოებების სოციალურ სტრატიფიკაციას ეროვნულ და გლობალურ დონეზე. „მწვანე კაპიტალიზმი“ ეძებს პრობლემის გადაჭრის უეცარ საშუალებებს მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ დაფიქრების გარეშე.

თუმცა, რადგან კლიმატის კრიზისის მიზეზი კაპიტალისტური და ნეოლიბერალური ეკონომიკაა, რომელსაც ამოძრავებს მოგების, რესურსებისა და დაბალანაზღაურებული შრომისაკენ დაუსრულებელი სწრაფვა, ეს სტრატეგიები არ აღმოფხვრის გარემოს განადგურების ფესვებს და ამდენად, განწირულია მარცხისათვის. არავითარი ეკონომიკური ზრდა არ არის თავისუფალი რესურსების (ჭარბი) მოხმარებისაგან და ყოველთვის გააძლიერებს მოგებისა და სიმდიდრის უთანასწორო განაწილებას. არ უნდა მოვიტყუოთ თავი და დავი-

ჯეროთ, რომ მხოლოდ ეკონომიკის გამწვანება გვჭირდება ამ პრობლემებთან საზოგადოებრივი კავშირებისა და ურთიერთობების გაუთვალისწინებლად და კლიმატის ცვლილების თანმდევი ღრმა, თანდაყოლილი საზოგადოებრივი უთანასწორობების უგულებელყოფით. „ახალმა მწვანე შეთანხმებამ[5]“ შესაძლოა გააუარესოს კიდეც არსებული კრიზისი.

ამას მივყავართ მეორე მცდარ გზამდე. მემარჯვენე მოძრაობების აღზევება დღეს ჩვენთვის, მემარცხენეებისთვის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა. ფაშისტური პარტიები უკვე მოექცნენ ძალაუფლების სათავეში და მალე შესაძლოა კიდევ გაიზარდოს მათი რიცხვი, ამიტომ კლიმატის კრიზისის მიმართ მათი დამოკიდებულება სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. დღეს ულტრამემარჯვენე პარტიებისა და მოძრაობების უმრავლესობა უარყოფს კლიმატის კრიზისს – უარყოფს ადამიანის მიერ გამოწვეული გლობალური დათბობის მეცნიერულ ფაქტს. მნიშვნელოვანია დიდი ძალისხმევა მიიმართოს ეკოლოგიასა და კლიმატთან დაკავშირებით ულტრამემარჯვენეთა მიდგომების გასაკრიტიკებლად (ისევე როგორც მათი რასისტული, პატრიარქალური და არაჰუმანური კონცეფციების გასაკრიტიკებლად). უნდა ვშიშობდეთ, რომ ძალაუფლებაში მოსული ულტრამემარჯვენეები არაფერს მოიმოქმედებენ გლობალური დათბობის თავიდან ასარიდებლად და შესაჩერებლად, პირიქით, პრობლემას უფრო გაამწვავებენ. ამის კარგი მაგალითია აშშ-ის პრეზიდენტ ტრამპის მიერ პარიზის შეთანხმების დატოვება.

თუმცა პრობლემა შეიძლება იმანაც გამოიწვიოს, თუ ულტრამემარჯვენეები კლიმატის ცვლილებას რეალურ საფრთხედ აღიქვამენ. და ეს უფრო დიდ პრობლემას იმიტომ წარმოადგენს, რომ ულტრამემარჯვენეები კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების გზებს თავიანთ ნაციონალისტურ, ფაშისტურ, რასისტურ და მიზოგინიურ მსოფლმხედველობას მიუსადაგებენ. ჩვენ უნდა ვუფრთხოდეთ კლიმატის კრიზისთან გამკლავების ისეთ პოლიტიკას, რომელიც ყველაზე დაუცველთ კიდევ უფრო მეტად დააზიანებს. უნდა ვუფრთხოდეთ პრობლემის იმ ულტრანაციონალისტურ და ეგოისტურ მწვანე „გადაწყვეტის გზებს“, რომლებიც მხოლოდ პრივილეგირებულთ და ძალაუფლების მქონეთ დაიცავს. ეს ნათლად გვაჩვენებს, რომ კლიმატის კრიზისის გადაჭრის ფემინისტური, ანტირასისტული და ანტიკაპიტალისტური გზები გვჭირდება და არა ფაშისტური ან მხოლოდ მწვანე გზები.

დასკვნა: კლიმატის კრიზისზე ინტერსექციული პერსპექტივა გვჭირდება

პოლიტიკურ პრობლემებზე ინტერსექციული თვალსაზრისის გათვალისწინება დაგვანახებს ერთმანეთისგან განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ საზოგადოებრივ ძალებსა და ძალაუფლებრივ სტრუქტურებს. ჩვენ ვიაზრებთ, რომ პრობლემის ერთი ნაწილის გადაწყვეტის შემთხვევაში მისი დანარჩენი ნაწილი უცვლელი დარჩება ან კიდევ გაუარესდება. ამიტომ პრობლემის ნაწილობრივი გადაწყვეტის ცდა უშედეგოდ დასრულდება. კლიმატის კრიზისის შემთხვევაში ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მისი თანმდევი მოვლენებიც, რომ კლიმატის კრიზისის შედეგების მიმართ ყველაზე უფრო დაუცველი ადამიანები

[5] ახალი მწვანე შეთანხმება აღნიშნავს საკანონმდებლო პაკეტს, რომელიც კლიმატის ცვლილებასთან გამკლავებას, ახალი სამუშაო ადგილების შეცვლასა და ეკონომიკური უთანასწორობის აღმოფხვრას ისახავს მიზნად. ასეთი საკანონმდებლო პაკეტი საკანონმდებლო ორგანოებში განსახილველად მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ქვეყანაში იყო წარმოდგენილი, ძირითადად, 2018 წლიდან. ევროპაში მიიღეს ევროპის მწვანე შეთანხმება, რომლის მიზანიცაა ევროკავშირი 2050 წლისთვის კლიმატ-ნეიტრალური გახადოს, ე.ი ნახშირბადის ემისია ნულამდე დაიყვანოს.

დემოკრატიული და საზოგადოებრივი შესაძლებლობების ნაკლებობას განიცდიან. სწორედ ამიტომ ითხოვენ კლიმატური სამართლიანობის მოძრაობები: „სისტემის ცვლილება და არა კლიმატის ცვლილება!“

თავისი არსით, კლიმატის განადგურების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იყოს ანტიკაპიტალისტური, ან უფრო ზუსტად, ფემინისტური და ეკოსოციალისტური. შესაბამისად, ძირეული და რადიკალური ეკონომიკური გარდაქმნაა საჭირო, რადგანაც კაპიტალისტური სისტემა თავისი ეკონომიკური დისბალანსითა და საზოგადოებრივი უთანასწორობებით არასდროს შემოგვთავაზებს პრობლემის გადაწყვეტის ისეთ გზებს, რომელიც დაგვიხსნიდა ეკოლოგიური განადგურების, სოციალური ექსპლუატაციისა და ეკონომიკური სიგიჟის მანკიერი წრიდან.

თუ უარს ვიტყვით მრავალწახნაგოვან და ერთი შეხედვით ჩახლართულ პერსპექტივებზე, პრობლემისა და მისი გადაჭრის გზის მხოლოდ ცალკეული ნაწილების დანახვას შევძლებთ. დიდი ძალისხმევის გამოჩენა გვჭირდება იმისთვის, რომ იმათი ხმაც ისმოდეს, ვისიც აქამდე არ ისმოდა. უარი ვთქვათ იმ ნელთბილ პოლიტიკაზე, რომელიც ეკონომიკის მცირე სექტორის გამწვანებას ისახავს მიზნად ან, რომელიც მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილს მოუტანს სარგებელს. ყოველთვის უნდა შევიტანოთ ეჭვი იმ ნორმებში, პარადიგმებსა და ღირებულებებში, ჩვენს ნეოლიბერალურ და პატრიარქალურ სისტემას რომ უდევს საფუძვლად.

ეს არ იქნება მარტივი. ეს ურთულესი გზაა, მაგრამ ერთადერთი, რომელიც კაპიტალისტური ექსპლუატაციის, ეკოლოგიური განადგურებისა და საზოგადოებრივი დისკრიმინაციის ყველა სხვა ფორმისგან დაგვიხსნის.

2019 წლის 16 მარტს კოპენჰაგენში ორგანიზაციის – „შეცვალე! დანია!“ მიერ გამართულ კონფერენციაზე „კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ – წითელ-მწვანე გარდაქმნა ევროპასა და მსოფლიოში“ წაკითხული სიტყვის მოკლე ვარიანტი.

თარგმნა ***მარიკა ტყეშელაშვილმა***

მდგრადობა და დემოკრატია

ელკე ზეეფრიდი *– აახენის უნივერსიტეტის ახალი ეპოქის კვლევების ინსტიტუტის პროფესორი*

1980-იანი წლებიდან მოყოლებული „მდგრადი განვითარება“ ყოველთვის ასოცირდება ახალ მიზნებსა და ღირებულებით წარმოდგენებთან: მშვიდობა, გლობალური და თაობათა სამართლიანობა, სამოქალაქო მონაწილეობა. ლიბერალურ დემოკრატიას, როგორც წესი, ასეთი გაფართოებული მოდელი ზედმეტ ტვირთს აკისრებს.

მდგრადობის ცნება დროთა განმავლობაში პოლიტიკურ იმპერატივად გარდაიქმნა. გერმანულ დემოკრატიაში არც ერთი პარტია ხელაღებით არ საუბრობს მდგრადი განვითარების, როგორც მიზნის, წინააღმდეგ. ტერმინი მიგვანიშნებს მომავლის ორიენტაციაზე, ის წარმოადგენს ბალანსს ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესებს შორის და ასოცირდება უსაფრთხოებისა თუ სამართლიანობის ღირებულებებთან, პასუხისმგებლობის გლობალურ შეგრძნებასთან.[1] ეს კი საშუალებას იძლევა გარემოსდაცვითი და განვითარების პოლიტიკის ღონისძიებების, მოქმედებების ლეგიტიმაციისათვის.

თუმცა, ბოლო წლებში, ექსპერტებს შორის და გარემოსდაცვით მოძრაობებში იზრდებოდა ეჭვი იმის თაობაზე, არის თუ არა დემოკრატია, როგორც მმართველობის ფორმა, საკმარისად მედეგი, მომავალზე ორიენტირებული იმისათვის, რომ შეძლოს მდგრადი განვითარებისთვის კლიმატის პოლიტიკის ზომების შემუშავება. დემოკრატია უზრუნველყოფს ლეგიტიმურობის მაღალ ხარისხს, მაგრამ ნელია გადაწყვეტილების მიღებაში. ამასთანავე, იგი დროის შეზღუდულ მონაკვეთში მოქმედებს და მხოლოდ ერთი საარჩევნო ციკლის განმავლობაში გრძელდება. მეორე მხრივ, მდგრადობის გრძელვადიან და განსაკუთრებულ მიზნებზე ორიენტირებულ კონცეფციას განსხვავებული რიტმი სჭირდება. „პესიმისტურ პოზიციაში“ ამ ორს შორის „ფუნდამენტური შეუთავსებლობაც“ არის ნავარაუდევი, ვინაიდან დემოკრატიებს არ აქვთ უნარი გადაჭრან უაღრესად რთული და აქტუალური გარემოსდაცვითი პრობლემები.[2] გარკვეულწილად, მდგრადობას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე დემოკრატიას და შესაძლო ექსპერტული მთავრობის ან ეკოავტორიტარული ზომების მიღების ცდუნება გაჩნდეს.

ეს სტატია საერთაშორისო კონტექსტში განიხილავს მდგრადობის დისკურსის გენეზისს გერმანიის დემოკრატიაში, 1970-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე და პასუხობს კითხვებს: როგორ ჩამოყალიბდა მდგრადი განვითარების კონცეფცია? ვინ დატვირთა ტერმინი მოცემული ღირებულებებითა და ამოცანებით? რომელ დემოკრატიულ პრაქტიკებთან იყო იგი დაკავშირებული?

---

[1] Vgl. Elke Seefried, Die Erfolgsgeschichte der Nachhaltigkeit, in: Frankfurter Allgemeine Zeitung, 6.9.2021, S. 7. Der Beitrag basiert auf dem Leibniz-Verbundprojekt “Geschichte der Nachhaltigkeit(en): Diskurse und Praktiken seit den 1970er Jahren” (Institut für Zeitgeschichte München-Berlin, Universität Augsburg, Herder-Institut für Historische Ostmitteleuropaforschung Marburg und RWTH Aachen). Ich danke Manuel Rivera (IASS Potsdam) und dem IASS, an dem ich 2019 als Fellow weilte.

[2] Im Überblick Basil Bornemann/Henrike Knappe/Patricia Nanz, General Introduction. Democracy and Sustainability, in: dies., (Hrsg.), The Routledge Handbook of Democracy and Sustainability, London 2022, S. 1–18, Zitate S. 2.

დაახლოებით 1970 წელს დასავლურ ინდუსტრიულ საზოგადოებებში ფუნდამენტურად შეიცვალა ადამიანისა და ბუნების აღქმა[3], რაც გამოიხატა ახალი, სწრაფგავრცელებადი ყოვლისმომცველი კონცეფციის დამკვიდრებით, რომელიც შეიძლება აღიწეროს სიტყვებით: გარემო, გარემომცველი სამყარო. 1970-იან წლებამდე ბუნების დაცვის ორგანიზაციები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ მოცემული ბუნება – ლანდშაფტი, მცენარეები, ცხოველები. მეორე მხრივ, დაწინაურდა „გარემოს“ ცნება, რომელიც მიზნად ისახავს იტვირთოს ადამიანის საარსებო წყაროთი უზრუნველყოფა. იმ დროისთვის ტერმინი გამოიყენებოდა ინდუსტრიულ საზოგადოებაში გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესაქმნელად. გარდა ამისა, გაჩნდა ახალი გარემოსდაცვითი ჯგუფები აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში. ამ „ეკოლოგიური რევოლუციის“[4] განმსაზღვრელი ფაქტორები იყო ჰაერისა და წყლის დაბინძურება, მეტი ცოდნა დედამიწის შესახებ და მზარდი კრიტიკა შეძლებული საზოგადოების მიმართ, რომელიც ალტერნატიულ გარემოში იმყოფებოდა.

კვლევამ „ზრდის საზღვრების“ შესახებ ცენტრალური როლი შეასრულა ეკონომიკური ზრდის ეკოლოგიური კრიტიკის გავრცელებასა და მდგრადობის კონცეფციის შექმნაში.[5] კვლევის დამკვეთი გახლდათ მეტად გავლენიანი რომის კლუბი, დასავლელ მეცნიერთა და მეცნიერების ორგანიზატორთა წრე. მეცნიერთა მიერ შექმნილმა, კომპიუტერზე დაფუძნებულმა მოდელმა განაპირობა დასკვნა, რომლის თანახმადაც დედამიწამ ეკონომიკური ზრდის საზღვრებს შეიძლება 2100 წლისთვის მიაღწიოს. მსოფლიო მოსახლეობის და სამრეწველო წარმოების ექსპონენციალური ზრდა ხელს შეუწყობს ნედლეულისა და საკვების უფრო მეტი რესურსის მოხმარებას და გაზრდის გარემოს დაბინძურების ალბათობას.

ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით, გამოსავლად გამოცხადდა გლობალური წონასწორობა, რომელიც მიიღწევა მოსახლეობის მკაცრი კონტროლითა და ეკონომიკურ ზრდაზე უარის თქმის გზით. ვინაიდან კვლევა მეცნიერულად ასაბუთებს უარის თქმას ეკონომიკურ ზრდასა და გამრავლებაზე, იგი მოიცავდა ასევე ეკოავტორიტეტულ მახასიათებლებსაც.[6] ეკონომიკური ზრდის მიმართ კრიტიკულად განწყობილი „მსოფლიო სისტემა“, რომელიც ორიენტირად უნდა იყოს მიჩნეული, კვლევაში აღწერისას განსაზღვრული იყო, როგორც მდგრადი. ამრიგად, ტერმინი დაშორდა სატყეო მეურნეობის ვიწრო ცნებას (წარსულში ტერმინი ძირითადად, ტყის მდგრად მოსავლიანობას, მოჭრილ და ახლად აღმოცენებულ ხეებს შორის ბალანსს აღნიშნავდა) და სრულიად განსხვავებული, მრავლისმომცველი შინაარსი შეიძინა [7].

კვლევამ გამოიწვია სამეცნიერო და პოლიტიკური დებატები რესურსების სასრულობისა და ინდუსტრიული ზრდით გამოწვეული ეკოლოგიური შედეგების შესახებ.[8] ამან ასევე

[3] Vgl. Patrick Kupper, Die “1970er Diagnose”. Grundsätzliche Überlegungen zu einem Wendepunkt der Umweltgeschichte, in: Archiv für Sozialgeschichte 43/2003, S. 325–348.

[4] Joachim Radkau, Die Ära der Ökologie. Eine Weltgeschichte, München 2011, S. 134.

[5] Dennis L. Meadows et al., The Limits to Growth. A Report for the Club of Rome’s Project on the Predicament of Mankind, New York 1972.

[6] Vgl. Elke Seefried, Zukünfte. Aufstieg und Krise der Zukunftsforschung 1945–1980, Berlin 2017², S. 235–292; Rasmus K.P. Wormstädt, Die “Limits to Growth” zwischen autoritären Angeboten und Versuchungen, RWTH Aachen 2022.

[7] Vgl. Meadows et al. (Anm. 5), S. 180; Ulrich Grober, Die Entdeckung der Nachhaltigkeit. Kulturgeschichte eines Begriffs, München 2010, S. 210–218.

[8] Zu den folgenden Absätzen mit weiterer Literatur vgl. Seefried (Anm. 6); Patrick Kupper/dies., A Computer‘s Vision of Doomsday. On the History of the 1972 Study “The Limits to Growth”, in: Frank Uekötter (Hrsg.), Exploring Apocalyptica. Coming to Terms with Environmental Alarmism, Pittsburgh 2018, S. 49–74.

იმოქმედა ეკონომიკური ზრდის მიზანზე, რომელიც მისი აღმავლობის პერიოდში კეთილდღეობისა და პროგრესის ცენტრალურ ნიშნულად იქცა. „ზრდის საზღვრების“ კონცეფციის ძლიერი გავლენის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ კომპიუტერულმა მოდელმა თეზისებს მაღალი სამეცნიერო ლეგიტიმაცია მისცა. კვლევის ქალბატონი ავტორები ასევე მუშაობდნენ კრიზისის სცენარის ესკალაციაზე, რათა შესაბამისი რეაქციები დაჩქარებულად, სწრაფადვე გამოევლინათ. გარდა ამისა, 1973 წელს ნავთობის პირველმა კრიზისმა დაადასტურა პროგნოზი სასრული რესურსების მიმართ. თუმცა, კვლევას მწვავე კრიტიკაც მოჰყვა: ეკონომისტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეკონომიკური ზრდა აუცილებელია კეთილდღეობისა და სამუშაო ადგილების უზრუნველსაყოფად.

მეცნიერებმა გლობალური სამხრეთიდან გამოთქვეს წუხილი იმის თაობაზე, რომ ეკონომიკურ ზრდაზე, ზოგადად, უარის თქმის მოთხოვნა განვითარებადი ქვეყნების მომავლის კოლონიზაციას მოახდენდა. ამ პერიოდში ფონს ქმნიდა ჩრდილოეთ-სამხრეთის საერთაშორისო კონფლიქტი, რომელსაც ამძაფრებდა დეკოლონიზაციის პროცესი. სამხრეთის მთავრობები უფრო სამართლიანი „ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის“ დამკვიდრებას ითხოვენ. „ზრდის საზღვრების“ შესახებ დებატებში, გლობალური გარემოსდაცვითი და განვითარების საკითხები, რომლებიც მას შემდეგ ურთიერთდაკავშირებულად ითვლებოდა, ერთმანეთთან კიდევ უფრო მჭიდროდ აღმოჩნდნენ გადაჯაჭვულნი. 1970-იანი წლებდან მოყოლებული მდგრადობის პოლიტიკური კონცეფციის ბირთვი სწორედ ამ დისკურსიულ რგოლში იმყოფება.

სწორედ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან იყვნენ მომავლის კონცეფციათა მკვლევრები და ინტელექტუალები – დაწყებული კარლ ფრიდრიხ ფონ ვაიცზეკერიდან რობერტ იუნკამდე, ვისზედაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა კომპიუტერულმა მოდელმა და მისმა შედეგებმა. „ზრდის საზღვრების“ დასკვნითმა ნაწილმა ასევე იმოქმედა მმართველი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის (SPD) ცალკეულ წარმომადგენლებზე, რომელთა ენთუზიაზმი რეფორმებისადმი 1972 წელს თანდათან ნელდებოდა და, რომლებიც ღია იყვნენ ახალი მოდელებისთვის. უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური თანამშრომლობის მინისტრმა ერჰარდ ეპლერმა კარგად გაითავისა კრიტიკა ზრდის თეორიის შესახებ. შედეგად, მან SPD-ში შექმნა ეკოლოგიურად ორიენტირებული ფრთის ბირთვი. თუმცა ეპლერის მიზანი არ იყო უარი ეთქვა ზრდის კონცეფციაზე, არამედ ის საუბრობდა ზრდის თვისობრივ კონცეფციაზე, რომელიც ეკონომიკურთან ერთად ეკოლოგიურ და სოციალურ კრიტერიუმებსაც ითვალისწინებდა. ნულოვანი ზრდა, თუნდაც ავტორიტარული გზით, სერიოზულად არ განიხილებოდა SPD-ში, მხოლოდ ძალიან ცოტა კონსერვატორმა, როგორიცაა ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის (CDU) დეპუტატი ჰერბერტ გრული, გაიზიარა თეზისები ზრდის თეორიაზე ავტორიტარულად უარის თქმის შესახებ.

მიუხედავად მრავალგზის გაჩაღებული დისკუსია-დებატებისა, კვლევაში ჩამოყალიბებულმა „მდგრადი მსოფლიო სისტემის“ კონცეფციამ ვერ მოიპოვა აღიარება. მის შესახებ შეუძლებელი იყო პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა ან უმრავლესობის ფორმირება.

მდგრადი განვითარება

1974 წლიდან, გლობალური ეკონომიკური რეცესიის დროს, გარემოსდაცვითი და განვითარების მიზნები საზოგადოებრივი ყურადღების მიღმა აღმოჩნდნენ. იმავდროულად,

გაეროს დონეზე ექსპერტები მაინც აგრძელებდნენ მუშაობას „მსოფლიო კონსერვაციის სტრატეგიაზე“, რომლის საფუძველზეც უნდა დაბალანსებულიყო გლობალური გარემოსდაცვითი და განვითარების საკითხები. „მსოფლიო კონსერვაციის სტრატეგიაზე“ დებატების დროს, 1980 წელს დამკვიდრდა ტერმინი „მდგრადი განვითარება“[9]. შედეგად, 1983 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მოიწვია გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისია, რომელსაც „მდგრადი განვითარების“ კონცეფციისთვის სიცოცხლე უნდა შთაებერა და შემდეგ შესაბამისი კონფერენცია მოემზადებინა. კომისიის თავმჯდომარეობა იკისრა ნორვეგიელმა სოციალ-დემოკრატმა ქალმა გრო ჰარლემ ბრუნდტლანდმა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელი კი გახლდათ SPD-ს წევრი ფოლკერ ჰაუფი.[10] კომისიამ მიანიშნა ბირთვული ომის, გარემოსდაცვითი კონფლიქტებისა და რესურსების დეფიციტის საფრთხეებზე, რათა შეემუშავებინა უსაფრთხოებისა და მშვიდობის დაცვის გაფართოებული, ეკოლოგიურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული კონცეფცია. დისკუსია გაიმართა ასევე სამართლიანობის გაგების ირგვლივ თაობებსა და ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.

ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის წარმომადგენლებმა განუცხადეს დელეგატებს, რომ ყველა ქვეყანა ვალდებულია დააკმაყოფილოს გარემოსდაცვითი სტანდარტები. მეორე მხრივ, სამხრეთის არგუმენტი იყო ის, რომ სიღარიბე ხშირად საკვანძო საკითხად რჩება ისეთი გარემოსდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად, როგორიცაა, თუნდაც, ტყეების მასიური გაჩეხა. 1987 წლის ანგარიშში „ჩვენი საერთო მომავალი“, კომისიამ პირველად აღნიშნა სხვადასხვა თაობების საჭიროებები: „კაცობრიობას აქვს უნარი გახადოს განვითარება მდგრადი და უზრუნველყოს აწმყოს მოთხოვნილებები ისე, რომ მომავალ თაობებს თავიანთი შესაძლებლობების რეალიზების გზაზე კომპრომისებზე წასვლა არ მოუწიოთ“[11]. ამასთან, კომისიამ მხარი დაუჭირა ეკონომიკური ზრდის კონცეფციას და, სხვა საკითხებთან ერთად, გაავრცელა მოწოდება გლობალურ ჩრდილოეთში საერთაშორისო ფონდის შექმნის საჭიროებაზე, რომელიც სამხრეთის ქვეყნებს დახმარებას გაუწევდა.

ფედერალურ რესპუბლიკაში SPD-მ გაითავისა ბრუნდტლანდის ანგარიში და გაამდიდრა იგი ისეთი ღირებულებებით, როგორიცაა მშვიდობა, უსაფრთხოება და გლობალური სამართლიანობა. ტერმინმა „მდგრადი განვითარება“, როგორც ჰაუფმა მოუძებნა პირველად შესაბამისი შესატყვისი ამ განსაზღვრებას sustainable, თავისი ადგილი დაიმკვიდრა 1989 წელს ბერლინში დამტკიცებულ ძირითად პარტიულ პროგრამაში. პარტიული პროგრამის ქვეთავში – „მშვიდობა საერთო უსაფრთხოების პირობებში“ – სოციალ-დემოკრატებმა გამოიყენეს ცნება „მდგრადი განვითარება“ ბრუნდტლანდის ანგარიშის გაგებით, როგორც წონასწორობის უზრუნველყოფის საშუალება გარემოს დაცვისა და განვითარების გრძელვადიან ინტერესებს შორის[12].

1982 წლიდან ოპოზიციაში მყოფი SPD, როგორც მუშათა პარტია, განსაკუთრებულ გამოწვევად ძირითადად მიიჩნევდა უმუშევრობასა და ინდუსტრიული მომსახურების საზოგადოებაზე გადასვლას. მაშასადამე, პარტიის ერთი ფრთის მთავარი პროგრამული დებულება

[9] Vgl. Stephen J. Macekura, Of Limits and Growth. The Rise of Global Sustainable Development in the Twentieth Century, Cambridge 2015, S. 219–260.

[10] Vgl. Iris Borowy, Defining Sustainable Development for Our Common Future: A History of the World Commission on Environment and Development, Hoboken 2013.

[11] World Commission on Environment and Development, Our Common Future, Oxford 1987, S. 8.

[12] Volker Hauff, Vorwort, in: ders. (Hrsg.), Unsere gemeinsame Zukunft. Weltkommission für Umwelt und Entwicklung, Greven 1987, S. XV; SPD, Grundsatzprogramm, Programm-Parteitag, Berlin 20.12.1989, S. 15.

მთლიანად უკავშირდებოდა გლობალური გარემოსდაცვითი და განვითარების საკითხების თემატიზირებას. ამან საშუალება მისცა SPD-ს გლობალურ დონეზე საკუთარი ძირითადი ღირებულებები – მშვიდობა, სამართლიანობა, უსაფრთხოება კიდევ უფრო პრიორიტეტული გაეხადა და თავის ახალ, წარმატებულ აღმოსავლეთის პოლიტიკას დაყრდნობოდა.

ბრუნდტლანდის ანგარიშზე მითითება, რომელსაც ერთგვარად იდეალისტური ელფერი დაჰკრავდა, წინააღმდეგობას ქმნიდა SPD-ის საპარლამენტო ჯგუფის უფრო პრაგმატულ პოზიციასთან, რომელიც ხაზს უსვამდა დასაქმების შესაძლებლობებს გარემოს დაცვის ხელშეწყობის გზით. ახალი ხედვა მოიაზრებდა საპილოტე პროექტებს ბაზარზე ეკოლოგიურად გაუმჯობესებული საწარმოო პროცესების დანერგვისთვის, „ეკოლოგიური პფენინიგით“ ელექტროენერგიის, ბენზინისა და დიზელის, გათბობისათვის საჭირო საწავავების დაფინანსებას. პროგრამა გამსჭვალული იყო ეკოლოგიური მოდერნიზაციის სულისკვეთებით, ტექნოლოგიაზე ორიენტირებულ კონცეფციაზე, რომელიც გულისხმობდა ორმაგ ეკოლოგიურ და ეკონომიკურ სარგებელს ნედლეულისა და ენერგიის წყაროების ეფექტური გამოყენების გზით.[13]

მინიშნება „მდგრად» განვითარებაზე – ბრუნდტლანდის ანგარიშის ერთ-ერთი თარგმანის მიხედვით – მხოლოდ ცივი ომის დასრულების შემდეგ დამკვიდრდა. ქრისტიან დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიან სოციალური კავშირის (CDU/CSU) ხელმძღვანელობით მომუშავე ფედერალური სამინისტროები თავდაპირველად შიშობდნენ, რომ ბრუნდტლანდის კომისია განიხილავდა „ძირითადად ტრანსფერების გადაცემას ინდუსტრიულ ქვეყნებზე“, რაც გარემოსდაცვითი პროგრამებით იქნებოდა გამართლებული.[14] მეორე მხრივ, გარემოს დაცვის მინისტრმა კლაუს ტოპფერმა 1987 წელს მოიწონა ეს ანგარიში, ახალ მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგთან დაკავშირებული მოწოდების გაზიარების გარეშე.[15] ეს მოხდა, უპირველეს ყოვლისა, გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე რიო-დე-ჟანეიროში 1992 წელს (UNCED), რამაც გააჩინა მოლოდინი მათ შორის CDU-შიც, რომ სამყაროში, რომელიც აღარ არის ბიპოლარულად სტრუქტურირებული, გლობალური შეთანხმებები და მშვიდობის შენარჩუნება გაერთიანებული ერების ქოლგის ქვეშ იქნებოდა შესაძლებელი.

ფედერალურ მთავრობას სურდა აქტიური როლი ეთამაშა მსოფლიოში გაერთიანებული გერმანიის მზარდი პასუხისმგებლობის დემონსტრირებაში. სამიტამდე რამდენიმე კვირით ადრე ტოპფერმა განაცხადა, რომ მოსახლეობის ზეწოლა და ნედლეულის სიმწირე აუცილებელს ხდის „შემუშავდეს გლობალური პასუხისმგებლობის ახალი ფორმა“. მათ სურთ „მომავალში ნამდვილად გაატარონ სამშვიდობო პოლიტიკა გარემოსდაცვითი საგარეო პოლიტიკის მეშვეობით“.[16] სამიტის შემდეგ ტოპფერმა ისაუბრა „მწვანე ჩაფხუტების“ სარგებლიანობაზე, რომლებსაც გაეროს დონეზე ეკოლოგიური ამოცანების შესრულება შეეძლებოდათ.[17]

დედამიწის ამ სამიტზე გაჩენილი ბევრი მოლოდინი არ გამართლდა, მაგრამ

[13] Vgl. Elke Seefried, Globale Sicherheit. Die Wurzeln des politischen Nachhaltigkeitsdiskurses und die Wahrnehmung globaler Interdependenz der 1970er und 1980er Jahre, in: Christoph Kampmann/Angela Marciniak/Wencke Meteling (Hrsg.), “Security turns its eye exclusively to the future”, Baden-Baden 2017, S. 353–388; Felix Lieb, Arbeit durch Umwelt: Sozialdemokratie und Ökologie 1969–1998 (i.E.).

[14] Auswärtiges Amt (AA) an Staatssekretär, 26.11.1984, in: Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA), 132176; Bundesministerium des Innern an AA, 17.1.1985, in: ebd., 132283.

[15] AA an Staatssekretär, 26.6.1987, in: PA, 194474.

[16] Deutscher Bundestag, Plenarprotokoll, 20.5.1992, S. 7598.

[17] Vgl. AA, Entwurf der Rede Klaus Töpfers vor der UN-Generalversammlung, 30.10.1992, in: PA, 195077.

მდგრადი განვითარება წარმოებისა და მოხმარების არამდგრადი ვარიანტების ცვლილებები ჩრდილოეთში გამოცხადდა გლობალური პოლიტიკის ნაწილად გარემოს დაცვისა და განვითარების სფეროში. ბიომრავალფეროვნებისადმი მიძღვნილ კონვენციის დამატებაში სამიტმა მიიღო კლიმატის ჩარჩო-კონვენცია, თუმცა მასში CO_2-ის შემცირების მიზნები არ იყო დაფიქსირებული. განსაკუთრებით აშშ-ის მთავრობამ უფრო შორსმიმავალი შეთანხმებების ტორპედირება მოახდინა.[18] CDU-მ 1994 წელს ჰამბურგის პროგრამაში ჩართო მდგრადი განვითარების კონცეფცია და ის საკუთარი პროგრამული ტრადიციების შესაბამისად ჩამოაყალიბა. ქრისტიანულ-სოციალურ სწავლებასთან დაკავშირებით მან წინ წამოსწია ურთიერთდამოკიდებულებისა და სოლიდარობის ფაქტორი გლობალურ „რისკთა საზოგადოებაში“, რომელიც ასევე მოითხოვდა ჩრდილოეთში ცხოვრების წესის ცვლილებებს.[19]

მდგრადობა და მონაწილეობა

1992 წელს რიოში გამართულ გაეროს კონფერენციამდე, გერმანული გარემოსდაცვითი ორგანიზაციების უმეტესობამ და მწვანეებმა უარყვეს ბრუნდტლანდის ანგარიში, როგორც ელიტური პროექტი. მათ გააკრიტიკეს მდგრად ეკონომიკურ ზრდაზე გამიზნული ორიენტაცია. მათთვის მდგრადი განვითარების ბალანსის პრინციპი გლობალურ სამხრეთში მხოლოდ გარემოს დაბინძურებისა და სიღარიბის პრობლემებს მოიცავდა, რაც ეკონომიკური ზრდის კაპიტალისტური პრინციპიდან გამომდინარეობდა. სამხრეთში ტყეების განადგურების მიზეზი სიღარიბე კი არ იყო, არამედ ჩრდილოეთის მიერ ტყის კომერციული გამოყენება.[20]

იმავდროულად, Bund Umwelt und Naturschutz (BUND) და Deutscher Naturschutzring-მა 1991 წელს დააარსეს UNCED-ის პროექტის ოფისი, რათა გავლენა მოეხდინათ რიოს პროცესზე, მათ შორის ადგილზე ღონისძიებების ორგანიზებით. კონფერენციის შემდეგ, BUND-მა თვითონ გაითავისა მდგრადობის კონცეფცია, დაუკავშირა იგი ინდუსტრიულ ქვეყნებში მოხმარების შეზღუდვის მოთხოვნას და დაადგინა: „ჯადოსნური სიტყვა არის „მდგრადობა“.[21] ევროპარლამენტის მწვანეთა ჯგუფის წევრებმა ასევე მოაწყვეს ვორქშოფები რიოში, სადაც ჩართული იყო დაზარალებული მოსახლეობა სამხრეთიდან. ევროკავშირში CO_2-ის გადასახადის გარდა, მწვანეებს სურდათ ამ ვორქშოფებში გლობალური სამხრეთის ადგილობრივი მოსახლეობისა და ქალების უფლებების ჩართვა, რომელთა წარმომადგენლობა განათლებისა და მეტი მონაწილეობის გზით კიდევ უფრო უნდა გაძლიერებულიყო.[22] შესაბამისად, მწვანეებმა და ბევრმა გარემოსდაცვითმა ორგანიზაციამ გაითავისეს ეს ტერმინი მისი დადებითი მნიშვნელობით. ამავდროულად, მათ ჩამოაყა-

[18] Vgl. Radkau (Anm. 4), S. 498–506; Macekura (Anm. 9).

[19] Vgl. CDU, Grundsatzprogramm “Freiheit in Verantwortung”, 5. Parteitag, Hamburg 21.–23.2.1994, S. 437f.

[20] Vgl. UNO-Umweltkonferenz. Voller Banalitäten, in: Natur & Umwelt Bayern 4/1991, S. 24 f; Interview der Verf. mit Barbara Unmüßig, 14.2.2022.

[21] Angelika Zahrnt, Die große Debatte: Gewinn durch Verzicht, in: Natur & Umwelt 3/1993, S. 12.

[22] Vgl. Green Group, European Parlament, UNCED, Entwurf, 1.3.1992, und Korrespondenz von Eva Quistorp, in: Archiv Grünes Gedächtnis, B II 2, BT 600; dazu Elke Seefried, Developing Europe. The Formation of Sustainability Concepts and Activities, in: Anna-Katharina Wöbse/Patrick Kupper (Hrsg.), Greening Europe. Environmental Protection in the Long Twentieth Century, Berlin 2021, S. 381–408.

ლიბეს მდგრადი განვითარების ძირეული დემოკრატიული გაგება მასში პრაქტიკულად მონაწილეობის მეშვეობით.

რიოს კონფერენციის მთავარი შედეგი იყო შემუშავება სამოქმედო პროგრამისა „დღის წესრიგი 21“: კონფერენციაზე მთავრობებს მოუწოდეს, მიეღოთ მდგრადობის სტრატეგიები და ასოციაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები ეროვნულ საბჭოებში გაეწევრიანებინათ. 2001 წელს სოციალ-დემოკრატებისა და მწვანეების ფედერალურმა მთავრობამ, რომელიც დიდწილად მდგრადობის კონცეფციას ეყრდნობოდა, შექმნა მდგრადი განვითარების საბჭო, რომელსაც ჰაუფი თავმჯდომარეობდა და, რომელშიც ასოციაციები და სამოქალაქო საზოგადოების სხვა აქტორები იყვნენ წარმოდგენილი. გარდა ამისა, „დღის წესრიგი 21-ის“ მოწოდება იყო „მდგრადი განვითარება“ მუნიციპალურ დონეზეც სიცოცხლისუნარიანი ყოფილიყო. ამასთან, მდგრადი განვითარება გახდა გლობალიზაციის ნაწილი იმ აქტორებისთვის, რომლებიც გამოთქვამდნენ მზაობას, ეფიქრათ გლობალურად და ემოქმედათ ადგილებზე.

გერმანიაში არა მხოლოდ საქალაქო საბჭოებმა და მერებმა, არამედ გარემოსდაცვითმა ორგანიზაციებმა და ეკლესიებმა წამოიწყეს პროცესები მოცემული დღის წესრიგის მიხედვით, რომლებიც ეხებოდა ადგილობრივ გარემოსდაცვით საკითხებს (და არა განვითარების საკითხებს).[23] ნარჩენების უკეთესი მართვა ან ატომური ელექტროსადგურიდან მომდინარე საფრთხეების პრევენცია გახდა ადგილობრივი „დღის წესრიგის“ ჯგუფების საზრუნავი, რომლებიც სულ უფრო მეტად უკავშირდებოდნენ თავიანთ აქტივობას „მდგრადი განვითარების“ ცნებასა და პრინციპს „ქვემოდან ზემოთ“ და ამგვარად, მასში ჩართულობით გამოცოცხლდა თავად დემოკრატიული პროცესები.

გლობალიზებული სამყარო

შესაბამისად, 1990-იან წლებში „დღის წესრიგის“ მიერ ინიცირებულმა პროცესმა დემოკრატიის მონაწილეობითი დინამიკა გამოავლინა. 20 წლის შემდეგ, დემოკრატიის კრიტიკა მდგრადი განვითარების მხარდამჭერთა მხრიდან გაიზარდა.

რამ გამოიწვია ეს ცვლილება?

კრიტიკოსების აზრით, პირველი ფაქტორი იყო მდგრადობის კონცეფციის ძირითადად, ეკონომიკის ჭრილში განხილვა და ყურადღების გამახვილება მხოლოდ მის საბაზრო ეკონომიკურ მნიშვნელობაზე. ეკონომიკურ ეფექტურობასა და მოდერნიზებულობას მიენიჭა ისეთივე ნორმატიული მნიშვნელობა, როგორიც გარემოს, გარემოსდაცვით ფაქტორებს. ამ პროცესებს ფონად სდევდა გლობალური ეკონომიკური ლიბერალიზაცია „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ. ამას თან ახლდა გლობალურობის შეცვლილი ინტერპრეტაცია, კერძოდ, დამკვიდრდა ცნება „ეკონომიკური გლობალიზაცია“.[24] ეს იყო ასევე ათვლის წერტილი მწვანე კაპიტალიზმის კონცეფციებისთვის. დაახლოებით 2000 წელს წინა პლანზე უკვე მკვეთრად წამოიწია მდგრადობის კონცეფციის ეკონომიკური ელემენტი. დამკვიდრდა მიდგომა, რომლის მიხედვითაც პრიორიტეტად გამოცხადდა მდგრადი

[23] Vgl. Nadja Hendriks, Global denken, lokal handeln, laufendes Dissertationsprojekt im Rahmen des Verbundprojekts “Geschichte der Nachhhaltigkeit(en)”, Universität Augsburg.

[24] Vgl. Jan Eckel, “Alles hängt mit allem zusammen.” Zur Historisierung des Globalisierungsdiskurses der 1990er und 2000er Jahre, in: Historische Zeitschrift 1/2018, S. 42–78.

ინოვაციების საშუალებით გლობალიზაციის პროცესში კონკურენტუნარიანობის გაძლიერება. გარდა ამისა, იყო ინსტრუმენტები, რომლებსაც ჰქონდათ ეკონომიკური გავლენა, მაგალითად, როგორიცაა ემისიებით ვაჭრობა.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში SPD-მა და მწვანეებმა მიიღეს ტექნოლოგიასა და ბაზარზე ორიენტირებული მოდერნიზაციის მიდგომები, რომლითაც ეკოლოგიისა და ეკონომიკის გაერთიანების ამოსავალი წერტილი იყო კომუნიკაცია. 1998 წლის კოალიციურ შეთანხმებაში მათ პირობა დადეს, რომ გამოიყენებდნენ „გლობალიზაციის შესაძლებლობებს მდგრადი ზრდის, ინოვაციებისა და მომავალში ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად“.[25] ამ განცხადებას მოჰყვა ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა ეკოგადასახადის შემოღება და განახლებადი ენერგიის წყაროების აქტი, მაგრამ ასევე ენერგეტიკის სექტორის ლიბერალიზაცია ენერგეტიკული რეზერვების „გლობალურ კონკურენციაში“ წარმატების მისაღწევად.[26]

კრიტიკის მეორე ფაქტორი იყო მეცნიერულად დადასტურებული გლობალური დათბობა, განხილული პოლიტიკურ ჭრილში. 1992 წელს რიოში ხელმოწერილ იქნა ჩარჩო-კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ და 1997 წელს მიიღეს კიოტოს პროტოკოლი, რომელიც ეხებოდა ინსტიტუციონალიზებული კლიმატის პოლიტიკის მექანიზმების ჩამოყალიბებას გაეროს სისტემაში. შემდეგ პროცესი შეჩერდა, რადგან გადაწყვეტილებების მიღების დროს ეროვნული ინტერესები დომინირებდა და არ არსებობდა მსოფლიო დემოკრატია იდეალისტური გაგებით, რომელიც უბიძგებდა საზოგადოებებს გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევისკენ. მხოლოდ 2015 წლის პარიზის შეთანხმებამ განსაზღვრა გლობალური დათბობის რისკების შემცირების მიზნები.

მესამე – 2000-იანი წლებიდან გერმანიის დემოკრატიაც შეიცვალა. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ გლობალიზებულ მომსახურების საზოგადოებაში ნორმალური შრომითი ურთიერთობების გაქრობამ ხელი შეუწყო ელიტის კრიტიკას მემარჯვენეებიდან და მემარცხენეებიდან. სოციალურმა მედიამ დააჩქარა პოლიტიკური კომუნიკაცია და პარტიები თავისი ზეწოლის ქვეშ მოაქცია.[27]

ექსპერტებისა და ინტელექტუალების კრიტიკა მდგრადობის პოლიტიკური ეკონომიზაციისა და კლიმატის ცვლილების მიმართ პოლიტიკურ დამოკიდებულებასთან ერთად, გამოხატულია მკვეთრი განცხადებებით, რომლებშიც ასევე ჩანს გაცრუებელი მოლოდინები. მსოფლიო ბანკისა და ფედერალური გერმანიის პოლიტიკის მიერ მდგრადი გლობალიზაცია განხილულია, როგორც „ნეოლიბერალური აურზაურის ნამცეცი“. მდგრადი განვითარება სულ უფრო და უფრო ნაკლებად კრიტიკულადაა დაკავშირებული დომინანტურ სოციალურ და პოლიტიკურ „ძალაუფლების ურთიერთობებთან“, ემსახურება ჩამოყალიბებული ინსტიტუტების ეკოლოგიურ მოდერნიზაციას და „ტექნოკრატიულად არის გააზრებული „ზემოდან“.[28]

იმის გამო, რომ დიდი დრო არ რჩებოდა კლიმატის საშიში ცვლილების თავიდან ასა-

[25] Aufbruch und Erneuerung – Deutschlands Weg ins 21. Jahrhundert, Koalitionsvereinbarung zwischen SPD und Bündnis 90/Die Grünen, 20.10.1998, S. 1.

[26] Vgl. Antrag der Fraktionen SPD, CDU/CSU, Bündnis 90/Die Grünen und FDP, Einsetzung einer Enquete-Kommission “Nachhaltige Energieversorgung unter den Bedingungen der Globalisierung und Liberalisierung”, 15.2.2000, Bundestagsdrucksache 14/2687.

[27] Vgl. Hartmut Rosa, Beschleunigung und Entfremdung. Entwurf einer kritischen Theorie spätmoderner Zeitlichkeit, Berlin 2016[5], S. 101–104.

[28] Ulrich Brand/Christoph Görg, “Nachhaltige Globalisierung”? Sustainable Development als Kitt des neoliberalen Scherbenhaufens, in: dies. (Hrsg.), Mythen globalen Umweltmanagements, Münster 2002, S. 12–47, hier S. 14.

ცილებლად, პოლიტოლოგი კლაუს ლევიე (Leggewie) და სხვები მოითხოვდნენ „დემოკრატიის მოდერნიზაციას“: არასამთავრობო ორგანიზაციებს და სოციალურ მოძრაობებს უნდა მისცემოდათ შორსმიმავალი საკანონმდებლო კონსულტაციის უფლებები და უნდა შესულიყვნენ მეცნიერებისგან შემდგარ „სწავლულთა საბჭოებში“. რომელიც იმოქმედებდა დამოუკიდებლად, როგორც ლეგიტიმირებული წინადადებების წარმდგენი პალატა, რათა მოეხდინათ ზეწოლა პარლამენტებზე და ეწარმოებინათ დისკუსიები ხალხთან.[29]

მაშინ, როდესაც ლევიე (Leggewie) კამპანიას მართავდა დემოკრატიის დემოკრატიზაციისთვის, დაძაბულობა ლიბერალურ დემოკრატიასა და მდგრადობას შორის სხვაგან დაფიქსირდა: ლიბერალური დემოკრატია ეკოლოგიურ და სოციალურ ხარჯებს აკისრებს მსოფლიოს სხვა რეგიონებს ან მომავალ თაობებს. დემოკრატიული სტრუქტურები «შესაძლოა ფუნდამენტურად შეუსაბამოა (...) გარემოსდაცვითი კრიზისის კონტროლის ქვეშ მოქცევისთვის». „პოსტ-დემოკრატიად ქცეული დემოკრატია“ გააგრძელებს „არამდგრადობის პოლიტიკას“.[30] სულ ახლახან, «პარასკევი მომავლისთვის» აქტივისტმა კარლა რეემთსმა გააკეთა განცხადება – კლიმატის ცვლილების შესახებ მეცნიერულ ცოდნას მიენიჭოს აბსოლუტური პრიორიტეტი: შუალედური გამოსავალი არ არსებობს.[31]

ეს მოსაზრება გარკვეულწილად მოგვაგონებს თეზას „ზრდის საზღვრების“ უპირობობასთან დაკავშირებით.

დასკვნა

ლიბერალური დემოკრატია ზეწოლის ქვეშ მოექცა. ის მდგრადობის მრავალგანზომილებიან მოდელთან წინააღმდეგობას ქმნის და, როგორც წესი, გადატვირთულია მოთხოვნებითა და ვალდებულებებით. როგორც ვხედავთ, 1980-იანი წლებიდან გერმანიის დემოკრატიის სხვადასხვა აქტორებმა მდგრადი განვითარების ან მდგრადობის კონცეფცია ახალ მიზნებსა და ღირებულებებს: მშვიდობას და უსაფრთხოებას, სამართლიანობას თაობებს შორის, გენდერსა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთობებს, ტექნიკურ მოდერნულობასა და ეფექტურობას დაუკავშირეს. დემოკრატიის პირობებში, კონკურენტულ ინტერესებზე მოლაპარაკება შესაძლებელია, მაგრამ დემოკრატია ყველა მათგანს ერთდროულად ვერ მოემსახურება და ვერ გაითვალისწინებს, რაც საკითხების გადაწყვეტისა და პრიორიტეტების განსაზღვრის გზაზე კონფლიქტებს ქმნის.

ამავდროულად, შეიცვალნენ დემოკრატიისა და მდგრადობის კომუნიკაციაში მონაწილე აქტორები და შეიცვალა მათი პრაქტიკა. თავდაპირველად, მთავარ როლს ასრულებდნენ ექსპერტები, რომლებიც კამათობდნენ ტექნოკრატიულ ენაზე. შემდეგ მდგრადი განვითარების იდეები გახდა ერთგვარი მოდელი პარტიებისა და მთავრობებისთვის, რომლითაც ისინი საგარეო პოლიტიკურ ხედვებს განსაზღვრავდნენ. პირველ რიგში, SPD-მ მიითვისა კონცეპტუალური კონტექსტი საერთაშორისო ცნობებიდან და იგი გერმანულ საზოგადოებას მიაწოდა. რიოს პროცესში მდგრადი განვითარება გახდა ქვემოდან წამოსული მოთხოვნებისა და პრაქტიკის ინსტრუმენტი.

[29] Vgl. Claus Leggewie, Klimaschutz erfordert Demokratiewandel, in: Vorgänge 2/2010, S. 25–43, hier S. 41; dazu auch Beiträge in Bornemann/Knappe/Nanz (Anm. 2).

[30] Ingolfur Blühdorn, Nachhaltigkeit und postdemokratische Wende. Zum Wechselspiel von Demokratiekrise und Umweltkrise, in: Vorgänge 2/2010, S. 44–54, hier S. 44, S. 52.

[31] “Kompromisse funktionieren bei der Klimakrise nicht”, Interview mit Carla Reemtsma, 25.9.2020, Externer Link:http://www.zeit.de/campus/2020-09/carla-reemtsma-fridays-for-future-klimaschutz.

ამრიგად, მდგრადობის დისკურსმა ასევე გამოიწვია უფრო აქტიური მონაწილეობა და ჩართულობა დემოკრატიულ პროცესებში. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საზოგადოების სურვილმა, ყოფილიყო ამ პროცესების თანამონაწილე, უფრო შრომატევადი გახადა ჩართულობა და წარმომადგენლობა თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებში. მთავრობების მეტისმეტად მგრძნობიარე დამოკიდებულება ართულებს პოლიტიკის მხრიდან გრძელვადიან პასუხისმგებლიან ქცევას[32] და ამრიგად, ხელს უწყობს განვითარების ტემპების შენელებას, რომელიც აჩენს წუხილებს დემოკრატიასა და მდგრადობას შორის დებატებში დაძაბულობის შესახებ. ამ მხრივ, ეს ნაშრომი ერთგვარი მოწოდებაა დემოკრატიაში მდგრადობის კონცეფციის განსახილველად, რომელიც არ დგას დემოკრატიაზე მაღლა. ისტორიული პერსპექტივიდან ასევე ბევრია სათქმელი მდგრადობის კონცეფციის კიდევ ერთხელ გარკვეულ საზღვრებში მოსაქცევად.[33]

წყარო: ჟურნალიდან Ökologie und Demokratie / Aus Politik und Zeitgeschichte 21-22/2022

თარგმნა ***მიხო ბეროშვილმა***

[32] Vgl. Wolfgang Merkel/Andreas Schäfer, Zeit und Demokratie. Ist demokratische Politik zu langsam?, in: Holger Straßheim/Tom Ulbricht (Hrsg.), Zeit der Politik, Baden-Baden 2015, S. 218–238, hier S. 228.

[33] Zur "starken Nachhaltigkeit" vgl. etwa Konrad Ott/Ralf Döring, Theorie und Praxis starker Nachhaltigkeit, Marburg 2004.

მთარგმნელები:

ბიძინა ბუჩუკური – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების სტუდენტი.

ნიკოლოზ ჭანტურია – ვენეციის უნივერსიტეტის (იტალია) შედარებითი საერთაშორისო ურთიერთობებისა და გლობალური კვლევების მაგისტრანტი.

ლევან ლორთქიფანიძე – პოლიტოლოგი, კავკასიური სახლის გამგეობის თავმჯდომარე.

მიხო ბეროშვილი – გერმანისტი, „კავკასიური სახლის“ გამგეობის წევრი.

მარიკა ტყეშელაშვილი – „კავკასიური სახლის“ გამომცემლობის რედაქტორი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრანტი.

კლიმატის ცვლილება
და დემოკრატიული საზოგადოება

კლაუს დიორე
იოჰანეს ვარვიკი
იანა ალიეტსი
ელკე ზეეფრიდი
ჯოზეფ სტიგლიცი
ჯეფრი საქსი
ჯოშ ბიურკი
უგურ აკინჩი

თბილისი
2022

„კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი — კავკასიური სახლი“
თბილისი, გალაკტიონის ქ. №20